

F 133  
1958

26 55



საქართველოს სსრ მთავრობის  
დაგენილებათა დაგნარეგულებათა  
პრეზიდენტი

No 2

1958 6.

៩០៦១៨៦៦០

କାରଣଟିକାଲୀନ ପାଇଁ ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ମଧ୍ୟ ଦେଖିଲୁଛାମୁକ୍ତ କାରଣଟିକାଲୀନ ପାଇଁ

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეცნებლობისა და არქიტექტურის  
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

29. საპირო შეცნებლობისა და სააგარაյო შეცნებლობის კომიტეტის  
ნიშვნა წილდებათ დამტკიცების შესახებ.

30. საქართველოს სსრ-ში საფულის შეურნების პროცესტების საედლებულო  
ჩაბარებისა და მტკ-ების სამუშაოების ნატურალურის გაუმტკიცების, ამ  
პროცესტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების უპასხებ.

31. „საქართველოს სსრ-ში სამინისტრო შეურნების გაუმჯობესების შესახებ“  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 506  
დადგენილების შესრულების მიმღებლების შესახებ.

32. მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და სიწარმო დანიშნულების ხედი  
საქონლის ნომრენდატურის შესახებ, რომელთა ვაკლდა კუსტობათ სარე-  
მონტო-ტექნიკურ საფურის.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კოსტროლის კომისიის მიერ  
ფერადი დარიცხვების წარმოების წესების დატეცების შესახებ.

34. საქართველოს სსრ სარემონტო-ტექნიკურ და სპეციალიზებული მანქანი-  
ტექნიკური სადგურების ძირითადა ფონდების უაღევე სახეობათა სა-  
მონტოზაციის ანარკიცების ნორმების შესახებ 1958—1960 წლებისთვის.  
შეცნიერების შემავალისა და მათი ონახების წევრებისათვის პრემიების და-  
ნიშვნისა და გაცემის წესის შეცვლის შესახებ.

35. სარემონტო-ტექნიკური სადგურების მოწყობილობის სარემონტო შილე-  
ბის და რემონტიდან მათი გაცემის წესისა და პირობების, კოლეგიურნეა-  
ზებისა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურების შორის ძალაშენების რემონტი-  
საონის ანარკიცების წესის, მატურინტო-ტექნიკური სადგურების მიერ

- შესრულებული სპეციალიზებული სამუშაოებისათვის ანგარიშისწორების, ავტომატური კონფიგურაციებისა და სხვა მეურნეობების მანქანების მიღწევების პირობების შესახებ.

37. ინდივიდუალური მენაშენების (საბინაო-სამშენებლო კოლექტივი) ძალებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ერთობლივად მშენებლობის დამტკიცების შესახებ.

38. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

39. გეოლოგიურ საძებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ.

40. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარტივების ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ.

41. საქართველოს სსრ რესტაციური ხალხური სამხატვრო სარეწაობის აღდგნისა და შემდგომი განვითარების ზომების შესახებ.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშო წარმოებისადმი ზედამხმედევლობისა და სამთო ზედამხმედევლობის სახელმწიფო კონფიდენციალური შეკიბრებაში გამარტივების შესახებ.

43. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის იმ ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ფულადი პრემიების შესახებ, რომლებმაც სიილისტურ შეჯიბრებაში გამარტივების.

44. იმ პრემიების ღირების შესახებ, რომლებიც აეტომობილების შოთოების უნდა მოიცემონ ვეტერნზინის მომკირნეობისათვის.

45. მომავალი წლების შემნებლობისათვის საძებლო და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-სამეცნიერო ტექნიკურ კომიტეტთან სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემანდის რესტაციური სახლის კომიტეტის შემსრულებელი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

47. საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზის მარავის აღწარმოებისა და ღაცვის შესახებ.

48. ხეხილის ბალებში მანქანებლთა და დავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

49. საკომუნიკაციო ბაზებში გადასდევენებული ერთგურადი გამოსალების თანხების წარმატების შეცვლის შესახებ.

50. ლიტერატურული შრომების სავტორო პონორარის შესახებ.

## 28 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქი- ტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენერაცია:

1. შექმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და ოქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ბაზაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და ოქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახ-მშენი).

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენის შემდეგი მთავარი ამოცანები:

ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა მშენებლობასა და სა-შენ მასალათა მრეწველობაში, მშენებლობის ლირებულების დაკ-ლება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და მშენებლობის ვადების შემცირება:

სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და შრომის ნაყოფიერე-ბის ამაღლება მშენებლობაში;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესება, დაპროექ-ტების ხარისხის ამაღლება და მისი ვადების შემცირება, ტიპობრივი პროექტების ფართოდ დანერგვა მშენებლობაში;

ქალაქმშენებლობისა და ოქიტექტურის საქმის გაუმჯობესება, აგრეთვე მშენებლობის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა განვი-თარება;

დახმარების გაწევა საქართველოს სსრ ავტონომიური ჩესპეცბლი-კებისა და ოლქისათვის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგი-ლობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის ქალაქების მშენებლობისა და განაშენიანების ძირითადი საკითხების გადაჭრაში;

კონტროლის განხორციელება საქართველოს სსრ სახალხო მეურ-ნეობის საბჭოსადმი. სამინისტროებისა და უწყებებისადმი იმ მხრივ, თუ როგორ ასრულებენ ისინი სსრ კავშირის მთავრობის და საქარ-თველოს სსრ მთავრობის დადგენილებებს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქარ-თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტთან ერთაუ, ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ სახმშენის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.

4. დაეცალოს საქართველოს სსრ სახმშენს ერთი თვის გადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის უსახებ.

5. ეთეოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუთანასწოროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშავთა სატარიფო განაკვეთები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მუშავთა სატარიფო განაკვეთებს.

საქართველოს კპ

საქართველოს სსრ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

3. მუნიციპალიტეტი.

გ. პარავანაში.

ქ. ობილისი, 1958 წლის 31 ოქტომბერი № 712

## 29 საპინაო მშენებლობისა და სააგარაკო მშენებლობის კონკერატივების სანიმუშო წესდებათა დამტკიცების შესახებ

შესაბამისად საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივნისის № 931 დადგენილებისა „საპინაო მშენებლობისა და სააგარაკო მშენებლობის კონკერატივების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გენს:

1. დამტკიცდეს საპინაო მშენებლობისა და სააგარაკო მშენებლობის კონკერატივების სანიმუშო წესდებანი.

2. ძალადაყარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 ივნისის № 923 დადგენილება „საპინაო მშენებლობისა და სააგარაკო მშენებლობის კონკერატივების სანიმუშო წესდებათა დამტკიცების შესახებ.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე გ. პარავანაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი გ. პაპატაშვილი.

ქ. ობილისი, 1958 წლის 11 ივნისი № 436

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 11/VII № 436 დალგენილებით

## სანიაზუ წესდება

### სააგარაკო მუნიციპალიტეტის კოოპირატივისა

#### I. ზოგადი დებულებანი

1. სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივი მოწყობა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს აღმასკომთან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობით.

2. სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა გერითიანება არა ნაკლებ 6 მოქალაქისა. საკითხს კოოპერატივის მოწყობის შესახებ აღმრავენ მშრომელები საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის წინაშე. რომელიც ჩატარებენ სააგარაკო კოოპერატივში წევრად შესვლის მსურველებთან საერთო კრებას. კრება მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

3. მას შემდეგ, რაც საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია მიიღებს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის ნებართვის შესახებ, მოიწვევენ კოოპერატივში შესვლის მსურველთა საერთო კრებას წესდების მისაღებად, კრების მიერ მიღებული წესდება გატარდება რეგისტრაციაში ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, რომელმაც გამრიტანა გადაწყვეტილება კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

4. წესდების რეგისტრაციის დროიდან კოოპერატივის წევრები უფლებამოსილი არიან მოიწვიონ საერთო კრება, რომელზედაც აირჩივენ გამგებასა და სარევიზიო კომისიას.

**შეინშეა:** რამდენიმე პატარა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციების მუშებსა და მოსამსახურეებს, ფრთხოების შესაბამისობის გაერთიანდენ ერთ საბინაო მშენებლობის კოოპერატივში.

#### II. კოოპერატივის მიზანი, უფლებანი და მოვალეობანი

5. . . . . სახელწოდების სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივი დაარსდება იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები სააგარაკო სადგომებით . . . . . (ადგილის ზუს-

ტი დასახელება) სააგარაკო საღვომების აგებით კოოპერატივის საკუთარი სახსრებით, აგრეთვე შემდგომი ექსპლუატაციისა და მმართველობისათვის.

6. კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი და არა იქნა აგარაკები პირადი საკუთრების უფლებებით.

იურიდიულ პირებს (სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) ან შეუძლიათ იყვნენ კოოპერატივის წევრები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით კოოპერატივის მშენებლობაში.

7. კოოპერატივი მიიღებს იურიდიული პირის უფლებას იქ დროიდან, როცა მისი წესდება გატარდება რეგისტრაციაში აღვალობრივი საბჭოს აღმასკომში, ისარგებლებს ბეჭდით, რომელზედაც აღნიშნული იქნება მისი სახელწოდება.

8. კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ან უნდა აღემატებოდეს მშენებლობის გეგმით კოოპერატივის მიერ აგებული იზოლირებული სააგარაკო ბინების რაოდენობას.

9. სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან შეიტანონ აგარაკების მშენებლობის დაწყებამდე ფულადი სახსრები მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით.

სააგარაკო მშენებლობის სახარჯთალრიცხვო ღირებულება განისაზღვრება დაპროექტებაზე, კეთილმოწყობაზე, გამშვანებასა და კომუნიკაციების გაყვანაზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. საშენებელი მასალების, საშენებელი დეტალების, ინსტრუმენტების, ნახევარფაზრიკატების, კავეულის ნაწარმის ღირებულება, რომელზედაც დაწესებულია საცალო ფასები, განისაზღვრება საცალო ფასებით მათი გაცემის პირობების მიხედვით, ხოლო რომლებზედაც არაა დაწესებული საცალო ფასები — საბიურმო ფასებით.

10. სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივი ახორციელებს აშენებული აგარაკების ექსპლუატაციას კოოპერაციული საკუთრების უფლებებით და ოვითგამოსყიდვის საფუძველზე.

11. კოოპერატივი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთები სააგარაკო და სასამსახურო შენობების ასაგებად;

ბ) განახორციელოს მშენებლობა იჯარა-ჩაბარების ან სამეურნეო წესით, უკეთს კოოპერატივი შეიტანს თავის ანგარიშზე საკუთარ სახსრებს მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით;

გ) დადოს მოიგარე თრვანიშაციასთან ხელშეკრულება აგარაკების მშენებლობაზე და განახორციელოს ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოსათვის, აგრეთვე დადოს აგარაკების მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხელშეკრულებანი;

დ) მოაწყოს კომპერატივის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება (სასადილოები, სამრეცხაოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ბაგები და სხვ.).

12. სააგარაკო მშენებლობის კომპერატივი ახორციელებს სააგარაკო მშენებლობის ტიპური პროექტებით და, როგორც გამონაჯლისა, კომპერატივის წევრთა სურვილით, კომპერატივის მიერ დამტკიცებული და ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებული ინდივიდუალური პროექტებით.

13. კომპერატივის მიერ მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს პროექტის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ. მშენებლობის მოცულობა. დაწყებისა და დამთავრების ვედები აღინიშნება მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის აქტში.

14. კომპერატივის მიერ აგებული შენობები ეკუთვნის მას კომპერაციული საკუთრების უფლებებით და არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ (აგარაკები, ოთახები) არც ცალკეულ პირებს, გარდა კომპერატივის ლიკვიდაციის დროს განხორციელებული გადაცემისა.

15. კომპერატივი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ყველა მისი კუთვნილი ქონებით.

### III. კომპერატივის სახსრები

16. კომპერატივის სახსრები შედგება:

ა) კომპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანებისაგან;

ბ) საპაიო შენატანებისაგან;

გ) აგარაკების შესანახი და საექსპლუატაციო შენატანებისაგან;

დ) სხვა შემოსულობათაგან.

17. საერთო კრების დადგენილებით კომპერატივს შეუჩრია შექნას სპეციალური ფონდები, რომელიც მოხმარდება კომპერატივის წესებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამის მიზნებს. სპეციალური ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს კომპერატივის საერთო კრება.

#### IV. კონკრეტული წევრის უფლებანი და მოვალეობანი

18. კონკრეტული წევრის თვითეულ წევრის თავისი ოჯახით მიეცემა მუდმივ სარგებლობაში მისი პაის ოდენობის შესაბამისი აგარაჟი ან იზოლირებული სააგარაჟო სადგომი.

19. კონკრეტული წევრის გრთი წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება იყოს ერთი იზოლირებული სააგარაჟო სადგომის საშენებლო დორებულებაზე ნაკლები. პაის ოდენობის ფულადი სახსრები სრულად შეაქვთ კონკრეტული წევრის მშენებლობის დაწყებამდე.

იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული წევრი და მისი ოჯახის წევრი პირადად ლებულობენ მონაწილეობას აგარაჟის მშენებლობაში, მათი შრომითი დანახარჯების ოდენობის და ამ შრომითი დანახარჯების ღირებულების პაის ანგარიშში ჩათვლის წესს დაადგენს კონკრეტული გამგეობა.

20. კონკრეტული წევრს ერთსადაიმავე დროს შეუძლია ითელუბოდეს მთლიან ერთ სააგარაჟო მშენებლობის კონკრეტულში.

21. კონკრეტული წევრს უფლება აქვს:

ა) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით, გავიდეს კონკრეტულან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც აგარაჟის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგაც;

ბ) კონკრეტული საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი პაი და მისოვის მინიჭებული სადგომის სარგებლობის უფლება მშობლებს, ქმარს (ცოლს) ან შეილებს, თუ ეს პირი მანამდე სარგებლობდენ აღნიშნული სადგომით მეპარესთან ერთად.

22. კონკრეტული წევრი ნებაყოფლობით გასულ მეპარეს უბრუნდება მისი პაი საბალანსო ღირებულებით, ხოლო გათავისუფლებული სააგარაჟო სადგომი მიეცემა საერთო კრების გადაწყვეტილებით კონკრეტული წევრის შემაღენლობაში მიღებულ მეორე პირს. კონკრეტული ახლად მიღებული წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება იყოს პაის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები.

23. კონკრეტული წევრი შეიძლება გაირიცხოს მის შემაღენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილება წესდებას. თუ არ შეასრულებს საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს, თუ დაანგრევს და გააფუჭებს აგარაჟს, თუ გამოიჩენს ისეთ საქციელს, რაც შეუძლებელს ხდის სხვა პირთათვის იმავე სააგარაჟო დაბაში ცხოვრებას.

კონცერატივის შემადგენლობიდან გარიცხული წევრის გასახლება ბა ხდება სასამართლო წესით მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად კონცერატივის სააგარაკო საღვომიდან სხვა სააგარაკო საღვომის მიუცემლად.

გარიცხულ მეპარეს უბრუნდება მისი პაი სიბალისო ლირუბულებით არა უგვიანეს 3 თვის, ეადისა საერთო კრების მიერ საოპერაციო წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდევ. რომლის განმავლობაში მეპარე გარიცხული იყო კონცერატივის შემადგენლობიდან.

24. კონცერატივის გარდაცვლილი წევრის პაი გათაღის მის მეცნიერებზე, ოჯახის წევრებს — მეცნიერებს. რომელიც კონცერატივის წევრის სიცოცხლეში სირგებლობდნენ მისი სააგარაკო საღვომით, უფლება აქვთ შემდგომ ისარგებლონ მით იმ პირობით, თუ ერთი მათგანი შევა კონცერატივის წევრთა ჩიცხვში.

მეცნიერებებს, რომელთაც არ უსარგებლიათ პირით სამკეიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში, აგრეთვე უარი განცხადეს შემდგომ სარგებლობაზე, მიეცემათ მეცნიერებობით მიღებული პაის ლირებულება ან მისი ნაწილი.

25. გასულის მაგიერ კონცერატივის შემადგენლობაში მიღებული შეპარე პასუხს იგებს კონცერატივის წინაშე გასული მეპარეს ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიშვა მის მიღებაშიც.

#### V. კონცერატივის მმართველობის ორგანოები

26. კონცერატივის მმართველობის უმაღლესი ორგანოები არის კონცერატივის წევრთა საერთო კრება და კონცერატივის გამგეობა.

27. საერთო კრება არის კონცერატივის უმაღლესი ორგანო და გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) კონცერატივის წევრთა მიღება და გარიცხვა მის შემადგენლობიდან;

ბ) მშენებლობის გეგმისა და ხარჯთალრიცხვის, აგრეთვე წლიური საშეურნეო-საფინანსო გეგმის დამტკიცება;

გ) სააგარაკო საღვომების განაწილება მეპარეებს შორის, აგრეთვე ნებართვა, რომ მეპარემ თავისი პაი გადასცეს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს;

დ) შესასვლელი და საპაიო შესატანების ოდენობის განსაზღვრა;

ე) კონცერატივის წევრთა მონაწილეობის ოდენობის დაფგნა სააგარაკო მეურნეობის საეჭსპლოატაციო ხარჯებში;

ვ) კონცერატივის სპეციალური ფონდების შექმნა;

ზ) გამგეობისა და **სარევიზიო** კომისიის ორჩევა;

თ) გამგეობასა და **სარევიზიო** კომისიაშე შემოსული საჩივრების განხილვა;

ი) კონკრეტული ლიკვიდაციის საფიქსი.

28. საერთო კრებას გამგეობა იწვევს წელიწადში ორჯერ მანქუ. საგანგებო საერთო კრებას გამგეობა იწვევს ნ დღის ვადაში კონკრეტული წევრთა ერთი მესამედის. აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, ორმეტმაც კონკრეტული წესდება რეგისტრაციაში გაატარა.

29. საერთო კრება შედგება მაშინ, როცა მას დაესწრება კონკრეტული წევრთა რიცხვის ან კონკრეტული წევრების რწმუნებულთა არა ნაკლებ ორი მესამედისა. გადაწყვეტილებას ღებულობს საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო საპაიო შესატანს. სააგარაჟო მეურნეობის საექსპლუატაციო ხარჯების შესატანის ოდენობის, კონკრეტული დანართის საკითხები მიიღება ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

30. კონკრეტული კრების გამგეობას იჩინებს საერთო კრება სულ მცირე 3 წევრის რაოდენობით 2 წლის ვადით. გამგეობის, როგორც სარევიზიო კომისიის, შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ ერთსაღაიმავე დროს ცოლ-ქმარი. მშობლები, ბავშვები, შვილიშვილები, ღვიძლი ძმები, დები და მათი ცოლ-ქმრები.

31. გამგეობა არის კონკრეტული აღმასრულებელი ორგანიზაციის მიერ გამგეობის ანგარიშვალდებული. გამგეობის მოვალეობაში შედის:

ა) კონკრეტული წევრებისაგან საერთო კრების მიერ დაწესებული შესასვლელი და საპაიო შესატანების მიღება;

ბ) გეგმების, ხარჯთალრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა;

გ) სააგარაჟო მეურნეობის მართვა;

დ) მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება და დათხოვნა;

ე) კონკრეტული სახელით გარიგების შესრულება და ხელშეკრულებათა დადგება;

ვ) კონკრეტული წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და აღმინისტრაციულ დაწესებულებაში;

ზ) კონკრეტული წევრთა სიის წარმოება და საქმისწარმოება;

თ) ანგარიშარმოება და ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა მოვალეობათა შესრულება;

32. კონკრეტული გამგეობას უფლება აქვს თავისუფლად განაცხოს სააგარაჟო მშენებლობის კონკრეტული ნალი სახსრები, რო-

მელნიც ინახება ბანკში მიმდინარე ანგარიშზე. ამათუმ ლიმიტებით შეუზღუდავად.

33. სარევიზიო კომისიას ირჩევს საერთო კრება 3 წევრის შემაღენლობით 2 წლის ვადით და ორის ორგანო, რომელიც კონტროლს უწევს და რევიზიას უკეთებს გამგეობის საქმიანობას.

34. კოოპერატივი თავის საქმიანობას ახორციელებს იმ ადგილობრივი საბჭოს მეთვალყურეობით და კონტროლით. რომელმაც რეგისტრაციაში გაატარო მისი წესდება.

35. სამრეალაქო-უფლებრივი დავა კოოპერატივსა და მის წევრებს შორის წყდება სასამართლო წესით.

## VI. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი საქმეების ლიკვიდაცია

36. სააგარაკო მშენებლობის კოოპერატივის საქმიანობა, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციით, შეწყდება იმ შემთხვევაში:

- ა) როცა სასამართლო იცნობს კოოპერატივს ვალაუვალად;
- ბ) როცა სასამართლოს დაუგენილებით კოოპერატივი აცდენილია წესდებაში აღნიშნულ მიზნებს;

გ) როცა კოოპერატივის საერთო კრება საჭიროდ დაინახავს მის ლიკვიდაციას, თუ ამ დადგენილებას დაამტკიცებს მშრომელთა ღებუტა-ტების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

37. კოოპერატივის საქმეების ლიკვიდაცია ხდება შესაბამისად მოქმედი კანონებისა კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტის წესის შესახებ იმ ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით, რომელმაც რეგისტრაციაში გატარა კოოპერატივის წესდება.

38. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩება კოოპერატივისაღმი წარდგენილი ყველა პრეტენზის დაქმაყოფილების შემდეგ, ყველა საქმე და საბუთი გადაეცემა ადგილობრივ საბჭოს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება.

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრის ხაბუშ  
1958 წლის 11/VII № 436 დაცვუნილების

## სანიაზუო ჯასლება საგინაო მუნიციპალიტეტის კოოპერატივისა

### 1. ჰოგადი დეპულებანი

1. საბინაო მშენებლობის კოოპერატივი მოწყვობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ოღმასკომის გადაწყვეტილებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სალაბო) საბჭოს ოღმასკომთან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შეამდგომლობით.

2. საბინაო მშენებლობის კოოპერატივის შესაქმნელად საკიროა გაერთიანება არა ნაკლებ 6 მოქალაქისა. საკიროს კოოპერატივის მოწყობის შესახებ აღმრავენ მშრომელები საწარმოს. დაწესებულების ან ორგანიზაციის წინაშე, რომელიც ჩატარდებონ კოოპერატივში წევრად შესვლის მსურველებთან საერთო კრებას. კრება მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

3. მას შემდეგ, რაც საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია მიიღებს ადგილობრივი საბჭოს ოღმასკომის გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის ნებართვის შესახებ, მოიწვევენ კოოპერატივში შესვლის მსურველობა საერთო კრებას წესდების მისაღებად, კრების მიერ მიღებული წესდება გატარდება რეგისტრაციაში ადგილობრივი საბჭოს ოღმასკომში. რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

4. წესდების რეგისტრაციის დროიდან კოოპერატივის წევრები უფლებამოსილი არიან მოიწვიონ საერთო კრება, რომელშედაც აირჩივენ გამგეობასა და სარევიზიო კომისიას.

**შენიშვნა:** რამდენიმე პატარა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მეშვებსა და მოსამსახურებს, აგრეთვე პენსიონერებს შეუძლიათ ვატოთანდნენ ერთ საბინაო მშენებლობის კოოპერატივში.

## II. კონკრეტული მაჩვინი, უფლებანი და მოვალეობანი

5. . . . . სახელწოდების საბინაო მშენებლობის კონკრეტული დაარსდება ქალაქ (დაბა) . . . . . იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კონკრეტული წევრები საბინაო ფართობით მრავალბრინი საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობით კონკრეტული საკუთარი სახსრებით, აგრეთვე ამ სახლის (სახლების) შემდგომი ექსპლუატაციისა და მმართველობისათვის.

6. კონკრეტული წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კურირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი.

იურიდიულ პირებს (სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) ან შეუძლიათ იყვნენ კონკრეტული სახელმწიფო წევრები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით კონკრეტული სახელმწიფო მშენებლობაში.

7. კონკრეტული მიიღებს იურიდიული პირის უფლებას იმ დროიდან, როცა მისი წესდება გატარდება ჩეგისტრაციაში აღვალობრივი საბჭოს აღმასკომში, ისარგებლებს ბეჭდით, რომელზედაც აღნიშნული იქნება მისი სახელწოდება.

8. კონკრეტული წევრთა რაოდენობა ან უნდა აღემატებოდეს მშენებლობის გეგმით კონკრეტული მიერ აგებული ბინების, რაოდენობას.

9. საბინაო მშენებლობის კონკრეტული წევრები ვალდებული არიან შეიტანონ საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობის დაწყებამდე ფულადი სახსრები მშენებლობის სრული ლირებულების ოდენობით.

საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება დაპროექტებაზე, კეთილმოწყობაზე, გამწვანებასა და კომუნიკაციების გაყვანაზე ვაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. სტანდარტული საცხოვრებელი სახლების საშენებელი მასალების, საშენებელი დეტალებისა და ინსტრუმენტების, ნახვარული პრიკატების, კავეულის ნაწარმის, კალეული დეტალებისა და დეტალების კომპლექტების ღირებულება. რომელზედაც დაწესებული საცალო ფასები, განისაზღვრება საცალო ფასებით მათი გაცვმის პირობების მიხედვით, ხოლო რომელზედაც არა დაწესებული საცალო ფასები—საბითუმო ფასებით.

10. საბინაო მშენებლობის კონკრეტული ახორციელებს აშენებული საცხოვრებელი სახლის (სახლების) ექსპლუატაციას კონკრე-

ციული საკუთრების უფლებებით და ოფიციალური საფუძველზე, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

#### 11. კონპერატივი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი და სასამასახურო შენობების ასაკებად;

ბ) განახორციელოს მშენებლობა იჯარა-ჩაბარების ან სამეურნეო წესით, უკეთს კონპერატივი შეიტანს თავის ანგარიშზე საკუთარ სახსრებს მშენებლობის სრული ლიტებულების ოდენობით;

გ) დაადოს მოიგარე ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახლის (სახლების) მშენებლობაზე და განახორციელოს ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოსათვის, უკრეთვე დადოს სახლის (სახლების) მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყოველ გვარი ხელშეკრულებანი;

დ) მოწყოს კონპერატივის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება (სასაღილოები, სამრეცხოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ბავშვი და სხვ.).

12. საბინაო მშენებლობის კონპერატივი ახორციელებს საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობას ტიპური პროექტებით და, როგორც გამონაკლისი, კონპერატივის წევრთა სურვილით, კონპერატივის მიერ დამტკიცებული და ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებული ინდივიდუალური პროექტებით.

13. კონპერატივის მიერ სახლის (სახლების) მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს პროექტის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ. მშენებლობის მოცულობა, დაწყებისა და დამთავრების ვადები აღინიშნება მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის აქტში.

14. კონპერატივის მიერ აგებული შენობები ეკუთვნის მას კონპერატიული საკუთრების უფლებებით და არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაუცეს როგორც მთლიანად. ისე ნაწილობრივ (ბინები, ოთახები) არც ორგანიზაციებს, არც ცალკეულ პირებს. გარდა კონპერატივის ლიკვიდაციის დროს განხორციელებული გადაცემისა.

15. კონპერატივი პასუხს ავებს თავის ვალდებულებებზე ყველა მისი კუთვნილი ქონებით.

### III. კონპერატივის სახსრები

#### 16. კონპერატივის სახსრები შედგება:

ა) კონპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანისაგან;

ბ) საბაიო შენატანისაგან;

გ) სახლის (სახლების) შესანახი და საექსპლუატაციო შენატანისა-  
გან;

დ) სხვა შემოსულობათაგან.

17. საერთო კრების დადგენილებით კოოპერატივს შეუძლია  
შექმნას სპეციალური ფონდები, რომელიც მოხმარდება კოოპერა-  
ტივის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამის მიზნებს.  
სპეციალური ფონდების შექმნისა და ხარჯების წესს განსაზღვრავს  
კოოპერატივის საერთო კრება.

#### IV. კოოპერატივის წევრთა უფლებანი და მოვალეობანი

18. კოოპერატივის თეიოუულ წევრს თავისი ოჯახით მიეცემა მულ-  
მივ სარგებლობაში მისი პაის ოდენობის შესაბამისი საცხოვრებელი  
ფართობი, კოოპერატივში შესვლისას კოოპერატივის წევრი ვალდე-  
ბულია ზუსტად აღნიშნოს მისი ოჯახის რომელი წევრები გადასახლ-  
დებიან კოოპერატივის სახლში. სახელმწიფო საცხოვრებელ ფარ-  
თობს, სადაც ცხოვრობდა კოოპერატივის წევრი ბინის მიღებამდე  
კოოპერატივის სახლში. გადაცემს იყი ადგილობრივ საპკოს ან უწყე-  
ბის განკარგულებაში. რომელსაც სახლი ეყუთნის.

19. კოოპერატივის ერთი წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება  
იყოს ერთი ცალკეული ბინის სამშენებლო ღირებულებაზე ნაკლები.  
პაის ოდენობის ფულადი სახსრები სრულად შეაქვთ კოოპერატივის  
წევრებს მშენებლობის დაწყებამდე.

იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის წევრი და მისი ოჯახის  
წევრი პირადად ღებულობენ მონაწილეობას სახლის მშენებლობაში,  
მათი შრომითი დანახარჯების ოდენობას და ამ შრომითი დანახარჯე-  
ბის ღირებულების პაის ანგარიშში ჩათვლის წესს დაადგენს კოოპე-  
რატივის გამგეობა.

20. კოოპერატივის წევრს ერთსაღაიმავე დროს შეუძლია ითვლე-  
ბოდეს მხოლოდ ერთ საბინაო მშენებლობის კოოპერატივში.

21. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) ნებაყოფლობით. თავისი განცხადებით, გავიდეს კოოპერატი-  
ვიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც მშენებლობის დაწყე-  
ბამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ;

ბ) კოოპერატივის საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი  
პაი და მისთვის მინიჭებული სადგომის სარგებლობის უფლება  
მშობლებს, ქმარს (ცოლს) ან შვილებს, თუ ეს პირი მანამდე სარგე-  
ბლობდნენ აღნიშნული სადგომით მეპარესთან ერთად .

22. კონპერატივიდან ჩებაყოფლით გასულ მეპაიეს უბრუნდება მისი პაი საბალანსო ლირებულებით. ხოლო გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი მრეცემა საერთო კრების გადაწყვეტილებით კონპერატივის შემადგენლობაში მიღებულ მეორე პირს.

გასულის მაგიერ ახალი წევრის მიღება ხდება იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის შუამდგომლობით, რომლებთანაც მოწყობილია კონპერატივი, ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობით.

კონპერატივის ხელად მიღებული წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება იყოს პაის საბალანსო ლირებულებაზე ნაკლები.

23. კონპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს მის შემადგენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილება წესდებას, თუ არ შეისრულებს საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს, თუ დაანგრევს და გაიუსევს საცხოვრებელ ფართობს. თუ გამოიჩენს ისეთ საქციელს, რაც შეუძლებელს ხდის სხვა პირთაოვის კონპერატივის საცხოვრებელ ფართობში ცხოვრებას.

კონპერატივის შემადგენლობიდან ვარიუსული წევრის გასახლება ხდება სასამართლო წესით, მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად. კონპერატივის საცხოვრებელ ფართობიდან სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

ვარიუსულ მეპაიეს უბრუნდება მისი პაი საბალანსო ლირებულებით არა უგვიანეს 3 თვის ვადისა საერთო კრების მიერ საოპერაციო წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ. რომლის განმავლობაში მეპაიე ვარიუსული იყო კონპერატივის შემადგენლობიდან.

24. კონპერატივის გარდაცვლილი წევრის პაი ვადადის მის მემკვიდრებებზე. ოჯახის წევრებს — მემკვიდრეებს. რომელიც კონპერატივის წევრის სიცოცხლეში სარგებლობდნენ მისი საცხოვრებელი ფართობით, უფლება აქვთ შემდგომ ისარგებლონ ამ საცხოვრებელი ფართობით იმ პირობით, თუ ერთი მათგანი შევა კონპერატივის წევრთა რიცხვში.

მემკვიდრეებს, რომელთაც არ უსარგებლებიათ პინით სამკერალოს დამტკიცებლის სიცოცხლეში, აგრეთვე უარი ვანაცხადეს პირის შემდგომ სარგებლობაზე. მიუცემათ მემკვიდრეობით მიღებული პაის ლირებულება ან მისი ნაწილი.

25. გასულის მაგიერ კონპერატივის შემადგენლობაში მიღებული მეპაიე პასუხს ავებს კონპერატივის წინაშე გასული მეპაიეს ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიშვა მის მიღებამდე.

26. საერთო კრება არის კოოპერატივის მმართველობის უმაღლე-  
სი ორგანო და გადაწყვეტის შემდეგ საკითხებს;

ა) კოოპერატივის წევრთა მიღება და გარიცხვა შის შემაღენლობირან;

ბ) მუნიციპალიტეტის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის, ავრცელების წლიური სამეცნიერო-საფინანსო ვეგმის დამტკიცება;

გ) საცხოვრებელი სადგომების განაწილება მეპაიებს შორის. აგრეთვე ნებართვა, რომ მეპაიებ თავისი პაი გადასცეს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს;

დ) შესახვლელი და საპაონ შენატანებისა, აგრძელებ სახლის შესა-  
ნახი და საექსპლუატაციო შენატანების ოდენობის დადგენა;

ე) კონცერტივის წევრთა მონიაშილეობის ოდენობის დაზღვნა  
სახლომეურნეობის საექსპლუატაციო ხარჯებში;

ვ) კონპერატივის სპეციალური ოფონდების შექმნა;

၆) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის აჩქევა;

თ) გამგეობასა და სარევიზიის კომისიაზე შემოსული საჩიტრების განხილვა;

၅) კონპერატივის ლიკვიდაციის საფუძვე

27. საერთო კრებას გამგეობა იწვევს წელიწადში ორჯერ მანე. საგანგებო საერთო კრებას გამგეობა იწვევს 6 დღის ვადაში კონპეტიციურის წევრთა ერთი მესამედის, აგრეთვე საჩევზიო კომისიის ან იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით. რომელმაც კონპეტიციურის წესდება ჩეგისტრაციაში გააჩარა.

28. საერთო კრება შედგება მაშინ, როცა მას დაესწრება კოოპერატივის წევრთა რიცხვის ან კოოპერატივის წევრების რწმუნებულთა არა ნაკლებ ორი მცხამელისა.

გადაწყვეტილებას ღებულობს საერთო კრება დამსტარე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. საერთო კრების გადაწყვეტილება კონფერაციის ღივრიდაციის. საპარ შესატანის. სახლის შესატანი და საექსპლუატაციო შესატანის ოდენობის. კონფერაციიდან გარიცხვის შესახებ მიიღება ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

29. კონპერატივის გამგეობას ირჩევს საერთო კრება სულ მცირე 3 წევრის რაოდენობით 2 წლის ვადით. გამგეობის, როგორც სარეციზო კომისიის, შემაღენლობაში არ შეაძლება იყვნენ ერთსაღიმავე დროს ცოლ-ქმარი. მშობლები, ზაფშები, შეილიშვილები, ღვიძლიშები, დები და მათი ცოლ-ქმრები.



30. გამგეობა არის კონკრეტული დოკუმენტით, რომელიც მოვალეობაში შედის:

- ა) კონპერატივის წევრებისაგან საერთო კრების მიერ დაწესებული შესასვლელი და საპაიო შესატანების მიღება;
  - ბ) გეგმების, ხარჯთალრიცხვებისა და ონგარიშების შედგენა;
  - გ) სახლმფლობელობის მართვა;
  - დ) მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება და დათხოვნა;
  - ე) კონპერატივის სახელით გარიგების შესრულება და ხელშეკრულებათა დადება;
  - ვ) კონპერატივის წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და აღმინისტრაციულ დაწესებულებაში;
  - ზ) კონპერატივის წევრთა სიის წარმოება და საქმისწარმოება;
  - თ) ონგარიშარმოება და ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა მოვალეობათა შესრულობა.

31. კონპერატივის გამგეობას უფლება აქვს თავისუფლად განაცხოს საბინაო მშენებლობის კონპერატივის ნალი სახსრები, რომელიც ინახება ბანკში მიმღინარე ანგარიშზე. ამა თუ იმ ლიმიტებათ შეუზრულდავთ.

32. სარევიზიო კომისიის იტენციების საერთო კრება 3 წევრის შემაღლენლობით 2 წლის ვადით და არის ორგანო, რომელიც კონტროლს უწევს და რევიზიის უკითხებს გამგეობის საქმიანობას.

33. კონცერტივი თავის საქმიანობას ახორციელებს იმ ადგა-  
ლობრივი საბჭოს მეთვალყურეობითა და კონტროლით, რომელმაც  
გაატარო მისი წესრიგის რეაგირება რეაგირება კიაში.

34. Տամոյալով-Շուղլեթրով Հայա Կռուցերանիւսա դա մուս Ռյազ-  
հյէծ Շորուն Եկատերինա Տասամարտուն Ռյէսուտ.

VII. კომპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მიხილვა

35. საბინაო მშენებლობის კონკერატივის საქმიანობა მისი საქმებისა და ქონების ლიკვიდაციით შეწყდება იმ შემთხვევაში:  
ა) როცა სასამართლო იცნობს კონკერატივს ვალუვალად;  
ბ) როცა სასამართლოს დადგენილებით კონკერატივი აცდენილია წესდებაში აღნიშნულ მიზნებს;

გ) როცა კონპერატივის საერთო კრება საჭიროდ დაინახეს მის ლიკვიდაციას. თუ ამ დადგენილებას დაამტკიცებს მშრომელთა დუ-  
პუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

36. კონპერატივის საქმეების ლიკვიდაცია ხდება შესხებამისად  
მოქმედი კანონებისა კონპერატიული ორგანიზაციების საქმიანობის  
შეწყვეტის წესის შესახებ იმ ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენ-  
ლის სავალდებულო მონაწილეობით, რომელმაც რეგისტრაციაში  
გაატარა კონპერატივის წესდება.

37. კონპერატივის ქონება, რაც დარჩება კონპერატივისადმი  
წარდგენილი ყველა პრეტენზის დაქმაყოფილების შემდეგ, ყველა  
საქმე და საბუთი გადაეცემა ადგილობრივ საბჭოს, რომელმაც რე-  
გისტრაციაში გაატარა კონპერატივის წესდება.

38. საბინაო მშენებლობის კონპერატივის მეპაიენებს, რომელნიც  
ცხოვრობენ ლიკვიდირებული კონპერატივის სახლებში, ენიჭებათ  
უპირატესი უფლება დადონ დაქირავების ხელშეკრულება მათ მიერ  
დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე.

### 30

საქართველოს სსრ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქტების  
სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოების ნატურ-  
საზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი  
წესის, ფასებისა და პირობების შესახებ

პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული უდიდესი ლი-  
ნისძიებანი, მიმართული საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ  
განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა საღურების რეორგანიზაცია-  
საკენ, რომლებიც ამჟამად ხორციელდება, დიდ შესაძლებლობას  
ქმნიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადადები-  
სა, ზრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის ოვითო-  
რებულების შემცირებისათვის სოფლის მეურნეობაში. სოფლის მე-  
ურნეობის წარმოების ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა  
კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958  
წლის ივნისის პლენურის დადგენილებას. რომელმაც დააწესა ერთია-  
ნი ფორმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზა-  
დებისა—უალკეული ზონების მიხედვით დიფერენცირებულ ერთიან  
ფასებში შესყიდვის წესით.

დამზადების ორგანიზაციის ახალი წესი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთიანი შესასყიდი ფასების დაწესება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეობა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას. პროდუქტის ერთეულზე შრომისა და სახსრების ხარჯების შემცირებას.

„სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტკ-ების სამუშაოების ნატურსაზღაურის გაუქენების. ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 ივნისის № 690 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ-ში 1 ივლისიდან კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის. ზეთოვანი კულტურების თესლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და თვივის სავალდებულო ჩაბარება, ერთი პროდუქტით მეორე პროდუქტის შეცვლისა და ჩათვლის სისტემა, აგრეთვე ნატურსაზღაური მუშაობისა, რომელსაც მანქანა-ტრაქტორთა, სარემონტო-ტექნიკური და სპეციალიზებული სადგურები ასრულებენ კოლმეურნეობებში.

დაწესდეს, რომ მუშაობა, რომელსაც სარემონტო-ტექნიკური, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურები ასრულებენ კოლმეურნეობებში, 1958 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურდება ფულით კოლმეურნეობების მიერ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, 2 კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ სამუშაოების შეფასებათა პროექტი (ფულადი გამოხატულებით). რომელთაც ასრულებენ საქართველოს სსრ სარემონტო-ტექნიკური სადგურები (მათ შორის 17 სარემონტო-ტექნიკური სადგური მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფუნქციებით), მანქანა-სამელიორაციო და მეცხოველეობის სამაქანო საღურები.

3. ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს აანალზაურონ სამუშაო, რომელიც სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და სპეციალიზებულმა სადგურებმა შეასრულეს 1958 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე ფულით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ შეფასებათა მიხედვით, ხოლო

სამუშაო. რომელიც შესრულებულია 1957 წელს 1958 წლის მოსავლისათვის, აანაზღაურონ (კოლმეურნეობათა შეხედულებით) ნატურით ან ფულით სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმ ფასების მიხედვით, რომელიც დაწესებულია ამ დადგენილებით.

დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და რაიალმასკომებს საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინონ თავიანთი შეაძგომულობანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმის შესახებ, რომ მისცენ ცალკეულ კოლმეურნეობებს 2—3 წლის (ნაწილობრივ ან სრულად) ვადა იმ სამუშაოს ასანაზღაურებლად. რომელიც მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულმა სადგურებმა შეასრულეს 1957 წელს 1958 წლის მოსავლისათვის.

4. დაწესდეს. რომ 1958 წლიდან მარცვლეულის, მზესუმშირასა და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლის, კარტოფილის, ჩაის ფოთლის, შაქრის ჭარბლის, თამბაქოს, ბოსტნეულის, საჩამოთრის, ნესვის, თესლოვანი და კურკვევანი ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფისა და ენკრის, ყურძნის, ხმელი ხილის, დაფვნის ფოთლის, თაფლის, ბოსტნეულის, ბალჩეულისა და საკეები ძირხვენების თესლის, ეთერზეთოვანი და სამჯურნალო კულტურების, თოვის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ბეწვეული ნედლეულისა და ტყავნედლეულის. თუთის აბრეშუმის პარკის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო დამზადება ხდება კოლმეურნეობებში სახელმწიფო შესყიდვის წესით.

5. ჩამოეწეროს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს მათზე რიცხველი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების, კონტრაქტაციისა და მტს-ების და სპეციალიზებული სადგურების სამუშაოებისათვის ნატურსაზღაურის გასული წლების მთელი დავალიანება 1958 წლის 1 ივლისის მდგომარეობით. ამასთან არ უნდა შემცირდეს საერთო მოცულობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარებისა იმ გეგმით, რომელიც კოლმეურნეობებს დაუწესეს 1958 წლისათვის.

6. დაწესდეს. რომ მეცხოველობის პროდუქტისათვის, რომელიც კოლმეურნეობებმა მიმდინარე წლის 1 ივლისამდე ჩაბარეს სახელმწიფოს. აგრეთვე მემცნარეობის პროდუქტისათვის, რომელიც ჩაბარებულია 1958 წლის მოსავლიდან სავალდებულო ჩაბარების, კონტრაქტაციის, სახელმწიფო შესყიდვისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობისათვის ნატურსაზღაურის მიხედვით.

1958 წლის ანგარიშში, ხდება შესაბამისი გადაანგარიშება ამ დადგენილებით დამტკიცებული შეფასებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ორგანიზაციებსა და საწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღება სახეობათა მიხედვით. აგრეთვე პასუხისმგებლობა მათვეის დაწესებული გეგმების შესრულებისათვის, მიღებული პროდუქციის ჩარისხის შენარჩუნებისათვის და დადგენილი წესით დამზადების შესახებ ანგარიშების წარდგენისათვის, № 1 დანართის თანახმად.

8. მიღებულ იქნას ახალ დამზადებათა ცალკეული რაიონების, ჯიშებისა და სეზონების მიხედვით ღიფურენცირებული შესასყიდი ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, რომლებზედაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა რესპუბლიკისათვის საშუალო ფასები. №№ 2—8 დანართების თანახმად.

აღნიშნული ღიფურენცირებული შესასყიდი ფასები წარდგანის დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

9. ჯიშიანი ნათესების გაფართოებისა და საუკეთესო ჯიშების მარცვლეული. ზეთოვანი კულტურების თესლის და სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების წახალისების მიზნით, დარტკიცდეს შესასყიდი ფასების ფულადი დანამატების ოდენობა და ამ კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადებისა და გაცემის სხვა პირობები. № 9 დანართის თანახმად.

10. დამტკიცდეს ახალი შესასყიდი ფასები, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, რომლებზედაც არა დაწესებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შესასყიდი ფასები, №№ 10—14 დანართების თანახმად.

დაწესდეს, რომ გარეული ხილის, კენკრისა და სოკოს შესყიდვა წარმოებს იმ ფასებით, რომლებიც იქმნება საკოლმეურნეო ბაზრებზე დამზადების ადგილებში.

11. შენარჩუნებულ იქნას ჩაის ფოთლისა და ტუნგოს ნაყოფის ამჟამად მოქმედი დამზადებელი ფასები.

ტყავნედლეულის (რომანვის ცხვრის ტყავის ბეწვეულისა და ქურქეულის გარდა) შესყიდვა ხდება მოქმედი შესასყიდი ფასებით.

ბეწვეულისა და ტყავნედლეულის დამზადება ხდება არსებული დასამზადებელი ფასებით, ამასთან შენარჩუნებულ უნდა იქნას ამჟამად მოქმედი დამატებანი და პრემიები სამონადირეო რეწვით მოპოვებული ბეწვეულის დასამზადებელ ფასებს ზევით, აგრეთვე შეღავათები მესარეწვე მონადირეებისათვის მათვეის თოფებისა და სანადირო ტყვია-წამლის მიყიდვის დროს.

12. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ახალი შესახყილი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით, გაუქმდეს კოლმეურნეობებისათვის პრემია-დანამატების მიცემა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისას. აგრეთვე შაქრის ჭარხლის თესლის უფასოდ მიცემა.

13. დაწესდეს. რომ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული მარცვლეული. ზეთოვანი კულტურების თესლი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, პირუტყვი, რძე, მატყლი და მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები მათ მიაქვთ დამამზადებელი ორგანიზაციებისა და გადამშემუედებელი მრეწველობის საწარმოთა მიმღებ პუნქტებში 25 კილომეტრამდე მანძილზე კოლმეურნეობათა ხარჯით, ხოლო როცა ეს პროდუქტები უფრო მეტ მანძილზე მიაქვთ, დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები კოლმეურნეობებს უხდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვის ლირებულებას 25 კილომეტრზე მეტ მანძილზე ავტოგადაზიდვის ერთიანი ტარიფებით.

14. დაწესდეს, რომ 1958 წლის 1 ივნისიდან პროდუქცია, რომელსაც სახელმწიფოს და კოოპერაციულ ორგანიზაციებს მიჰყიდიან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი, ანაზღაურდება შესახყილი ფასებით, რომლებიც ამ დაღენილებით დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის შესაბამის პროდუქციაზე.

15. შენარჩუნებულ იქნას კოლმეურნეობებისათვის, რომელნიც სახელმწიფოს მიყიდიან ჩაის ფოთოლს, თამბაქოს, თუთის აბრე-შუმის პარქს, მარცვლეულის მიყიდვის წესი; მიეყიდოს აგრეთვე შაქრის ჭარხლის ჩამბარებლებს, მცენარეულის ზეთი და კოპტონი—ზეთოვანი და ეთერზეთვანი კულტურების თესლის ჩამბარებლებს, ფქვილი—ბეწვიულ-ტყავეულის ჩამბარებისას მონადირებებს ძირითად სარეწ რაიონებში, ნაბდის ფეხსაცმელი და თექა—მატყლის ჩამბარებლებს.

მარცვლეულის, ფქვილის, მცენარეულის ზეთის. ნაბდის ფეხსაცმლის, თექისა და კოპტონის გაყიდვა ხდებოდეს საცალო ფასებით სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით, ხოლო შაქრისა—შაქრის ჭარხლის ჩამბარებლებისათვის და კოპტონისა—ზეთოვანი კულტურების თესლის ჩამბარებლებისათვის მოქმედი შეღავათიანი ფასებით. კოლმეურნეობათა მიერ ამ საჭონლის ყიდვისას უშუალოდ მოვარე საწარმოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებში, სავაჭრო ფასდაკლება მიენიჭებათ დაწესებული ოდენობით სამომხ-

მარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს საეგაჭრო ხარჯების დახა-  
ფარავად.

გაუქმდეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის შემხეველრი  
გაყიდვა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის  
შესყიდვის დროს.

16. დაევალოს დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარ-  
მოების ხელმძღვანელებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პრო-  
დუქტებსა და ნედლეულს იღებენ, კოლმეურნეობებს აძლიონ ფუ-  
ლადი ავანსები სახელმწიფოსათვის მისაყიდი მარცვლეულის, კარ-  
ტოფილის, ბოსტნეულის, შექრის ჰარხლის, თამბაქოს, ჩიის ფოთ-  
ლის, ხილის, ყურძნის, ბალჩეული კულტურების. ეთერზეონგანი  
კულტურების, ზეთოვანი კულტურების თესლის, ბალახების თესლი-  
სა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე თუთის აბრე-  
შუმის პარკის, ბეჭვეულისა და ტყავნედლეულის ლირებულების 25  
პროცენტის რაოდენობით და სახელმწიფოსათვის მისაყიდი ხორ-  
ცის (პირუტყვისა და შინაური ფრინვლის), კვერცხისა და შატყლის  
ლირებულების 20 პროცენტის რაოდენობით ისე. რომ კოლმეურ-  
ნეობებს არ გადაახდევინონ პროცენტები ავანსით სარგებლობი-  
სათვის.

დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების ხარჯები  
სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის  
მიეკუთვნოს შესაბამისად მიმოკცევის ხარჯებს ან ამ ორგანიზაციე-  
ბისა და საწარმოების პროდუქციის თვითონირებულებას.

17. კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურების მეურნეობისაგან  
რძის შესყიდვის გაუმჯობესების, რძის ნამეტის რეალიზაციის საქ-  
მეში მათთვის დახმარების გაწევის, ამ მიზნისათვის სახელმწიფო  
სახსრების ხარჯების შემცირების და კოლმეურნეთა სამუშაო დროის  
გაუმართლებელი ხარჯების ლიკვიდაციის მიზნით. გაუქმდეს 1958  
წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის  
საბჭოს ტრესტ საქაველკარაგმრეწვის ხაზით რძისა და რძის პრო-  
დუქტების მიმღები 400 პუნქტი რიცხვებში. № 15 დანართის თა-  
ნახმად.

18. იმ რაონებში, სადაც ხდება რძის მიმღები პუნქტების  
ლიკვიდაცია, რძისა და რძის პროდუქტების მიღება კოლმეურნეე-  
ბის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურების მეურნეობებიდან დაეკისროს  
კოლმეურნეობებს 1958 წლის 1 სექტემბრიდან; ამ კოლმეურნეო-  
ბათა გამგეობებმა უზრუნველყონ მიღებული რძის, აგრეთვე საკოლ-

მეურნეო წარმოების რძის მიტანა რძისა და ერბო-კარაქის მრეწველობის უასლოეს საწარმოებში.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ტრესტ საქცეულკარაქმრეწვეს აუნაზღაურობ კოლმეურნეობები, ინდივიდუალური მეურნეობებისაგან მიღებული რძისა და მისი გადამუშავების პროცესების მიტანის ხარჯები.

19. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) მიყიდოს სათანადო კოლმეურნეობებს მათი თანხმობით მთელი ინვენტარი, ტარა და მოწყობილობა, რომელიც მოიპოვება რძის მიღებ გაუქმებულ პუნქტებში;

ბ) აღმოუჩინოს კოლმეურნეობებს მუდმივი კვალიფიციური დახმარება ტექნოლოგიისა და რძის მიღების ორგანიზაციაში;

ვ) უზრუნველყოს კოლმეურნეობების მომარაგება დოკუმენტაციის ბლანკებით კოლმეურნეობისა და მუშა-მოსამსახურეების მეურნეობებისაგან რძისა და რძის პროცესების მიღების შესახებ;

(დ) ყოველი თვის 3, 13, 23 რიცხვებში სრული ანგარიში გაუსწოროს კოლმეურნეობებს მიღებული და წარმოებაში მიტანილ რძეში იმ ვარაუდით, რომ კოლმეურნეობებმა დროულად გადაიხადონ კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეების მეურნეობებისაგან მიღებული რძის ლირებულება; კონცენტრაცია უყოს ამ სახსრებს სახბანების რაიონულ განყოფილებებში განსაკუთრებულ ანგარიშზე.

20. დაევალოს სახბანების საქართველოს კანტორის მითითება მისცეს ბანკის რაიონულ განყოფილებებს განსაკუთრებული ანგარიშების გახსნის შესახებ იმ კოლმეურნეობებისათვის, რომელთაც აქვთ რძისა და ერბო-კარაქის მრეწველობის საწარმოებთან ანგარიშსწორება კოლმეურნეობების მიერ რძისა და რძის პროცესების ჩაბარებისათვის.

21. დაევალოს ცეკვების გამგეობას გამოაკვეთოს მოთხოვნილება და შეიტანოს სათანადო რაიონებში იმ კოლმეურნეობებისათვის, მისაყიდად. რომელიც ლებულობენ რძეს კოლმეურნეების მეურნეობებისაგან. ცენტროფუგები, ცენტროფუგები, მარლა, ჰურკლის სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებანი.

22. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 2 კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი წინადადებანი დამამზადებელი აპარატის, პირველ რიგში ტრესტ საქხორცმეწვესა და საქუონსერვტრესტის აპარატის. გამარტივებისა და შემცირების შესახებ; ამასთან ერთად, შეისწავ-

ლოს საკითხი და ორი თვის განმავლობაში წარმოადგინოს თავისი წინაღადებანი კოლმეურნეობებისათვის რჩის გადამუშავებელი წვრილი საწარმოების გადაცემის შესაძლებლობის შესახებ.

23. იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას კოლმეურნეობა არამწარმოებლური ხარჯები თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის გაყიდვისას, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მოაწყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება კოლმეურნეების გაც და მათი მიზიდვა კოლმეურნეობათა საშუალებებით სახელმწიფო და კოოპერაციულ მიმღებ პუნქტებში და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებს აუნაზღაურონ სატრანსპორტო ხარჯები.

24. იმასთან დაკავშირებით, რომ დამამზადებელი ორგანიზაციების ხარჯები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის კვლავ მაღალია, მთელი რიგი რაიონების მიმღებ პუნქტებში, ბაზებსა და საწყობებში ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გაფუჭებას, პირუტყვისა და ფრინვლის ცოცხალი წონის დანაკარგს, არაარაციონალურ ტეირტზიდვას; ჯერ კიდევ დიდია აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამუშავების ხარჯები სამრეწველო საწარმოებში და დამამზადებელი და მოვაჭრე ორგანიზაციების მიმოქცევის ხარჯები, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

დაევალოთ ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს მიიღონ დამამზადებელ, გამსაღებელ და მოვაჭრე ორგანიზაციებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ზედმეტი რგოლების შემცირების ღონისძიებანი, აღმოფხვრან უყაირათობა სოფლის მეურნეობის პროდუქტის დამზადებაში, შენახვაში, გადამუშავებასა და რეალიზაციაში; უზრუნველყონ ხარჯების მკეთრი შემცირება, დამზადებული პროდუქტის სრული დაცვა-შენახვა, არ დაუშვან პროდუქტის გაფუჭება და ხარისხის გაუარესება.

შშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ზუსტი კონტროლი დაწესონ დამამზადებელი, მოვაჭრე ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების მუშაობისაღმი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, გადამუშავებისა და შენახვის საქმეში.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კონტროლის კომისიას პერიოდულად შეამოწმოს დამამზადებელ და მოვაჭრე ორგანიზაციებში სახელმწიფოს მიერ შესყიდული სოფლის

მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებისა და შენახვის მდგრადარეობა.

25. დაეკისროს აცხაზეთის ასარ და აჭარის ასარ მინისტრთა საბჭოებს; სამხრეთ ისეთის ევრონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და რაიალმასკომებს პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დაწიადების ორგანიზაციისა და გეგმების შესრულებისათვის. აგრეთვე კონტროლი დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობისადმი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებისა და მათი შენახვის უზრუნველყოფის საქმეში.

26. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ჩამბარებლების მიხედვით დაწიადებათა გეგმების შესრულების აღრიცხვა დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტატისტიკურ საშმართველოს და დაევალოს მას გამოუშვის დადგენილი წესით ნაკრები ცნობები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის მიმღინარეობის შესახებ.

27. იმის გამო, რომ სახელმწიფო კოლმეურნეობებისაგან ყიღულობს მხოლოდ სასაქონლო პროდუქციის ნაწილს, რჩევა შეიცემ კოლმეურნეობებს მოაწყონ კომბოსტოსა და კიტრის დაწინილება, ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის გადამუშავება და გასმობა, აგრეთვე ქალაქებსა და მუშაობა დაბებში გახსნან თავისი ფარდულები, კარვები და მაღაზიები ბოსტნეულის (ახალი და ვადამუშავებული სახით) კარტოფილის, ფრინველის, კვერცხის, ახალი რძისა და რძის პროდუქტების და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მუდმივი გაჭრობისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ გაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. 1 თვეს ვადაში წარმოადგინოს თავისი წინადადებანი რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშაობა დაბებში საკოლმეურნეო მოვაჭრე წერტების გახსნის შესახებ.

28. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უფრო გაუმჯობესებული და მწარმოებლური ტექნიკის დანერგვის მიზნით, კოლმეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სალგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და ორგანიზაციებს შეიყიდოთ წარმოებაში ახლადასათვისებელი ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები იმ ფასებით, რომლებიც წესდება მანქანების იმ თვითღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება მათი მასობ-

რივი სერიული გამოშვების დროს ამ მანქანების ათვისების მეორე წელს და ორნტაბელობა შეადგენს 3 პროცენტს.

წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ფინანსთა სამინისტროს განსხვავება აღნიშნული მანქანების ათვისების პირველ წელს მათ საგეგმო თვითღირებულებასა და იმ ფასებს შორის, რომლებიც დაწესდება საგეგმო თვითღირებულების საფუძველზე მათი ათვისების მეორე წელს. გაითვალისწინონ რესპუბლიკის გეგმასა და ბიუჯეტში.

29. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებს მინერალური სასუქი აგრეთვე შავი და ფერადი ლითონები სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის და ლითონის ნაწარმი 1958 წლის 1 ივნისიდან მიეყიდოთ საბითუმო ფასებში. რომლებიც ამჟამად მოქმედებს, ამასთან ანაზღაურდება ფაქტიური სატრანსპორტო ხარჯები. აგრეთვე სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და სოფლის მეურნეობის მომარავების ორგანიზაციათა გასაღების ხარჯები.

30. დაწესდეს, რომ მარცვლეული ფურაჟი და კონცენტრირებული საკვები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეყიდებათ მოქმედ ერთიან სახელმწიფო საცალო ფასებში.

31. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, 2 კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და სოფლმეურნმომარავების ორგანიზაციების გასაღების ხარჯების ნორმები.

32. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1 თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებელთა შეცვლის გაანგარიშება იმასთან დაკავშირებით. რომ წესდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატრანსპორტო ავტომობილების, ნაეთობპროდუქტებისა და მასალების ახალი ფასები.

33. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვენახევრის განმავლობაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ტრაქტორებზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მათ სათადარიგო ნაწილებზე მოთხოვნილების შესახებ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაკვეთების საფუძველზე 1959 წლისათვის მათი წარმოების გეგმების შესახებ. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მეურნეობების ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ისეთი მანქანების კომპლექტის შექმნა. რომლებიც საშუალებას იძლევიან შემოვიდოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების მკეთრი გადიდებისა და სოფლის რეურნების პროდუქციის თვითლირებულების შემცირებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმიანობისა მმართველი გ. პაპაშვილი.

ქ. ობილისი, 1958 წლის 15 ივნისი, № 446.

---

650

ବ୍ୟାକ୍ ପାଇଁ ବ୍ୟାକ୍ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତାରେ ଯୁଦ୍ଧକାରୀ  
ହେଉଥିଲୁଗାନ୍ତିରେ କାହାରେ  
କାହାରେ ପାରିବାରି

არც ერთ მისტერი, ვერდები  
სო, წრიუ არა ას პირები  
კორექტურის გამოყენება არის

Ad. 1865-1870, 2220 ဒု မိန္ဒာ  
သွေးထွေးလွှာ၏ ပြန်လည် သတ်မှတ်ခြင်း

ବ୍ୟାକିନ୍ଦ୍ରିୟରେ ପାଇଁ ଉଚ୍ଚତାପରିମା ଲାଗିଥାଏ

ପ୍ରକାଶକ ପତ୍ରିକାରେ ଅନୁମତି ଦେଇଥିଲାଏବେ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების დანართი № 2

სახელმწიფოსათვის კოლეგიურნეობების მიერ მიყიდული  
მარცვლეული კულტურების შესახყიდი ფასები (საბაზისო  
კონდიციების I ცენტრერ მარცვლეულში მანეთობით)

### I. მარცვლეული კულტურები

რბილი ხორბალი	80
ჰერი	75
შერია	15
ფეხვე	80
საკვები ქერი	55

### II. სიმინდი და პარკოსანი მცენარეები

#### სიმინდი:

კაუა თეთრი და ყვითელი, ტკბილი	75
კბილა თეთრი და ყვითელი, რბილი ფერით ერთტიპური	55
ნაირტიპური (ნარევი)	50
ლობიო თეთრი	220
ლობიო — ფერით ნარევი	180
საფურავე ცერცველი	120

მაგარი და მძლავრი ჯიშების ხორბლის საზღაური 40 პროცენტით აღმატება რბილი ხორბლის ფასს, ხოლო ლუდსახდელი ჯიშების ქერისა — 20 პროცენტით რბილი ხორბლის ფასს, ქერის ჯიშების სიით, ჩასაც ამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსთან ერთად.

საზღაური ხარისხით უფრო ძვირფასი ჯიშების მარცვლეული კულტურების მარცვლისა იმ სიით, რასაც ყოველწლიურად ამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსთან ერთად, 10 პროცენტით აღმატება შესაბამის მარცვლეულ კულტურებზე დაწესებულ ფასებს.

სხვადასხვა კულტურისა და ტიპის მარცვლეულის ბრნებრივი ნარევი და არასრულფასოვანი მარცვლეული ანაზღაურდება შემდეგი წესით:



ა) მაგარი ხორბალი ობილი ხორბლის მინარევით 15 პროცენტამდე — მაგარი ხორბლის ფასით, ხოლო ობილი ხორბლის მინარევით — 15 პროცენტზე ზევით — ობილი ხორბლის ფასით;

ბ) ხორბალი ჭვავის მინარევით — 15 პროცენტამდე — ობილი ხორბლის ფასით, ხოლო ჭვავის მინარევით 15 პროცენტზე ზევით — ჭვავის ფასით:

გ) ხორბალი ქერის მინარევით 15 პროცენტამდე — ობილი ხორბლის ფასით, ხოლო ქერის მინარევით 15 პროცენტზე მეტად ხორბლისა და ქერის ფასით ამ კულტურების კუთრი წონის შესაბამისად;

დ) განვითარებადაუსრულებელი ან ყინვანაკრავი შემცველობის, აგრეთვე ბეირი, კუსებურა ბალინჯოთი დაზიანებული ხორბალი. 650 გრამზე ნაკლები (600 გრამამდე) ნატურალური წონით — ფასზე 15 პროცენტის ჩამოკლებით, ხოლო 600 გრამზე ნაკლები ნატურალური წონით — 30 პროცენტის ჩამოკლებით:

ე) ჭვავი 600 გრამზე ნაკლები (550 გრამამდე) ნატურალური წონით — ფასზე 15 პროცენტის ჩამოკლებით, ხოლო 550 გრამზე ნაკლები ნატურალური წონით — 30 პროცენტის ჩამოკლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების დანართი № 3

## შესასეილი ფასები

ზეთოვანი და უფერზეთოვანი კულტურებისა, რომლებსაც  
კოლმეურნეობები მიყიდიან სახელმწიფოს

(მანეთობით ცენტრურში საბაზისო კონდიციების თესლი)

### 1. ზეთოვანი კულტურების თესლები

1. მზესუმზირას თესლი . . . . .	160
2. სოის . . . . .	250

სუპერელიტის, ელიტის და პირველი ორი რეპროდუქციის მზე-  
სუმზირას მაღალზეთოვანი ჯიშების თესლი, რასაც კოლმეურნეო-  
ბები, საბჭოთა მეურნეობები და დამხმარე მეურნეობები აბარებენ  
სახელმწიფოს პრობირებული და რეგისტრირებული ნათესებიდან,  
ანაზღაურდება ფულადი დანამატით 12 პროცენტის ოდენობით და  
მესამე და მეოთხე რეპროდუქციის მზესუმზირას ჯიშებისა — შე-  
სასყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით.

მზესუმზირას მაღალზეთოვანი ჯიშების სიებს. რომელთა მიხედ-  
ვითაც ხდება დანამატის გაცემა, აწესებს სსრ კავშირის სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის პურპროდუქტების სამი-  
ნისტროსთან ერთად.

### 2. ეთერზეთოვან კულტურებზე

ვარდი (ახალი ყვა- ვილები)	ბასილიე (მწვანე მასა)	ნემისიწვერა (მწვანე მასა)
560	200	1/X-დან 31/X-მდე ჩაბარებული . . 200 31/X შემდეგ ჩაბარებული . . 140

ჩვეულებრივი, ჯიშიანი, სათესლე და სარგავი მასალის შესასყიდ  
და გასაცემ ფასებს, აგრეთვე ჯიშების სიას, რომელთა მიხედვითაც  
ხდება საჯიშე დანამატის გაცემა, და მის ოდენობას აწესებს სსრ კავ-  
შირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა  
სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი 3. პაპაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
ადგენილების დანართი № 4

## შესასეიდი ფასები.

შაქრის ქარხლისა, რომელსაც კოლმეურნეობები მიყიდიან  
სახელმწიფოს

(მანეთობით ცენტრის)

სამხრეთ ოსეთის ა/თ ლენინგრადისა და

სტალინირის რაიონებში, გორის, ქარელის

და კასპის რაიონებში

— 22

სამხრეთ ოსეთის ა/თ ზნაურის რაიონისა

და ხაშურის აიანებში

— 27

შაქრის ქარხნებსა და შაქრის ქარხლის ბაზებს ნება ეძღვევათ გა-  
დაუხადონ სურვილისამებრ შაქრის ქარხლის ჩამბარებლებს ნაცვ-  
ლად შაქრისა, რაც მათ შეღავათიანი ფასით ეკუთვნით, ფული შაქ-  
რის შეღავათიან და საცალო ფასებს შორის არსებული სხვაობის  
ოფენიბით, დაწესებული სავაჭრო და განაღების ფასჩამოკლების  
გაძლიერებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი აძლევს შაქრის ქარხნებსა და  
შაქრის ქარხლის ბაზებს საჭირო ფულად სახსრებს კოლმეურნეო-  
ბებთან და კოლმეურნებთან ანგარიშმწოდებისათვის. ნაცვლად  
მათვის შაქრის მიცემისა შეღავათიან ფასში შაქრის ქარხლის ჩამ-  
ბარებლებისათვის ფაქტიურად გაცემული თანხის შაქრის შეეწევ-  
ლობის პროცესის ბრუნვის გადასახადის საერთო შემოსულობათა  
ხარჯზე მიკუთვნებით.

იმ კოლმეურნეობებს, რომელიც პირველად იწყებენ შაქრის  
ქარხლის თესებს, მიეცემათ მისი დამუშავების პირველი სამი წლის  
განმავლობაში დანამატი 30 პროცენტის რაოდენობით ამ რაიონში  
ქარხალზე დაწესებულ შესასყიდ ფასზე.

მუშაობის ხანგრძლივი ვადით ნედლეულით უზრუნველყოფილი  
შაქრის ქარხნების ზონებში კოლმეურნეობებს მიეცემათ შესასყიდი  
ფასის დანამატი 20 პროცენტის რაოდენობით შაქრის ქარხლისათვის,  
რასაც კოლმეურნეობები ჩააბარებენ 15 სექტემბრამდე შაქრის  
ქარხნებთან შეთანხმებული რაოდენობით.

შაქრის დამამზადებელ პუნქტებში 15 სექტემბრამდე ჩაბარებუ-  
ლი შაქრის ქარხალი იმ რაოდენობის ვადაშეტებით, რაც დაპირობე-  
ბულია შაქრის ქარხნებთან მოხდენილი შეთანხმებებით, ანაზღაურ-  
დება შესასყიდი ფასით უდანამატოდ.

მოყინული და დამკვნარი შაქრის ჭარხალი ანაზღაურდება შესას-  
ყიდ ფასზე 20 პროცენტის ფასჩამოკლებით.

შენარჩუნებულია დურდოს უფასოდ მიცემა შაქრის ჭარხლის  
ჩამბარებლებისათვის.

შაქრის ჭარხლის დაკაგატებას ანაზღაურებენ შაქრის ქარხნები  
კოლმეურნეობებთან შეთანხმებით.

შაქრის ჭარხლის ოცსლი მიეცემათ კოლმეურნეობებს ცენტნერი  
500 მანეთად მოქმედ სახ. საერთო საკავშირო სტანდარტის არა ნაკ-  
ლები მეორე კლასის სათესი კონდიციების ოცსლისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.

ສາງ. ສສລ ມິນສຕ່າງຕາ ສະບົບສາ  
1958 ປີລືບ 15/VII ໂດ 446  
ຮາມກຽນໂລງດີບ ແກ້ວມະນຸຍາ ໂດ 5

## ສອນເປົດໃຈ ອາວເວັບ

ຕູ້ຕາໂລກ ທັກລົງລົງມີສ ປາກຸໂຄສາ, ລົມເລືສາຜ ການລົມເງົ່າຮົງເງົງບີ ມີຢາດໂລກ  
ສາຂະລົມທຶນໄຕ

(ມີມັງຕອນບົດຕ ກົດລາຍງານ)

	ກົດລາຍງານ	ມີມັງຕອນບົດຕ
ຫຼັກທີ່		
I ຄາຮົບສົນ	51	—
II ຄາຮົບສົນ	47	33
III ຄາຮົບສົນ	41	29
ຫຼັກທີ່	35	25
ຫຼັກທີ່	4	4
ຫຼັກທີ່	2	2
ສູງເກົ່າລົມທຶນ	165	150
ເລືອກທຶນ	143	130
ກົດມີມານີ	99	90

\* ) ດັບຮູ່ສູງມີສ ປີໂລ ມາລາລົມການແຫຼ່ງກົດລາຍງານ ຕັ້ງຕ່າມກຸດໝາຍ ແລ້ວ ຕັ້ງຕ່າມກຸດໝາຍ ແລ້ວ ດັບຮູ່ສູງມີສ ປີໂລ ມາລາລົມການ ພົມມູນຕະຫຼາດ ດັບຮູ່ສູງມີສ ປີໂລ ມາລາລົມການ ເພື່ອ ດັບຮູ່ສູງມີສ ປີໂລ ມາລາລົມການ ເພື່ອ ດັບຮູ່ສູງມີສ ປີໂລ ມາລາລົມການ.

ອີເມວກົດກົດໝາຍ, ສານີມ—ເງ1, ສານີມ—ເງ2, ສານີມ—8, ສານີມ—9, ກາບໜຸ່ງ, ອົມ—  
ຮູ່ລົມ, ອົມ—1, ອົມ—2 ແລ້ວ ອົມ—1, ດາ ອົມ—2 ດັບຮູ່ສູງມີສ ດັບຮູ່ສູງມີສ.

ສາງົດຕັ້ງເລືອກ ສສລ ມິນສຕ່າງຕາ ສະບົບສາ

ສາງົດຕັ້ງ ມິນສຕ່າງຕາ 3. ຢະຊາທິປະໄຕ.

საქ. სსრ მინისტრთა სიმკოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების განართი № 6

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ବାବାନାନ୍ଦିନୀ

არაფერმენტირებული თამბაქოსი, რომელსაც კოლმეურნეობები  
მიყიდვაზ სახელმწიფოს

### (ມັນຍາຕະຫຼາດ ປະເທດລາວ)

რესპუბლიკური	ბოტანიკური ჯიშები და ზონები	სასაქონლო ხარისხები					
		I	II		III ხარისხი	IV ხარისხი	V ხარისხი
				გ	გ	გ	გ
საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ და აჭა- რის ასსრ გარდა)	სამსუნი . . . . .	4000	3000	1960	1500	810	
აფხაზეთის ასსრ	ტრაპეზონდი . . .	3300	2600	1570	1200	650	
	მახრილფოთოლა .	3200	2500	1510	1150	620	
	I ზონის სამსუნი .	5300	4200	2680	2050	1100	
	II ზონის სამსუნი	4750	3900	2350	1800	950	
	III ზონის სამსუნი	4200	3300	2100	1600	850	
	ტრაპეზონდი . . .	4100	3250	1960	1500	800	
	სასიგარე . . . . .	4750	3900	1900	1900	950	
	სამსუნი . . . . .	4200	3300	2100	1600	850	
	ტრაპეზონდი . . .	3800	2900	1830	1400	750	
აჭარის ასსრ							

ფასები დაწესებულია სასიგარე თამბაქოს ყველა ხარისხის და სტოსურად დამცავებული პირების ორი ხარისხის დანარჩენი ბოტანიკური გიშების თამბაქობზე; გარდა სამსუნის გრძელია.

შესამც ხარისხის ყველა ტიპის თამბაქოს ჩამარებისას, სასიგარე თამბაქოს გამზადა, სტანდარტულ დამტკავებული ან გაშლილ-გასწორებული ფოთლებით სტანდარტულ ცალების შეკრულ თამბაქოს ფასს დაუმატება ცენტრულ 300 მანეთი, ხოლო გაუშლელ-გაუსწორებული ფოთლებით სტანდარტულ ცალებად შეკრულ თამბაქოს—50 მანეთი.

კონდიციური, გარეშე მინარევისაგან გაწმენდილი ა ფარმატურა, აგრეთვე მოქინული თამბაქო (გაზელი) ანაზღაურდება მეოთხე ხარისხის თამბაქოს ფასის 25 პროცენტის ოდენბით.

თამბაქო, რომლის ფოთლის ფირფიტი დაობებულია ანა უმეტეს 1/5-ით, ანაზღაურდება მეოთხე ხარისხის ფასად, ხოლო თამბაქო, რომლის ფოთლის ფირფიტი დაობებულია 1/5-ზე უფრო მეტად, მაგრამ ანა უმეტეს 1/3-ისა—მეოთხე ხარისხის თამბაქოს ფასის 60 პროცენტის ოდენბით.

აფხაზეთის ასსრ ჯიშების პირველ და მეორე ზონებში დაურაი-ონებელი სამსუნის ტიპის თამბაქო ანაზღაურდება პირველ ზონაში მესამე ზონაში მოყვანილ თამბაქოზე დაწესებულ ფასად. ხოლო მეორე ზონაში—მესამე ზონის თამბაქოსათვის დაწესებული ფასის 10 პროცენტის ჩამოკლებით.

მესამე ხარისხის თამბაქოები იყოფა:

ა) ლია—ჟველა ფერისა და ელფერის. რაც დაშვებულია სახ. საერთო საკავშირო სტანდარტით 8073—56 შესაბამისი ტიპების—თვის. გარდა წაბლისფერისა და გაშავებულისა, ავრეთვე მუქი მწვანისა ფოთლის ფირფიტის 70 პროცენტზე გადამეტებით I და II ტიპების თამბაქოსათვის და ფოთლის ფირფიტის 30 პროცენტით დანარჩენი ტიპების თამბაქოსათვის.

ბ) მუქი წაბლისფერი (მაგრამ გაუშავებელი) და მუქი ყვითელი იმ ნორმების გადამეტებით. რომელნიც გაოვალისწინებულია ლია ფერის თამბაქოსათვის. ლია ფერისა და მუქი თამბაქოს თეასების დანარჩენი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს მესამე ხარისხის კონდიციებს სახ. საერთო საკავშირო სტანდარტით № 8073—56.

ახალი სელექციური ჯიშის თამბაქოს ფასებს აწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგენით ამ დადგენილებით დაწესებულ თამბაქოს ხარისხობრივ ფასებთან შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. პაპატაშვილი.

ქადაგი. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების დანართი № 7

### შესაძლიდი უავეგი

თამბაქოს თესლისა, რომელსაც კოლმეურნეობები მიყიდიან  
სახელმწიფოს

(მანეთობით კილოგრამში)

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი	შრტანგული ზარისხი	თესლის კლასი		
		I	II	III
აფხაზეთის ასსრ	სამსუნი . . . სწვა ზარისხის :	100	90	80
საქართველოს სსრ (გარდა აფხაზეთის ასსრ)	ზველა ზარისხის	80	70	60
		60	50	40

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმითა მმართველი პ. პაპატაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა ხაბურის  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგესილების დანართი № 8

## შესასეილი ფასები

მეცნიერეობის პროდუქტებისა, რომლებსაც კოლმეურნეობებია  
მიყიდიან სახელმწიფოს

I პირუტყვის, ფრინვლის და ბოცვერის

(ცოცხალი წონის უნიტერი მანეთობით)

მსველი რეიანი პირუტყვი	ც ხ ვ ა რ ი			
	ძირი ციფრი	ძირი ციფრი	ძირი ციფრი	ძირი ციფრი
I ზონა				
აჭარის ასსრ შეახების და ხულოს რა- იონები, სამხრეთ ოსეთის ა/ო ლენინგრა- დისა და გაერის რაიონები, ყაზბეგის, ლინ- ტერიებისა და მესტიის რაიონები . . .	950	700	560	950
II ზონა				
აჭარის ასსრ ქედის რაიონი, აღიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვეკის, დმანისის, დუშეთის, თანავეთის, თეთრი- წყაროს, წალკის, ონის, ბორჯომის და ახმეტის რაიონები . . . .	850	640	510	850
III ზონა				
აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ბათუ- მისა და ქობულეთის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ა/ო ზენაურისა და სტალინირის რაიონები, ახალციხის, ნეშტერის, ქარე- ლის, გორის, ქასპის, გურჯაანის, კაჭა- თის, სიღნაღმის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარეუბნის, მცხე- თის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგორისებრ, ქუთაისის, წყალტუბის, სამტ- რედის, წულუკიძის, განის, მაიკონესერს. ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩ- ხერის, ორჯონიშვილის, ტყიბულის, აბარო- ლაურის, ცაგერის, აბაშის, ცაცალის, გვ- გემპირის, ხევდილის, ხობის, წალენჯი- ნის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩჩე- თის, ჩოხატაურის რაიონები და ქ. ფოთი	770	570	455	740
დორი	ხაზორცე	მსუეანი	საბეკონი	
საქართველოს სსრ კულტ რაიონი . . .	800	840	950	

ქათმების, წიწილებისა და ინდაურების—ცოცხალი წონის კოლოგრამი 10 მანეთი.

იხვებისა და ბატების—ცოცხალი წონის კილოგრამი 8 მანეთი და 50 კაბ.

ბოცვერის: I კატეგორიის—7 მან. და II კატეგორიის 6 მან. ცოცხალი წონის კილოგრამი. კოლმეურნეობის. კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეების მიერ ბოცვერის ჩაბარებისას. გარდა ამისა. ვადაუხადონ ტყავისათვის (საშუალოდ): ზამთარში (1 ნოემბრიდან 15 მარტამდე) ერთ ტყავში 14 მანეთი. წლის დანარჩენ დროს—7 მან. 50 კაბ.

მაწოვარი ვოჭები: 6 კილოგრამამდე—13 მანეთი ცოცხალი წონის კილოგრამი.

I კატეგორიის ხბო ანაზღაურდება საშუალო შეხორცების პირუტყვის ფასად. ხოლო II კატეგორიის ხბო—საშუალოზე დაბალი შეხორცების პირუტყვის ფასად.

1 წლიდან 3 წლამდე ასაკის მსხვილი რქიანი პირუტყვის მოზარდეულისათვის ცოცხალი წონის მიხედვით გაიცეს შესაბამისი შეხორცების მსხვილი რქიანი პირუტყვის შესასყიდი ფასის ფულადი დანამატი შემდეგი ოდენობით:

როცა ცოცხალი წონაა 251-დან 300 კილოგრა-  
მამდე . . . . . 15 პროცენტი

როცა ცოცხალი წონაა 301-დან 350-მდე. . . 20 "

როცა ცოცხალი წონა აღმატება 350 კილო-  
გრამს . . . . . 25 "

1 წლამდე ასაკის მსხვილი რქიანი პირუტყვის მოზარდეულისა-  
თვის, როცა მისი ცოცხალი წონა არაა 200 კილოგრამზე ნაკლები,  
გაიცემა დანამატი შესასყიდი ფასის 15 პროცენტის ოდენობით.  
უკეთე ცოცხალი წონა 250 კილოგრამს აღმატება — 20 პროცენ-  
ტის ოდენობით!

თხის შესასყიდი ფასები მცირდება 15 პროცენტით ცხვრის  
ფასთან შედარებით.

1 საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 28 თებერვლის № 153 დადგენილებით  
კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა შეუჩერებების  
მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი 200—350 კილოგრამი და მეტი ცოცხალი  
წონის სამი წლის ასაკამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის შესა-  
ყიდი ფასების ფულადი დანამატი 1959 წ. 1 მარტიდან გაუქმდებულია.

6-დან 20 კილოგრამამდე წონის გოჭი და არასტანდარტული ლო-  
 რი ანაზღაურდება ამ დანართში აღნიშნული სახორცე ლორის ფას-  
 ზე 20 პროცენტით დაკლებულ ფასად.

შემცირებული კონდიციების (არასტანდარტული) მსხვილი რქია-  
 ნი პირუტყვის, ცხვრის, თხის შესყიდვის შემთხვევაში, ასეთი პი-  
 რუტყვის ანაზღაურება უნდა მოხდეს 20 პროცენტით ნაკლებ ფა-  
 სად. ვიზრე ეს დაწესებულია საშუალოზე დაბალი შეხორცების  
 პირუტყვებზე.

ხორცის ანაზღაურება ხდება იმ ფასებით, რომელთა განსაზღვ-  
 რისას გამოიყენება ცოცხალი პირუტყვის ფასების ფასებად  
 გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტი: უმაღლესი შეხორცების  
 მსხვილი რქიანი პირუტყვის ხორცი — 1.65, საშუალო შეხორცე-  
 ბის — 1,75, საშუალოზე დაბალი შეხორცების — 1.82; უმაღლესი  
 შეხორცების ცხვრისა და თხის ხორცი — 1.55, საშუალო შეხორცე-  
 ბის — 1.68, საშუალოზე დაბალი შეხორცების — 1.78; ლორის ხორ-  
 ცისა და ბეკონის — 1.40, მსუქანის — 1.35; ფრინვლის (გამოშიგ-  
 ნულის) ხორცის: ჭაოშისა და წიწილის — 1.18, ინვის, ბატისა და ინ-  
 დაურის — 1.20.

## II. რძის, ერბო-კარაქისა და რძის სხვა პროცესურის ყველა რაოდნობა

საბაზისო ცხიმიანობის რძე . . . . .	110 მანეთი ცენტნერი
ნალები (კილოგრამ ნალებში 1 პროცენ- ტი ცხიმისათვის) . . . . .	26 კა.
კარაქი არა ნაკლებ 75 პროცენტისა	
ცხიმის შემცველობით . . . . .	16 მან. და 50 კაპ.
	კილოგრამში

ერბო არა ნაკლებ 95 პროცენტისა ცხი- მის შემცველობით . . . . .	21 მან. კილოგრამში
სტანდარტული კარაქი (დამარილებული არა ნაკლებ 81 პროცენტისა და დაუმარილებე- ლი არა ნაკლებ 83 პროცენტისა ცხიმის შემ- ცველობით)	
უმაღლესი ხარისხის . . . . .	23 მან. კილოგრამში
პირველი ხარისხის . . . . .	22 "
ერბო-კარაქი და ნალები ჩაითვლება რძის დამზადების გეგმის შესრულებაში დადგენილი წესით.	

იმ რაიონებში, რომელიც აწოდებენ ჩაძის ქალაქებს, სამრეწველო ცენტრებსა და კურორტებს. აგრეთვე რძეულისა და საკონსერვო ქარხნების მოქმედების ზონებში ნაკლებ  $18^{\circ}$  მეტობის რძის ჩაბარებისას (პუნქტებსა და ქარხნებში რძის მიღების მომენტისათვის) კოლმეურნეობებს მიეცემა ფასის დანამატი 5 კაპიკის ოდენობით კილოგრამ ჩაძის, ხოლო როცა მეტობა  $18^{\circ}$  აღემატება 1 კილოვრამი რძის ფასი მცირდება 5 კაპიკით.

### III. კვერცხის

I და IV კვარტალებში ჩაბარებული — 7 მან. 10 ცალი, II და III კვარტალებში ჩაბარებული — 5 მან. და 50 კაპ. 10 ცალი.

კოლმეურნეობების მიერ შესყიდვის სახელმწიფო გეგმის ანგარიშში კვერცხის უშუალოდ მოვაჭრე და სხვა ორგანიზაციებისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის განრივით მიყიდვისას გადაუხდიან მათ საცალო ფასს ფასჩამოკლების გამოკლებით — 10 პროცენტის ოდენობით.

### IV. ცხვრის მატყლი ნორმალური ხარისხისა და თხის ბუმბული

(კილოგრამი მან. და კაპ.)

ნაზი მატყლი (როცა წმინდა ბოჭკოს გამოსავალი 36 პროცენტია)	41—00
ნახევრადნაზი მატყლი (როცა წმინდა ბოჭკოს გამოსავალი 43 პროცენტია)	32—90
ნახევრადმქისე მატყლი (როცა წმინდა ბოჭკოს გამოსავალი 53 პროცენტია)	24—70
მქისე მატყლი (როცა წმინდა ბოჭკოს გამოსავალი 56 პროცენტია)	23—70
წმინდაგიშიანი ბუმბულიანი თხის ბუმბული:	
I ჩეჩივის	500—00
II ჩეჩივის	400—00

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა ხებჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დალგენილების დანართი № 9

### პ ი რ მ ბ ი ბ ი ბ ი

ვარცვლეული, ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის და  
სიმინდის პიბრიდული თესლის დამზადებისა და გაცემისა

1. მეთესლეობის მეურნეობებსა და სამეცნიერო-კულევითს და-  
წესებულებებში შესყიდულ ჯიშიან და პიბრიდულ თესლში მიეცე-  
მათ ფულადი დანამატი პროცენტობით სათანადო კულტურების  
შესასყიდ ფასებთან შედარებით.

#### ა. მარცვლეული კულტურები:

	ნარისენაბრივი სიწმინ- დას კატეგორია	სამართლებულობის კატეგორია	ნარისენაბრივი დანამატი პიბრიდული თესლის შესყიდული ფასებთან				
1	2	3	4	5	6	7	8
სუპერელიტის თესლი, კონდიციური . . . . .	—	—	300	300	300	300	300
ელიტის თესლი, კონდიციური . . . . .	—	—	200	200	200	200	200
პირველი და შეორე რეპროდუქციის მარ- ცვლეული კულტურების თესლი (გარ- და ბრინჯაისა), ფეტვის თესლი მხო- ლოდ პირველი რეპროდუქციისა, აგ- რეთვე ყველა რეპროდუქციის დეფი- ციტური და პერსპექტიული ჯიშების თესლი . . . . .	I	I	130	130	90	80	55
პირველი და მეორე რეპროდუქციის მარ- ცვლეული კულტურების თესლი (გარ- და ბრინჯაისა), ფეტვის თესლი მხო- ლოდ პირველი რეპროდუქციისა, აგ- რეთვე ყველა რეპროდუქციის დეფი- ციტური და პერსპექტიული ჯიშების თესლი . . . . .	I	II	120	120	85	75	50
იგივე . . . . .	I	III	110	110	80	70	45
იგივე . . . . .	I	არაკლა- სიანი	80	80	50	40	25
იგივე . . . . .	II	I	90	130	70	—	45
იგივე . . . . .	II	II	85	120	65	—	40
იგივე . . . . .	II	III	80	110	60	—	35
იგივე . . . . .	II	არაკლა- სიანი	55	80	40	—	20

1	2	3	ზარისხობრივი დანამი- ტი პროცენტობით შე- სასყიდ ფასებთან					8
			4	5	6	7		
III და შემდგომი რეპროდუქციების მარ- ცვლებული კულტურების თესლი, II და შემდგომი რეპროდუქციების ფეტვის თესლი (გარდა დეფიციტური და პერ- სექტრიული ჯიშებისა) . . . . .	I	I	90	100	70	60	45	
იგივე . . . . .	I	II	85	90	65	55	40	
იგივე . . . . .	I	III	80	80	60	50	35	
იგივე . . . . .	I	არაკულა- სიანი	55	55	40	30	20	
იგივე . . . . .	II	I	70	100	55	50	35	
იგივე . . . . .	II	II	65	90	50	45	30	
იგივე . . . . .	II	III	60	80	45	40	25	
იგივე . . . . .	II	არაკულა- სიანი	35	55	25	20	10	

### ბ. ზეთოვანი კულტურები:

	აიშვირი სიწმინდის კულტურის (მწერე- ბისასათვის — ტიას- ტობა და ჯანმინიანობა)	თესლოვანი სტანდარტის კლასი	ზუანის ფასების კულტურული ღიანამატ- ყოდ ფასებისან პროცენტის მიხედვით
მზესუმისიას სუპერელიტის თესლი	აკმაყოფილებენ ელიტის სტან- დარტის ნორ- მებს	—	250
დანარჩენი კულტურების სუპერელიტის თესლი	ი გ ი ვ ე	—	200
კულა ზეთოვანი კულტურის ელიტის თესლი	ი გ ი ვ ე	—	150

	კიბერტექნიკის სიწმინდის კატეგორია და კავშირის — ზოგიერთი სტანდარტის მიხედვით	თესლოდინი სტანდარტის კლასი	ხარისხის დანართი ტესლოდინის ფუნდაცია	
I-II	რეპროდუქციის სოიის თესლი, ყველა კულტურის დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების ყველა რე- პროდუქციის თესლი	I	I II III არაკლასიანი	70 60 55 35 50 45 40 25
იგივე		I		50
იგივე		I		45
იგივე		I		40
იგივე		II		25
III და შემდგომი რეპროდუქციების სო- იის თესლი		I	I II III არაკლასიანი	40 35 30 15
იგივე		II		40
იგივე		II		35
იგივე		II		30
I და II რეპროდუქციების მშესენირას თესლი (გარდა დეფიციტური და პერს- პექტიული ჯიშებისა)	I	I II III არაკლასიანი	25 20 10 20 15 15 5	
იგივე		I		25
იგივე		I		20
იგივე		I		10
იგივე		II		20
იგივე		II		15
იგივე		II		15
იგივე		II		5

გ) სიმინდის ჰიბრიდული თესლი და მისი მშობლიური  
ფორმები

პირველი თაობის თეითდაშტეროილი ბაზებისა და მარტივი ჰიბრიდების თესლი	I II III	550 500 450
მეორე თაობის მარტივი ჰიბრიდების თესლი	I II III	130 120 110

პირველი თაობის ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდული  
თესლი

I	300
II	250
III	230

პირველი თაობის ჯიშთხაზური და ჯიშთშორისი  
ჰიბრიდული თესლი

I	170
II	150
III	130

საჯიშე დანამატი გაიცემა მხოლოდ აპრობირებული ნათესების დარაიონებული და პერსპექტიული ჯიშებისა და ჰიბრიდულის ოქსლისათვის.

მზესუმზირას მაღალზეთოვანი ჯიშების თესლისათვის გაიცემა შესასყიდი ფასის საჯიშე დანამატი, გარდა ზეთიანობის სპეციალური დანამატებისა.

მეთესლეობის მეურნეობებსა და ჯიშუბნებს საჯიშე დანამატები ეძლევათ ყველა ჯიშისა და ჰიბრიდის თესლისათვის. ხოლო არა-მეთესლეობის მეურნეობებს — დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების თესლისათვის.

მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების, ღონიერი ხორბლისა და ლუდსახდელი ქერის ჯიშების ნუსხას ყოველწლიურად ამტკიცებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის პურის პროდუქტების საშინისტრო.

საჯიშე დანამატი არაკლასიანი თესლისათვის გაიცემა იმ პირობით, თუ სიწმინდისა და ტენიანობის მიხედვით შემსლუდველი პურდამზადების კონდიციების ფარგლებში მათი გაღიცების უნარი არაა ნაკლები III კლასის თესლისათვის სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებზე და არაა დანაგვიანებული მოუშორებელი მინარევებით, რომელიც აღემატება III კლასის თესლისათვის სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს.

სათესლე სტანდარტებთან შედარებით გადიდებული ტენიანობის მეონე, მაგრამ ყველა დანარჩენი მაჩვენებლით სათესლე სტანდარტის სათანადო კლასის თესლისათვის დაწესებული საჯიშე დანამატი, დანამატის თანხის შემცირებით იმ რდეობით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა.

მეთესლეობის მეურნეობებიდან მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლისა და სიმინდის ჰიბრიდული თესლის მიღებისას გადაცვლის წესით, მეთესლეობის მეურნეობებს ეძლევათ ერთსახე-

ლიანი კულტურის ჩეულებრივი მარცვალი ცენტრერი ცენტრერზე ჩათვლითი წონით და გადაუხდიან დაწესებულ ფულად საჯიშე ღანამატს, ავტოთვე გადასაცვლელი თესლის იქით და აქეთ მიზიდვის ღირებულებას ავტოტრანსპორტით მარცვლის გადაზიდვის ერთიანი ტარიფებით.

საჯიშე და პიბრიდული თესლისათვის, რომელსაც აბარებენ მეოცესლეობის, ხოლო ხელშეკრულებით არამეთესლეობის საბჭოთა მეურნეობები. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი და სასწავლო-საცდელი მეურნეობანი. საჯიშე დანამატი გაიცემა კოლმეურნეობებისათვის დაწესებული შესასყიდი ფასების შესაბამისად.

უფლება ენიჭება სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს:

ა) საჭიროების დროს ნება დართოს დაიდეას ხელშეკრულება არამეთესლეობის მეურნეობებთან, რათა მოყვიდოს სახელმწიფოს არადეფიციტური დარაიონებული ჯიშებისა და პიბრიდების თესლიც მეოცესლეობის მეურნეობებისათვის დაწესებული საჯიშე დანამატების გაცემით;

ბ) შეისყიდოს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების დეფიციტური ჯიშების თესლი, საჯიშე სიწმინდის მესამე კატეგორიის სიმინდის ჯიშების თესლი, საჭიროების დროს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, და გადაიხადოს საჯიშე დანამატი, რაც დაწესებულია საჯიშე სიწმინდის მეორე კატეგორიის, შესაბამისი კულტურების მესამე და შემდგომი რეპროდუქციების თესლისათვის.

2. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს ჯიშიანი და პიბრიდული თესლი სახელმწიფო რესურსებილიან მიეცეს შემდეგ პირობებში:

ა) მარცვლეული კულტურების თესლი (სიმინდის გარდა) — ერთსახელიანი კულტურების მარცვალზე გადაცვლის წესით ცენტრერი ცენტრერზე ჩათვლითი წონით და ანაზღაურდეს გასაცემი თესლის ხარისხის შესაბამისი ფულადი საჯიშე დანამატი, ავტოთვე სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების ხარჯები ამ თესლის მიღებისათვის, შენახვისათვის, გადაზიდვისა და რეალიზაციისათვის.

სხვადასხვა სახელიანი კულტურების გადაცვლის ნებართვის გაცემისას დამატებით გადახდება ან დაეკავება გადასაცვლელი კულტურების ღირებულების სხვაობა;

ბ) სიმინდის ჯიშებისა და პიბრიდული პოპულაციების თესლი და ზეოთვანი კულტურების თესლი — ერთსახელიანი და სხვადასხვასახელიანი კულტურების თესლზე გადაცვლის წესით ცენტრული ცენტრებზე ჩათვლითი წონით, ამასთან გადახდება მარცვლის ღრებულების სხვაობა და ფულადი საჯიშე დანამატი. რაც შეესაბამება გასაცემი თესლის ჯიშს, აგრეთვე ამ თესლის მიღების, დამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ხარჯების ღირებულება ან შესასყიდ ფასში გაყიდვის წესით და გადახდება საჯიშე დანამატი და სარკავშირის პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების ხარჯები;

გ) I თაობის სიმინდის პიბრიდული თესლი, აგრეთვე პიბრიდების მშობლიური ფორმების თესლი, რომელიც გაიცემა პიბრიდიზაციის უბნებზე დასათესად, — შესასყიდ ფასში გაყიდვის წესით და გადახდება ფულადი საჯიშე დანამატი და სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების ხარჯები;

დ) სუპერელიტისა და ელიტის თესლი, რომელიც ეძლევა მეთესლეობის მეურნეობებს გასამრავლებლად, — უპროცენტო სესხის წესით.

შენიშვნა: ჯიშიანი და პიბრიდული თესლის მიღების, დამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ხარჯების ანაზღაურების ოდენობის აწესებს სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრო სსრ კავშირის ხოფლის პეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

## ცურაბიშვილის შესასყიდვის ფასები

ცურაბიშვილის ფასები	ფასი შენობით საბაზისთვის შეკრიანობის ერთ ტრანზე
I. კახეთის რაიონები	4300
რქაშითელი	5300
საცერავი	5300
მწვანე	5300
კაბერნე	5300
ხიხვი	5500
სხვა გიშები	3000
II. აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი რაიონები	4000
რქაშითელი	4000
თავეშერი	3000
სხვა გიშები	3000
III. დასავლეთ საქართველოს რაიონები	4200
ციქეა	4200
ცოლიაური	5000
კრატუნა	4500
ოცხანური საფერე	4000
აფასარხევა	4500
კაჭიჭი	4500
ქვიშეური	2500
იზაბელა და სხვა გიშები	2500
IV. ნახევრად ტყბილი ლვინოების რაიონები	5850
ალექსანდროული	5850
რაქეული თეთრა	5850
ტვიშის ცოლიაური	5500
უსახელაური	5850
ჩხაევრი	5850
ოჯალეში	5850
მუგურუთული	5850
V. შამბანური მიმართულების რაიონები	6000
პირი	5500
გორული-მწვანე	4500
ციქეა	4700
ალიგოტე	4300
საცერავი	5303
შავებიტო	4000
სხვა გიშები	3000
VI. სუფრის გიშები	5000
თავრიზი	4000
სუფრის სხვა გიშები	4000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი 3. პაპაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1958 წლის 15/VII № 446  
 დადგენილების დანართი № 11

ხილის შესასყიდი ფასები

(მან. ტონაში)

1	I ჯგუფი		II ჯგუფი		III ჯგუფი		
	სტანდარტული	არასტანდარტული	სტანდარტული	არასტანდარტული	სტანდარტული	არასტანდარტული	
2	3	4	5	6	7		
ვაშლი	4500	1500	3500	1000	2000	1000	
მსხალი	4500	1000	3000	1000	2000	1000	
კოში	4000	1000	3000	1000	—	—	
ბალი	3000	1000	2000	1000	—	—	
ალებალი	3500	1000	—	—	—	—	
ტუქმალი	2000	1000	1500	750	—	—	
ატბი	5000	1000	3000	1000	—	—	
პლიავი	3000	1000	2000	1000	—	—	
გარგარი	3000	1000	2000	1000	—	—	
ბალის შინდი	4000	1000	2000	1000	—	—	
ნუში	10000	—	—	—	—	—	
უნაბი	6000	—	—	—	—	—	
ხილის კურკები ტექნიკური გადამეშა- ვებისათვის	2000	—	—	—	—	—	
ლელვი	3500	1500	—	—	—	—	
სუბტროპიკული ხერმა	2500	1500	2000	1000	—	—	
ხენძრო	10000	6000	—	—	—	—	
სუბტროპიკული ზღმარტლი	3000	2000	—	—	—	—	
ბალის ზღმარტლი	3000	2000	—	—	—	—	
ბროწყული	4000	—	2000	—	—	—	
თხილი	10000	—	—	—	—	—	
კაკალი	8000	—	—	—	—	—	
წენგო	1500	—	—	—	—	—	
ვარდლის ჩირი	6000	3000	—	—	—	—	
მსხლის ჩირი	7000	3000	—	—	—	—	
ქლიავის ჩირი	10000	5000	—	—	—	—	
ატბის ჩირი	8000	4000	—	—	—	—	
ბლის, ალებლის, შინდის კერქი	12000	—	—	—	—	—	
შაველიავის ჩირი	14000	8000	—	—	—	—	
ლელვის ჩირი	16000	—	—	—	—	—	
ხურმის ჩირი	1-000	—	—	—	—	—	
მინდარინი	7500	2000	—	—	—	—	
ფორთოხალი	10000	2000	8000	2000	—	—	
ფერი	8000	4000	—	—	—	—	
გრეიპფრუტი	3000	1500	—	—	—	—	
კინკანი	3000	1500	—	—	—	—	
ციტრონი	2000	1000	—	—	—	—	

I გგუფის ხარისხების ლიმონი ცალი — 2 მან.

II გგუფის ხარისხების ლიმონი ცალი — 1 მან. 30 კაპ.

ყველა ხარისხის არასტანდარტული ლიმონი — ეილოგრამი 3 მან. 50 კაპ.

დაწესდეს კურკიანად დამზადებული ხმელი ხილის ფასი 20 პროცენტით

ნაკლები და გაუმჯობესებული ხმობისა 20 პროცენტით მეტი შესაბამისი ხმელი ხილისათვის გათვალისწინებულ ფასებზე.

ვაშლის, მსხლის, კურკოვანი ხილისა და ციტრუსოვანი ნაყოფის პომილო-გიური გიშების გგუფებისათვის მიყუთვნება.

### ვ ა გ უ ც ი:

#### I ვ ა გ უ ც ი

1. კალვილი თეთრი საზამთრო
2. კალვილი წითელი საზამთრო
3. კალვილი წითელი საალფევომო
4. ქართული სინაპი
5. კენურა
6. ბელფლერი ყვითელი
7. ბანანი საზამთრო
8. პარმენი საზამთრო მოღვაწოსფერო
9. ლონდონის პეპინი
10. რენეტი შამპანური
11. როზმარინი თეთრი
12. რენეტი კანადური
13. რენეტი ბაუმანისა
14. ვაგნერი საჭილდოო
15. სუისლეპის
16. ყირიმულა
17. ნაპოლეონი
18. რენეტი ორლეანური
19. რენეტი დიდი კასელის
20. რენეტი ლაგოდეხური
21. რენეტი სიმირენკოსი
22. სარი-სინაპი
23. აბილაური
24. რენეტი ლანდსბერგისა
25. ნარინჯოვანი კოქსის რენეტი
26. დედოფლის მოკლეკუნწა
27. კანდილ-სინაპი

## II ჯგუფი

1. მამულო
2. მერეთულა
3. ხანდაკურა
4. კიტრა
5. მონტუანის
6. ასტრაზანული წითელი
7. ასტრაზანული თეთრი
8. ყინულა
9. რაჭულა
10. მუხურული
11. კარანტინი (მიხავის ვაშლი)
12. ჩეინავაშლი (დემირ ალმა)
13. აჭარული წითელი
14. კასპური საადრეო
15. ლიმონის ვაშლი
16. პარვერის პეპინი
17. დანავაშლი
18. თურაშაული ლეჩებუმისა
19. შაქარნაბადა
20. რძევაშლი
21. მსუქანა
22. პეპინი შაფრანული
23. ბელფლერი „კიტაიკა“
24. ანტონოვკა ჩვეულებრივი
25. რენეტი რუხი ფრანგული
26. აპორტი
27. ანანასის რენეტი
28. ლეზანის კალვილი
29. ოქროს მზესუმზირა
30. ბოკონის რენეტი
31. ობერდიკის რენეტი

## III ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

### მ ს ხ ა ლ ი

#### I ჯ გ უ ფ ი

1. ბერე-ბოსკი
2. ბერე-არდანპონი
3. ტულუზა საზამთრო
4. დეკანკა საზამთრო
5. პას-კრასანი
6. ვილიამსი (დოენე)
7. სოხუმის დიუშესი
8. ეოზეფინა მიხელსკაია
9. სენ-ეერმენი
10. კიფერის თესლნერგი
11. ბერე გარდი
12. ბერე დილი
13. ოლვიე დე-სერ
14. შემოდგომის დეკანკა
15. დიუშეს დანგულემი
16. ვილიამსი საზამთრო (კიურე)
17. ბერე-ნაპოლეონი

#### II ჯ გ უ ფ ი

18. ტყის სილამაზე \*
19. კლაპის ფაეორიტი
20. კეთილი ლუიზა
21. ილინკა
22. ნანაზირი
23. შაქროვანი
24. ანუჭის მზეთუნახავი
25. გვერდწითელა
26. ხეჭეჭური
27. გოხა მსხალი
28. ესპერონის ბერგემოტი
29. კამის მსხალი
30. შილახური
31. გულაბები
32. კაცისთავა
33. გორძამა
34. თაერიზულა

### III ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

### პომი

#### I ჯგუფი

1. საკომისტე
2. მალაქინა
3. ლაგოდეხური მსხვილნაყოფა
4. ქართული მომქავო-მოტკბილო

### II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

### პალი

#### I ჯგუფი

1. დროგანა ყვითელი
2. დენისენა
3. ხარის გული
4. თათრის შვეი
5. ნაპოლეონი ვარდისფერი
6. ჭოპორტულა

### II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

### პლიაზი

#### I ჯგუფი

1. უნგრულა იტალიური
2. ატამურა
3. რენკლოდი მწვანე
4. ალტანის რენკლოდი
5. ანა შპეტი
6. ვაშინგტონი
7. აფანური უნგრულა
8. ჭეფერსონი
9. ეკატერინე

### II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

**ტ უ მ ა ღ ი:**

I ჯგუფი

1. გულდედავა
2. ქუთაისის სახელექციო სადგურში გამოყვანილი სახეობანი

II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

**გ ა რ გ ა რ ი:**

I ჯგუფი

1. წითელი პარტიზანი
2. შალახი
3. ალიპრიალა
4. შირაზული
5. ალგანაბადი
6. ყაისი

II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

**პ ტ ა მ ი:**

I ჯგუფი

1. გავაზური
2. ოქროს იუბილე
3. კუმბერლანდი
4. სოჭუმის საგვიანო ყვითელი
5. ხიდისთავური თეთრი
6. ხიდისთავური ვარდისფერი
7. ხიდისთავური ყვითელი საგვიანო
8. ჩემპიონი
9. ელძერტი
10. სკრის საადრეო
11. ბესტავაშვილი
12. წედისური
13. ბერების ატამი
14. ერისთავი ვარდისფერი

II ჯგუფი

ყველა დანარჩენი ჯიში

**გ რ ღ ა უ ლ ი:**

I ჯგუფი

კულტურული (ბალის) ჯიშები

II გვ. ფ 0

ყველა დანარჩენი ჭიში

სუბტონიადული ბურმა:

I გვ. ფ 0

1. ხიაკუმე (წითელხორცა)
2. ხაჩია
3. ჩინებული
4. მეოცე საუკუნე

II გვ. ფ 0

ყველა დანარჩენი ჭიში

ლ ი ა მ ნ ი:

I გვ. ფ 0

1. ახლქართული
2. ევრიკა
3. ვილა-ფრანკა
4. ლისბონი

II გვ. ფ 0

5. მეიერი
6. ბოლქვაძეების
7. კაბა-ლიმონი

ვორთოსალი:

I გვ. ფ 0

1. ვაშინგტონ-ნაცელი
2. წითელხორცა

II გვ. ფ 0

ყველა დანარჩენი ჭიში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. პაპატაზვილი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების დანართი № 12

### შესასყიდვ ფასები

1. ნაკრებ-გლეხტრი ზეელი, კილოგრამი . . . . .	8 მანეთი
2. თივა და ნიმა, ტონი: . . . . .	

#### I ჯგუფი

ნათესი მარცვლოვანი თივა, ცერცოვანი და მარცვლოვან-ცერცოვა- ვინი. . . . .	320 მანეთი
----------------------------------------------------------------------------	------------

#### II ჯგუფი

მდელოს მსხვილბალახოვანი თივა, მდელოს წერილბალახოვანი და ველის მსხვილბალახოვანი . . . . .	296 მანეთი
---------------------------------------------------------------------------------------------	------------

#### III ჯგუფი

მშრალობი მდელოს წერილბალახოვანი თივა და ბიცნარი მდელოს წერილბალახოვანი თივა . . . . .	272 მანეთი
------------------------------------------------------------------------------------------	------------

#### IV ჯგუფი

ტენიანი მდელოს მსხვილბალახოვანი თივა, მდელოს წერილბალახოვა- ნი და ბიცნარი მდელოს მსხვილბალახოვანი . . . . .	210 მანეთი
----------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------

საკვები ნამზა . . . . .	144 მანეთი
-------------------------	------------

#### 3. ლუფა კილოგრამი

I ხარისხი . . . . .	, , , , 120 მანეთი
---------------------	--------------------

II ხარისხი . . . . .	, , , , 90 მანეთი
----------------------	-------------------

III ხარისხი . . . . .	, , , , 40 მანეთი
-----------------------	-------------------

არასტანდარტული . . . . .	, , , , 20 მანეთი
--------------------------	-------------------

4. დაფნის ფოთოლი ხმელი, კილოგრამი . . . . .	100 მანეთი
---------------------------------------------	------------

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
დადგენილების დანართი № 13

“ შესასეილი ფასები ”

კილოგრამის ფასი განკ- თობით
1. ბუმბული და ფრთა
ბატის ბუმბული ახალი, თეთრი და რუხი 100% . . . . . 52
ბატის ფრთა ახალი თეთრი და რუხი 100% . . . . . 20
ინერის ბუმბული ახალი თეთრი და რუხი 100% . . . . . 40
ინერის ფრთა ახალი თეთრი და რუხი 100% . . . . . 16
ქათმის, ინდუსტრის და გარებული ფრინჯელის ახალი ფრთა . . . . . 9
ბატის წვერილი ფრთის გერმა . . . . . 18
ყოველგვარი ფრინჯელის ფრთის ქვეშურა . . . . . 2

**შენიშვნა:** 1. ბატის ბუმბული, იხვის ბუმბული, ბატის ფრთა და იხვის ფრთა ნახ-  
მარი, ახალ ბუმბულსა და ფრთაზე 15 პროცენტით უფრო გაფალ  
დასახლე.

2. თუ ბატისა და იხვის წვრილი ფრთა ურევია ბემბულში, ვაშინ ხდება ჩამოყლება შესასყიდ ფასიდან — ბატის კილოგრამ ბემბულში ფრთის თვითოული პროცენტის შემცველობისათვის — 32 კმ. ხავისა — 24 კმ.

3. თუ ბატის წერილი ფრთა შეიცავს 5 პროცენტზე მეტი რაოდენობის ბუმბულს, მაშინ შესაძლებ ფასს წევმატება ერთ კოლოგრამ ბატის ფრთაში ბუმბულის შემცველობის ყოველ პროცენტზე 32 კა. და იხეისა — 24 კა.

5. უკეთე ბატისა და იხეის ფრთაში შეკრეულია ქათის ფრთა, მაშინ შესასყიდ ფასს ჩამოაკლდება — ბატის ფრთის კილოგრამში მინარევის ყოველ პროცენტზე — 36 კა. და იხეისა — 21 კა.

	კილოგრამის ფასი მანქ- თობით
2. ნედლი გავარი დაუხარისხებელი და ნაცვენი	
შურვის	40
გვერდის	30
ბეჭმელი	5

კოლონიურაშვილი  
 ქადაგი  
 თომაშვილი

## 3. ცხენის ძუა

ძარღვავი	15
ნაწინავი	12
განკარეფი	8
შემონავრევი	10
ფაფარი	5
ცხენის შინდალ	7
ვაბრა	7
ჩამონავრეცხი	4
ნაცვენი ბალაზი	4
სალებომ	4

## 4. ძრობის ბალაზი

ჭუდის ნაკრეპი	6
იყიდის ჭალანი	8
კარენის ბალაზი	7
ყურის ბალაზი	20
ჭუდის ნაკრეპი გარეცხილი	8

 ცენტრალური  
 სტატისტიკური  
 ბიური

## 5. ბალაზების თესლი

ესპარცეტი	240
ცერცელი (ფიგი)	120
ქვრიშა	100
ონგა ლერგი	1600
" ცისფერი	2400
" უვითელი	2000
წითელი სამუურა	1600
ტიბოტელა	800
სუდონერა	240
კოინდარი (მაღალი)	800
კოინდარი (მრავალსაობი)	640

## 6. თაფლი

ტონი	13000 მან
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს	
საქმეთა მმართველი 3. პარტაშვილი.	



საქ. სსრ მინისტრობით საბჭოს  
1958 წლის 15/VII № 446  
უკავების დანართი № 14

შესახებილი ფასები

კარტოფილისა, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისა

(ტონის ფისი მაჩვენებელ)

830080

ბრტყელი ყაბაყი	1000
ყაბაყი	750
ძირთეთრა	15.0
პარკინი ლობით (გურული ჩიტისკვერცხი) V	3500
დანარჩენი თვეები	1700
სხვა ჯიშების პარკინი ლობით V	3000
დანარჩენი თვეები	1500
მწვანე ბართა	1200
ექსტრაგონი I II III IV	7000
V VI	4000
შირმარი I II III	3000
IV V VI	1000
სალათა I II III IV XII	2500
ფანარჩენი თვეები	1000
ნიახური	3000
ოხრახუში	2.00
კამა	2120
ბასილიკი	1800
ქონდარი	2500
ქინძი XIII I II III IV	3000
დანარჩენი თვეები	2000
პიტნა	2000
მეაუნა	4000
თვის ბოლოები I II III IV	2500
დანარჩენი თვეები	1300
უთიული ბოლოები	1000
თეთრი ბოლოები	2500
კოლრაბი	750
ჰელინტი სიმინდა	600
საზითო 1/VIII-მდე	1000
დანარჩენი თვეები	500
ნესვი 1/VII-მდე	2500
დანარჩენი თვეები	1500
გოგრა	750
მეაუე დაეპილი კომბოსტო	800
თავეებაზ დამშნილებული კომბოსტო	1000
მეაუე წაბლისფერი პამილორი	1200
მეაუე მწვანე პამიღორი	1000
ალგილობრივი მეაუე კიტრი	1500
ნეკინის მეაუე კიტრი	2500

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი 3. 2020 წლის 30 დეკემბერი.

საქ. სსრ მთნისა და საბუკო გეგმური მომსახურება  
1958 წლის 15/VII № 446  
თავადების დანართი № 15

6 ۹ ۶ ۶ ۳

რძისა და რძის მზა პროლუქციის მიმღები პუნქტებისა, რომელ-  
ნიც უნდა შემცირდეს

რ ა ი თ ნ ე ბ ი		შესამცირებელი პუნქტი ტების რაოდენობა
1.	გარეუბნის	29
2.	ბოლწისის	12
3.	გარდაბნის	4
4.	გორის	13
5.	დუშეთის	2
6.	კასპის	6
7.	კაჭარეთის	6
8.	შარენეულის	10
9.	მცხეთის	5
10.	საგარეჯოს	8
11.	თეთრიწყაროს	13
12.	ახალქალაქის	14
13.	ახალციხის	7
14.	აღიგენის	
15.	ახმეტის	4
16.	ბოგდანოვეს	16
17.	ბორჯომის	4
18.	გურგაანის	2
19.	დაბანისის	4
20.	ჟაზბეგის	5
21.	ქარეულის	7
22.	ყვარლის	4
23.	ლავრდეხის	3
24.	წილის მაცივარი	8
25.	თელავის	4
26.	თიანეთის	5
27.	ხაშურის	3
28.	წალენის	15
29.	წილელწყაროს	3
30.	საჩირეთ ისეთის ა/თ	11
31.	სამტრედიის	14
32.	ვანის	6
33.	აბაშის	8
34.	ქუთაისის	
35.	ტყიბულის	
36.	რელევიდის	9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი 3. პაატაზვილი.

**31** „საქართველოს სსრ-ში სამონადირეო მეურნეობის გაუმჯობე-  
სების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957  
წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილების შესრულების  
მიმდინარეობის შესახებ

(ამონაკრეფი)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექ-  
ტემბრის № 606 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ შეკვენეტის  
შესაცვლელად, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან  
არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო  
მეურნეობის მთავარ სამმართველოს შექმნას 1958—1959 წლებში  
2 სახელმწიფო სანაშენო მეურნეობა—კოლხიდის ხოხისა—დასაც-  
ლეთ საქართველოში და კავკასიის ხოხისა აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში 300 სადედე სულადობით თვითეულში; 2 სანაშენო მეურნეო-  
ბა კურდღლის მოსაშენებლად 200 სადედე სულადობით თვითეულ-  
ში და გნოლის 1 სანაშენო მეურნეობა 400 სადედე სულადობით.

დაეკისროს სანაშენო მეურნეობებს მოაწყონ სასარგებლო ნა-  
დირ-ფრინვლის მომრავლება იმ გზით. რომ შეუფარდონ სავოლიე-  
რო მოშენება თავისუფალ ბუნებრივ პირობებში შენახვას, ამასთან  
შესრულონ ბიოტექნიკური სატყეო-სამეურნეო და სხვა ღონის-  
ძიებანი მეურნეობათა ტერიტორიაზე.

კავკასიის ხოხის სანაშენო მეურნეობა აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში მოწყოს მონკავშირის სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე ყო-  
რუმში (საგარეჭოს რაიონი), რისთვისაც მეურნეობა მონადირეთა  
კავშირის—მონკავშირის გამგებლობიდან გადაეცეს საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სა-  
მონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ნაგებობიანად სა-  
ბალანსო ღირებულებით.

ყორუმის ტერიტორიაზე ხოხის მოსაშენებლად ნორმალური  
პირობების შექმნისათვის, ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინის-  
ტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და  
სამონადირეო მეურნეობების მთავარ სამმართველოს დაიკიროს და  
დახოცოს აღნიშნულ ტერიტორიაზე გარეული ღორების მოელი  
სულადობა.

2. ამ დადგენილების პირველ პუნქტში გათვალისწინებული სა-  
ნაშენო მეურნეობების შტატები დაკომპლექტდეს საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალე-

ბისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს შრომის გეგმის და ხელფასის ფონდის წლის პირველ ნახევარში ნაკლგამოყენებული ლიმიტის ხარჯზე.

3. ამ დადგენილების პირველ პუნქტში ლინიტნული სახელმწიფო სანაშენო მეურნეობათა მოწყობის ხარჯი გაწეულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს საოპერაციო სახსრებიდან, რაც გათვალისწინებულია 1958 წლის ბიუჯეტით სამონადირეო მეურნეობისა და ნაკრძალებისათვის.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მავნე მტაცებელი მხეცებისა და ფრინვლის დახოცვის მინიმუმი (დანართი), რაც სავალდებულოა თეოთუეული მონადირისათვის.

დაევალოს მონკავშირის გამგეობას ჩატარების სათანადო ასსნავნმარტებითი მუშაობა საზოგადოების წევრებს შორის, რომ საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მტაცებელი მხეცებისა და ფრინვლის მოსპობა, რომელთაც დიდი ზარალი მოაქვთ სახალხო მეურნეობისა და სანადირო ფაუნის შემდგომი აღწარმოებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს მონადირეთა კავშირის—მონკავშირის გამგეობას:

ა) 1959 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე დაამთავროს კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და გამოუცვალოს სანადირო ბილეთები კავშირის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთაც იციან სანადირო მინიმუმი. დანარჩენებს კი ჩამოართვან ნადირობის უფლებები მანამ. კიდრე ისინი არ აითვისებენ ნადირობის ცოდნათა სავალდებულო მინიმუმს;

ბ) შეზღუდოს ახალი წევრების მიღება კავშირში სამონადირეო სავარგულებში სანადირო ფაუნის მარაგის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს, რათა მონადირეთა რაოდნულმა საზოგადოებებმა შეასრულონ მიწერილ სავარგულებში ღონისძიებანი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებებით.

6. საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას რესპუბლიკის 60 ალკეთილში საეგერო სამსახური 100-მდე კაცის შემადგენლობით, რისთვისაც

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომი-  
სიამ გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის 1959 წლის გეგმით სა-  
ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურ-  
ნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამ-  
შართველოსათვის მუშავთა რაოდენობისა და ხელფასის შესაბამისი  
გადადება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს  
1959 წლის ბიუჯეტის პროექტით საჭირო ასიგნობანი საეგერო სამსა-  
ხურისათვის საოპერაციო ხარჯებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო  
საგეგმო კომისიის:

ა) მისცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურ-  
ნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამ-  
შართველოს 1958 წელს: 20 ტონა ნავლინი სამინისტროებისა და  
უწყებების მიერ 1958 წლის პირველ ნახევარში აუთვისებელი  
ფონდიდან, 50 ტონა ცემენტი და 30 ათასი ცალი შიფერი პირობით  
ფილებში წერილი მომხმარებლების ხარჯზე;

ბ) ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სა-  
შონადირეო მეურნეობის მთავარ სამშართველოსთან ერთად წარმო-  
უდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადაღებანი სა-  
კოლიერო მეურნეობებისა და სახელმწიფო სანაშენო მეურნეობების  
საცხოვრებელი და სასამსახურო შენობების მშენებლობის კაპიტალ-  
დაბანდებათა გადიდების შესახებ.

8. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-  
ჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო აღმასკომს, მშრომელთა ღე-  
პუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს ფართო ახსნა-განმარტები-  
თი მუშაობა ჩატარონ მოსახლეობაში სამონადირეო და ოკუზის მე-  
ურნეობის ამოცანებისა და შემდგომი განვითარების შესახებ;

არა უგვიანეს 1958 წლის 1 სექტემბრისა ჩატარებულ იქნეს მო-  
ნადირებისა და სატყეო დაცვის მუშავების რაიონული შექრებაზი  
კოლმეურნეობების, სოფლსაბჭოების წარმომადგენელთა, სასამართ-  
ლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშავთა მონაწილეობით, რო-  
ლებზედაც მოისმინონ მოსხენება რესპუბლიკური სამონადირეო საქ-  
მის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ. დასახონ კონკრეტუ-  
ლი ღონისძიებანი სანადირო ფაუნის მარაგის აღდგენისა, აგრეთვა  
ბრაქონიერობის ლიკვიდაციისათვის.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოაწყოს სოფ-  
ლის სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებს შორის საუბრები სა-  
სარგებლო ფაუნის დაცვის შესახებ ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებ-  
ლებისაგან — ბრაკონიერებისაგან, აგრეთვე მავნე მტაცებელი ნაღი-  
რისა და ფრინვლისაგან; ფართოდ გამოიყენოს მოსწავლეებს შორის  
ახსნა-განმარტებითს მუშაობაში სასკოლო ბიოკუთხები.

10. დაეკისროს გაზეთების რედაქტორებს და საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევი-  
ზიის კომიტეტს ფართოდ გააშუქონ სამონადირეო მეურნეობის გან-  
ვითარების სასარგებლო ფაუნის აღწარმოებისა და დაცვის სა-  
კითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. პავალიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 25 ივნისი, № 469

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 25 ივნისი № 469  
დადგენილების დანართი

### მ ი ნ ი ა უ ა ი

მავნე მტაცებელი ნადირისა და ფრინვლის წლიური დახოცვისა  
ერთ მონადირეზე

1. დაწესდეს ერთ მონადირეზე 100-ბალიანი ყოველწლიური მი-  
ნიმუში მავნე მტაცებელი ნადირისა და ფრინვლის დახოცვისა შემ-  
დეგი ანგარიშით:

თვითეული მგლის, აფთრის, ფოცხვერის მოკვლა — 100 ბალი  
თვითეული გარეული კატის, ტურის, მგლის მოკვლა — 50 „  
თვითეული თეთრკუდა არწივისა და ზარნაშოს  
მოკვლა — 30 „

თვითეული ქორის, მიმინოს, ჭაობის ბოლობეჭადას.

ქერის, შევარდნენისა და მარჯანის მოკვლა — 20 ბალი

თვითეული ყვავის, გაფრისა და კაცკაჭის მოკვლა — 10 "

2. მავნე მტაცებელი ნადირებისა და ფრინვლის დახოცვის სავალდებულო წლიური მინიმუმის თვითეული შეუსრულებელი ბალისათვის დაედოს მონადირეს გადასახდელი 25 კაპიკის ოდენობით სანადირო ფაუნის აღწარმოების ფონდის სასარგებლოდ, ხოლო სავალდებულო წლიური მინიმუმის თვითეული გადამეტებული ბალისათვის — გილდო 25 კაპიკის ოდენობით.

3. გათავისუფლებულ იქნენ მავნე მტაცებელი ნადირებისა და ფრინვლის დახოცვის სავალდებულო მინიმუმისაგან 60 წლის ასაკს მიღწეული მონადირეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი 3. პაპატაზვილი.

**32** მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ნომენკლატურის შესახებ, რომელთა გაყიდვა ეკისრებათ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 ივნისის № 629 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული იმ მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ნომენკლატურა, რომელთა მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ეკისრება სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, ამ დადგენილებასთან დართული პირით, დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების უკელა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწყობის 1958 წლიდან სარემონტო-ტექნიკური სადგურების მეშვეობით მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და საწარმოო

დანიშნულების სხვა საქონლის გაყიდვა დამტკიცებული ნომენკლატურით.

3. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გადასცეს, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს. რათა სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა მიიღონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდი დარჩენილი მანქანები, მოწყობილობა. მასალები და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელი, 1958 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით.

მასთან ერთად, ცეკავშირის გამგეობაში გადასცეს სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს აგვისტოს დამლევამდე რესპუბლიკაში მანქანების. მოწყობილობის, მასალებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის შემოზღვის 1958 წლის IV კვარტალის მთელი ფონდი კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად.

ღლიშნული საქონელი მიეყიდოს კოლმეურნეობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1958 წლისათვის დამტკიცებული განაწილებით.

10. დაევალოს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ 1959 წლის 1 ივნისამდე გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე ლაგოდების, რიწის, საგურამოსა და სათაფლიის ნაკრძალების მხატვრული გზის მაჩვენებლები—აღწერილობანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე მ. კუპავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჩიტიაშვილი

## 39 გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ზეღდნადები ხარჯების ნორმების შესახებ

„გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ზეღდნადები ხარჯების ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის პინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 ივნისის № 837 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს და შემოლებულ იქნას 1959 წლის 1 იანვრიდან გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ზეღდნადები ხარჯების (გეგმური დაგროვების გამოკლებით) ზღვრული ნორმა საქართველოს სსრ სამინისტროებისა, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის ძირითადი ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ლირებულების 17 პროცენტის ოდენობით.

2. დაწესდეს 1959 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს ასრულებენ, გეგმურ დაგროვებათა ერთიანი ნორმა გეოლოგიურ სამუშაოთა ძირითადი და ზეღდნადები ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ლირებულების 2.5 პროცენტის ოდენობით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს ასრულებენ, და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოახდინონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წლაურ საფინანსო გეგმებში ზეღდნადები ხარჯების ოდენობის დიფერენციალური გეგმურ დაგროვებათა ხარჯზე და მათ ფარგლებში.

4. დაწესდეს, რომ, ვინაიდან შენარჩუნებულია სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს სისტემაში წესი სახსრების ცენტრალიზებული ხარჯების საკონსტრუქტორო და საცდელი სამუშაოებისათვის ახალი ტექნიკის შესაქმნელად და ასათვისებლად, ნორმატიულ-კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად და ეკონომიკური ძიების ჩასატარებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო ყოველთვიურად გადაურიცხავს ამ სამუშაოებისათვის სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს სახსრებს შესრულებულ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ძირითადი ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ლირებულების 0.75 პროცენტის ოდენობით ამ მიზნებისათვის განკუთვნილი ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ზეღდნადები ხარჯების ნორმების შემადგენლობაში.



5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1959 წლის I იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საყითხზე ყველა წინათ მიღებული დადგენილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე პ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 27 სექტემბერი, № 620

## **40 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 17 აპრილის № 432 დადგენილების „შესასრულებლად და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს და დარგობრივი სამმართველოების ორგანიზაციის „შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 მარტის № 228 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) დაგეგმვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხაზით რესპუბლიკური წარმოებული პროდუქციისა და იმპორტის სახით მიღებული პროდუქციის მიწოდებისა, აგრეთვე პროდუქციის მიწოდებისა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, საექსპორტოდ, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) იმისაღმი კონტროლის განხორციელება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭომ უცილობლივ შესასრულოს სამრეწველო პროდუქციის მიწოდების, განსაკუთრებით სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების; აგრეთვე საექსპორტოდ მიწოდების გეგმები და დავალებანი, მასთან იქნიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გადაჭრით აღიკვეთოს

კუთხეურობის ტენდენციების შესაძლო გამოვლინებანი პროდუქტის მომარაგებისა და გასაღების საკითხებში;

გ) სისტემატური კონტროლის განხორციელება იმისადმი: რომ შესრულდეს საქართველოს სსრ საწარმოებში გამომუშავებული პროდუქტის, აგრეთვე იმპორტის სახით შემოსული პროდუქტის მიწოდების გეგმები და დავალებანი სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმის შესაბამისად, იმისადმი, რომ შესრულდეს მიწოდებანი სამინისტროების და უწყებების საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, საექსპორტოდ და სახელმწიფო რეზერვედ. აგრეთვე მიწოდებანი, რომლებსაც განსაზღვრავენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო პროდუქტის მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოები (სამმართველოები).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს მიწოდება, გაცემული განრიგებითა და გეგმური დავალებებით, სხვა რესპუბლიკებიდან და ეკონომიკური აღმანის-ტრაცეული რაიონებიდან შემოტანილი ნედლეულისა, მასალებისა, სათბობისა, მოწყობილობისა და სხვა პროდუქტისა სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომშების, საზოგადოებრივი, საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოებისა. დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამჟამად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან;

ბ) განახორციელოს პროდუქტის მიწოდება როგორც მოცულობის, ისე ნომენკლატურისა და სორტიმენტის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მერი დაწესებული სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების მტკიცებულებებით;

გ) უზრუნველყოს პროდუქტის დროულად მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საექსპორტოდ, სახელმწიფო რეზერვუალი და სხვა სპეციალური და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის, ვად და სხვა სპეციალური და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის, რესპუბლიკის შიგნით შესაბამისი პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების გეგმების შესრულების ღონის დამოუკიდებლად.

3. დაწესდეს. რომ პროდუქტის მომარაგება და გასაღება უნდა ხორციელდებოდეს, როგორც წესი, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებებით იმ ლიმიტებისა და დავალებათა ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებისა, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს სამინისტროებთან და უწყებებოან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი. რომლებიც უზრუნველყოფენ პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფართოდ განვითარებას საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ გატარდეს სისტემატური მუშაობა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის რაციონალური სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად. პასუხისმგებლობა ამ მუშაობის გატარებისათვის დაეკისროთ რესპუბლიკის და სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებს.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს. რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საექსპორტოდ და სახელმწიფო რეზერვად, სპეციალური და სხვა საერთო-საკავშირო საჭიროებათა დასამყაროფილებლად პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის.

საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ, დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, პროდუქციის მიწოდება სხვა რესპუბლიკებსა და ეკონომიკურ აღმინისტრაციულ რაიონებში, აგრეთვე საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პირველი რიგის წესით. შესაბამისი პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულების დონის დამოუკიდებლად.

6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს წესი, რომლის დროსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოები, მოკავშირე რესპუბლიკების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოები და გამსალებელი ორგანიზაციები ახორციელებენ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ოპერატორებს (გასცემენ განრიგებსა და განკარგულებებს პროდუქციის გაგზავნისა და გაცემის შესახებ, კონტროლს გაუწევენ მიწოდებათა შესრულებას) პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დადგენილი წესით დამტკიცებული გეგმების ფარგლებში, ამასთან მათ არა აქვთ

უფლება უშუალოდ აძლიონ საწარმოებს მითითებანი წარმოების გეგმის შეცვლის შესახებ.

7. ეცნობოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომ გზათ სამინისტრო და სახლვაო ფლოტის სამინისტრო წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარავებისა და საქონელ-ბრუნვის იმ გეგმების საფუძველზე, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები და მინისტრთა საბჭოები დაამტკიცებენ. შეიმუშავებენ და, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით, დაამტკიცებენ ტვირთზიდვის წლიურ გეგმებს კვარტალობრივი განაწილებით.

სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის გეგმებს დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. პაპახილვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი გ. პაპახილვილი.

ქ. თბილისი 1958 წლის 29 სექტემბერი № 632

**41** საქართველოს სს რესპუბლიკაში ხალხური სამხატვრო სარეწების აღდგენისა და შემდგომი განვითარების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ რესპუბლიკის იმ ხალხური სამხატვრო სარეწების გაფართოებასა და აღდგენას, რომლებიც საგრძნობლად დაქმინდა. უკანასკნელ წლებში გამოყენებითი ხელოვნების მთელი რიცო დარღვები,—ხალიჩების წარმოებამ, ოქრომჭედლობამ, ხეზე, ქვაზე, ძვალი-

ზე ამოცრამ, კურამიკამ და სხვა ნაკეთობებმა, რომელთა ასორტიმენტის სიმზადრე და მაღალი მხატვრულობა უსსოფარი დროიდან არის ცნობილი, კარგავენ თავიანთ ყოფილ დიდებას.

რესპუბლიკის ხალხური სახხატვრო სარეწოა აღდგენისა და შემდგამი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ ცენს:

1. საჭიროდ ჩაითვალოს მოწყობის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან გამოყენებითი და დეკორაციული ხელოვნების საბჭო ისეთ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამოყენებითი ხელოვნების შემდგომ განვითარებას, რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა ახალი ნიმუშების დამტკიცებას, აგრეთვე იმისათვის, რომ კონტროლი გაწიოს მხატვრულ ნაკეთობათა გამოშვებული ახალი ნიმუშების ხარისხს და მათ დანერგვას წარმოებაში.

დაწესდეს, რომ გამოყენებითი ხელოვნების საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას, რომელშიც მინაწილებობას მიიღებენ საქართველოს მხატვართა კავშირის, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანების წარმომადგენლები, აგრეთვე ცალკეული სპეციალისტები და წამყვანი ოსტატები, დამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

საბჭოს წევრთა მონაწილეობა სხდომებში არ ანაზღაურდება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხალხური სამხატვრო სარეწო მხატვარ სპეციალისტთა კადრებით ხის, ქსოვილის, ლითონის, მინასა და სხვ. ჯასამუშავებლად, მოაწყოს თბილისის სამხატვრო აკადემიაში დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფება სტუდენტთა 1959—1960 სასწავლო წლის მისაღები კონტინუატის ფარგლებში, თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგიური პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ბ) მოაწყოს 1959 წლიდან ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ხალხური სამხატვრო სარეწო განყოფილება; აკრიზისული განყოფილების ძირითად ამოცანად ჩაითვალოს ხალხურ სამხატვრო სარეწო განყოფილების ნიმუშების შეგროვება, მათი წარმოების ტექნიკის შესწავლა და აღწერილობა, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენების მოწყობა;

გ) სისტემატურად ჩატაროს სამხატვრო გამოფენები, საზოგადოებრივი დათვალიერებანი და რესპუბლიკური კონკურსები სამხატვრო სარეწო განვითარების საუკეთესო ნაკეთობებზე იმ მიზნით, რომ განვი-

თარდეს ხალხური დახელოვნებული ოსტატების შემოქმედებითი ინიციატივა და გამოყენებულ იქნას მასობრივ წარმოებაში ნაკეთობათა საუკეთესო ნიმუშები და სახეობანი, აგრეთვე მათი მხატვრული გაფორმების ახალი, ყველაზე სრულყოფილი ხერხები.

მოაწყოს 1959 წელს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში ხალხური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა; შემდეგში მოაწყოს ხალხური სამხატვრო სარეწების ნაკეთობათა გამოფენება ორ წელიწადში ერთხელ მაინც;

(დ) აიყვანოს აღრიცხვაზე რესპუბლიკის ყველა ხალხური დახელოვნებული ოსტატი იმ მიზნით, რომ ჩაბმულ იქნან ისინი შემოქმედებითს შუშაობაში უნიკალური ნაკეთობებისა და ნიმუშების შესაქმნელად სერიულ-მასობრივი წარმოებისათვის.

### 3. დაევალოს საქართველოს სარეწაო საბჭოს:

ა) თავი მოუყაროს გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა წარმოებას არტელ „მხატვარში“ და არტელ „საქართველოს ხალიჩაში“;

ბ) განახორციელოს 1958 წელს არტელ „მხატვარში“ ორგანიზაციულ-ტექნიკური ლონისძიებანი მხატვრულ ნაკეთობათა წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ხვეული ტექნიკის—გრეხილური, ხელით ქსოვის მძივით, ვერცხლისა და ოქროს ძაფით, ქართული ჭამრების, ხეზე ამოჭრილი ნაკეთობების, ფილიგრანული ნაკეთობების ქვისაგან, ძვლისაგან, რქისაგან, ჰედური ვერცხლისაგან, მოსევადებული ვერცხლისაგან, მხატვრულად გაფორმებული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების.

გადიდედეს არტელ „საქართველოს ხალიჩაში“ ხალიჩებისა და გადასაფარებლების გამოშვება ქართული ეროვნული ორნამენტით, მხატვრულად გაფორმებული ხალიჩებისა—ქილიმი;

გ) მოაწყოს 1959 წლიდან მცხეთის კერამიკულ სკოლაში და სხვა კურასმისულ წარმოებებში მხატვრული კერამიკის გამოშვება.

### 4. ნება დაერთოს საქართველოს სარეწაო საბჭოს:

ა) მოაწყოს არტელ „მხატვართან“ შემოქმედებითი ბრიგადება: უველაზე ნიჭიერი მხატვარი ოსტატებისაგან მათ მიერ ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ახალი ორიგინალური ნაწარმოებების შესაქმნელად;

ბ) შეუნარჩუნოს საშუალო თვიური ხელფასი ახალგაზრდა ორტებს, როდესაც ისინი იგზავნებიან როგორც რესპუბლიკის რაიონებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, სხვადასხვა მაღალმხატვრულ და დეოთობათა წარმოების ტექნიკის შესასწავლად;

(დ) იმ მიზნით, რომ გადიდებულ ხალხურ სამხატვრო სარეწვების სისტემა დაინტერესება ხალხური შემოქმედების მაღალმახტვრულ ნაკეთობათა შექმნით. გამოყოს სპეციალური თანხები საუკეთესო ნიმუშების დასაჭილდოებლად საქართველოს სარეწაო საბჭოს ხაზით შექმნილი საპრემიო ფონდების ფარგლებში.

5. რჩევა მიეცეთ შპრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომიებს შექმნან ცალკეულ საქალაქო (რაიონულ) სამრეწველო კომბინატებთან ხალხური სამხატვრო სარეწების ნაკეთობათა გამომშვები სპეციალიზებული საამქროები იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება ამ წარმოებათა რეტრაქტელობა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და ოფიციალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, გადასინჯონ მხატვრულ ნაკეთობათა წარმოების დაგეგმვის ასებული სისტემა. ამასთან იქნიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მათი გაფორმების ხარისხის მკვეთრად ამაღლება, ახალი ნიმუშების გამოშვების უსწრაფესად ათვისება. გამომუშავებულ ნაკეთობათა ასორტიმენტის სისტემაზეური გაფართოება და განახლება; გადასინჯონ აგრეთვე მხატვარ ისტატია შრომის ანაზღაურების სისტემა იმ შიზნით, რომ გაძლიერდეს მათი დაინტერესება მაღალმხატვრულ ნაკეთობათა შექმნით.

დაწესდეს, რომ ხალხური გამოყენებითი ხელოვნების შხატვა  
ოსტატთა შრომას აანაზღაურებენ სამინისტროები და უწყებები სა-  
ქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისთან და პროფესი-  
შირთა სათანადო რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით. ყო-  
ველ ცალკე შემთხვევაში შხატვის ნაწარმის სახეობისა და მისი  
შრომატევადობის, შხატვის მისამართისა და სიუკეტის სირთულის. აგრეთვა  
შესრულების ხარისხის მიხედვით.

7. ଡ୍ରେଗ୍‌ଵାଲ୍‌ମୁନ୍‌ସ ଅପ୍ରକାଶିତ୍‌ତିଳି ଏବଂ ମିନିସିଟିରୀତା ସାଥ୍‌ଫୋନ୍‌, ଏକାରିତି ଏବଂ ମିନିସିଟିରୀତା ସାଥ୍‌ଫୋନ୍‌, ସାଥ୍‌ବର୍ତ୍ତତ ଲ୍ୟାଙ୍କିଟିକ ଅତ୍ୱିନିମିତ୍ତରୀତି ଲାଗ୍‌ଜିକ୍‌ସ ଅନ୍ଧା-

კომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების, მინისტრების, საქართველოს სსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და საქართველოს სარეწაო საბჭოსთან ერთად, ერთი თვეს; ვადაში განიხილონ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში ხალხური სამხატვრო სარეწების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და ახალი სახეობის მხატვრულ ნაკეთობათა წარმოების შემდგომი განვითარებისა და მოწყობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 4 ოქტომბერი, № 638

---

**42** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 11 ოქტომბერი, № 660

---

ლატერაციული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1958 წლის 11 ოქტომბრის

№ 660 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ზედამხედველობა უსაშიშრობის წესების დაცვისადმი სამთო მრეწველობის მოქმედ და შენდებად საწარმოებში და სამთო და ბურღვის სამუშაოებზე გეოლოგიურ-სამიებო ექსპედიციებსა და პარტიების, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ.

კონტროლი სასარგებლო წიაღისეულთა საბალოების სწორი ექსპლუატაციისადმი.

იმისადმი ზედამხედველობა, რომ დაცულ იქნას ორთქლის ქვაბების, წნევის ქვეშ მომუშავე კურტკლების, ორთქლისა და ცხელი წყლის მიღვაყვანილობების, ამწე ნაგებობების, საგაზო დანადგარებისა და გაზსადენების (გარდა სსრ კავშირის „გლავგაზის“ გამგებლობაში არსებული მაგისტრალური გაზსადენებისა) დამზადებისა და ექსპლუატაციის წესები;

იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას ფეთქებად ნივთიერებათა და აფეთქების საშუალებათა აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესები სამთო მრეწველობაში, გეოლოგიურ-სამიებო სამუშაოებზე, მშენებლობაში და სხვა ობიექტებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის კონტროლს ექვემდებარებიან;

კონტროლი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გასამხედროებული სამთომაშველი ნაწილების ბრძოლისუნარიანობისადმი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება:

### სამთო ზედამხედველობის დარგში

ა) იმისადმი ზედამხედველობა, რომ დაცულ იქნას უსაშიშრობის წესები სამთო მრეწველობის მოქმედ და შენდებად საწარმოებში, სამთო, ბურღვისა და გეოფიზიკურ სამუშაოებზე, გეოლოგიურ-სა-ტიკის ექსპედიციებსა და პარტიებში;

კონტროლი სახალხო მეურნეობის საბჭოს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა სატვირთო და სამგზავრო კიდული საბავშვო გზების შესწევისას და ექსპლუატაციისადმი;

ბ) კონტროლი სასარგებლო წიაღისეულთა საბაზოების ექსპლუატაციის სისწორისა და იმისადმი. რომ გამოყენებულ იქნას მათი და-მუშავების ყველაზე ეფექტური სისტემები გამოკვლეული მარაგის ამოღების სისრულის. სამუშაოთა უსაშიშრობის და მათი მოპოვების დროს სასარგებლო წიაღისეულთა კომპლექსური ამოღების მხრივ, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

გ) იმისადმი კონტროლი (პერიოდული შემოწმების გზით), რომ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა შესა-რულონ სამარქშეიდერო სამუშაოები მოქმედი წესებისა და ინს-ტრუქტიული შესაბამისად. აგრეთვე კონტროლი სასარგებლო წია-ღისეულთა მარაგის დანაკარგების მარქშეიდერული აღრიცხვისადმი;

დ) გაზის მხრივ შახტების კატეგორიების დაწესება, სამთომომჰა-ვებელი მრეწველობის საქვეყნტროლო საწარმოებთან ერთად, ან მათი მიყუთვნება მტკრის მხრივ საშიშ შახტებზე. შახტების გადაყვა-ნა გაზის მხრივ ერთი კატეგორიიდან მეორეში, აგრეთვე კონტროლი შახტების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის სისწორისადმი;

ე) იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას წესი თეთქვებად ნივ-თიერებათა და აფეთქების საშუალებათა აღრიცხვისა, შენახვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისა სამთო მრეწველობის მოქმედ და შენდებად საწარმოებში, ნაკონბისა და გაზის სარეწვებში, გეოლო-გიურ-საძიებო და გეოფიზიკურ ექსპედიციებსა და პარტიებში, სა-ხალხო მეურნეობის საბჭოს. ყველა იმ სამინისტროსა და უწყე-ბის შესწევისას და სამუშაოებზე. რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის კონტროლს ექვემდებარებიან (გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა, სსრ კავშირის გზათა, სატრანსპორტო შესწევისას და საზღვაო ფლოტის სამინისტროებისა);

ვ) იმის ნებართვების გაცემა, რომ გამოყენებულ იქნას ელექტ-რომექანიკური მოწყობილობისა და საკონტროლო-საზომი პარატუ-

რის ის ახალი ნიმუშები თვეოთქების მხრივ უსაშიშრო სამაღაროე შესრულებაში, რომლებიც განკუთვნილია მიწისქვეშა სამთო სამუშაოებისათვის, აგრეთვე, რომ გამოყენებულ იქნას ახალი ფეოთქებადი მასალები მას შემდეგ. ჩაც მოხდება მათი გამოცდა უსაშიშრობის ტექნიკის სათანადო ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში;

ზ) უსაშიშრობის ტექნიკის და სამთო-მაშველი საქმის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების იმ თემატიკური გეგმების განხილვა, რომლებსაც შესათანხმებლად წარადგენენ სავალდებულო წესით სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები;

თ) ისეთ ლონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწის ზედაპირის და მასზე განლაგებული შენობების, ნაგებობების, წყალსატევებისა და ნარგავების, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების დაცვას სამთო სამუშაოთა მავნე გავლენისაგან სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის დროს;

ი) სამთო მინაკუთვნების მიცემა სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების დასამუშავებლად. ტერიტორიული გეოლოგიური სამართველოების დასკვნების გათვალისწინებით, გარდა საერთო გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა, მოედნების დამტკიცება სამრეწველო საწარმოების, ქალაქების, დაბების, ნაგებობებისა და წყალსატევების მშენებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი განლაგებულია სასარგებლო წიაღისეულთა ჩაწოლის ფართობებზე;

კ) იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას წესი ნავთობისა და გაზის საძიებო ბურღვის დაწყებისა და შეწყვეტისა ახალ ფართობებზე და ნავთობის და გაზის საბადოების გადაცემისა სამრეწველო დამუშავებისათვის, აგრეთვე იმისადმი, რომ ჩატარდეს საძიებო ნავთობისა და გაზის ჭაბურლილების საცდელი ექსპლუატაცია, რომ დაცულ იქნას სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის დაწესებული რეჟიმები, სწორად მოხდეს ჭაბურლილების კონსერვაცია და ლიკვიდაცია;

ლ) კონტროლი გასამხედროებული სამთო-მაშველი და გაზმაშველი ნაწილების მდგომარეობისა და ბრძოლისუნარიანობისადმი და მათ მიერ ჩატარებული პროფილაქტიკური მუშაობისადმი, ნაწილების პირადი შემაღევენლობის რიცხვისადმი, აგრეთვე სამთო-მაშველი პარატურისა და მოწყობილობის დისლოკაციისა და განაწილების გეგმის შეთანხმება, რომლებსაც სახალხო მეურნეობის საბჭო ადგენს სავალდებულო წესით, ამ ნაწილების დისლოკაციის განხილვა და შეთანხმება;

მ) კონტროლი პიდრომინერალური რესურსების ექსპლუატაციის სისწორისაღმი და გაფუჭებისა და ნაღრუები გამოფიტვისაგან მათი დაცვისაღმი;

ნ) კონტროლი სამთო სამუშაოების უსაშიშრო წარმოების საზღვრების დაწესებისაღმი:

ო) სამთო საწარმოების, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების, აგრეთვე მასალათა პროექტების შემოწმება და შეთანხმება და მასობრივ აფეთქებათა ჩატარება იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის მოვალეობაში შედის;

პ) მონაწილეობა კომისიებში. რომლებიც საექსპლუატაციოდ მიიღებენ შახტებს, მაღარებებსა და სხვა სამთო საწარმოებს, ნავთობისა და გაზის ჰაბურლილებს, ფეთქებადი მასალების საწყობებს, გარდა მოკლევადიანებისა, და მიმღები კომისიებისათვის სავალდებულო დასკვნების მიცემა პროექტის შესაბამისად ექსპლუატაციისათვის მათი მზადყოფნის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც უსაშიშრობის წესების მოთხოვნების შესრულებას შეეხება;

ჟ) იმისადმი კონტროლი—აქვთ თუ ორა აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირებს სამთო, აფეთქებისა და მარკშეიდერული სამუშაოების წარმოების უფლება:

რ) იმის შემოწმება, თუ რამდენად იცავენ საწარმოები და ორგანიზაციები სამუშაოებზე მუშათა დაშვების, მათი ინსტრუქტაციისა და მუშაობის უსაშიშრო მეთოდების სწავლების ჩატარების დადგენილ წესს;

ს) კონტროლი შახტების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის არსებობისა და მდგრამარებელისაღმი, სამთო საწარმოებში ფარივების ლიკვიდაციის გეგმების დროულად და სწორად შედგენისაღმი და იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ნამდვილ მდგრმარებელის შახტებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა ახორციელებს ამ განაყოფში ჩამოთვლილ ფუნქციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში (გარდა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების), ხოლო „ზ“ და „თ“ პუნქტების მიხედვით—ყველა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და უწყების საწარმოებში.

### ქვაბზედამხედველობის დარგში

ა) ზედამხედველობა იმისადმი, თუ როგორ იცავენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, მათი საწარმოები და უწყებები ორთქლისა და წყალსათბობი ქვაბების, წნევის ქვეშ მომუშავე ჰურკლების, ორთქლისა და ცხელი წყლის მიღვაყვანილობათა და ამწვნაგებობათა (ამწვები, ლიფტები, ესკალატორები და ფუნიკულიორები) დამზადებისა და ექსპლუატაციის წესებს;

ბ) ქვაბზედამხედველობის ობიექტების რეგისტრაცია და მათი ექსპლუატაციის ნებართვების გაცემა მას შემდეგ, რაც მოხდება მათი რექნიეური შემოწმება მოქმედი წესების თანახმად;

გ) ნებართვების გაცემა მოწყობილობის დამზადებაზე იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ქვაბზედამხედველობის წესებით;

დ) იმ მოწყობილობის დამზადებისა და მონტაჟის ნაკლოვანებათა გამოვლინება ექსპლუატაციის პროცესში. რომლისადმი კონტროლს ახორციელებს ქვაბზედამხედველობა, აგრეთვე კონტროლი დამზადებელი ქარხნებისა და სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ გამოვლინებული ნაკლის აღმოფხერის ლონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისადმი;

ე) იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის მიერ დადგინდილი წესი პერსონალის სწავლებისა, ატესტაციისა და ქვაბზედამხედველობის ობიექტების მომსახურებისათვის პერსონალის დაშვებისა, აგრეთვე იმისადმი, რომ საწარმოების აღმინისტრაციამ ჩატაროს პერსონალის ცოდნის პერიოდული შემოწმება:

ვ) ქვაბზედამხედველობის ობიექტებზე ახალი დანადგარების პროექტებისა და მათი რეკონსტრუქციის პროექტების შემოწმება იმ მხრივ, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ქვაბზედამხედველობის მოთხოვნებსა და ნორმებს.

ქვაბზედამხედველობის მხრივ ამ პუნქტში ჩამოთვლილ ფუნქციებს განახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა სახალხო მეურნეობის საბჭოს. ყველა სამინისტროსა და უწყებების იმ საწარმოებში და ობიექტებზე, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა გზათა სამინისტროს. სატანასპორტო მშენებლობის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, თავდაცვის და საზღვაო ფლოტის სამინისტროების. კონპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებისა და ობიექტებისა.

### საგაზო ზედამხედველობის დარგში

ა) იმისადმი ზედამხედველობა, რომ დაცულ იქნას უსაშიშრობის წესები ისეთი ობიექტების ექსპლუატაციის ღროს, როგორიცაა ნავთობისა და გაზის სარეწოა გაზშემექრები და გაზგამრთავი ქსელები, მაგისტრალური გაზსადენები (გარდა სსრ კავშირის „გლავგაზის“, საქალაქო და რესპუბლიკური გაზტექნიკური ინსპექციების გამგებლობაში არსებულისა), იმ სამრეწველო საწარმოების საგაზო ქსელი და საგაზო მოწყობილობა, რომლებიც გაზს იღებენ მაგისტრალური და საქალაქო გაზსადენებიდან, ხელონური გაზისა და თხევადი სათბობის მიმღები ქარხნების საგაზო პარატურა, შეკუმშული და გათხედავადებული ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გაზშემესები სადგურები, ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციის სადგურები და გაზგენერატორული სადგურები;

ბ) მონაწილეობა საგაზო ზედამხედველობის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებში საგაზო ზედამხედველობის წესებით დადგენილი წესით;

გ) შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, ამ დადგენილების „ა“ მუხლში ჩამოთვლილი ობიექტების მშენებლობის პროექტებისა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მათი ავებისა და ექსპლუატაციის დაგენერილი წესების დაცვას;

დ) იმისადმი კონტროლი, რომ სამინისტროებმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ, უწყებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა შეასრულონ უსაშიშრობის მოქმედი წესები და ინსტრუქციები ამ განაყოფის „ა“ მუხლში ჩამოთვლილი ობიექტების მშენებლობის ღროს.

ე) რეგისტრაცია საგაზო ზედამხედველობის ასაშენებელი ობიექტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ განაყოფით, საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის მიერ დადგენილი წესით.

### წესებისა და ინსტრუქციების მომზადების დარგში

ა) სამთო მომპოვებელი მრეწველობისა, გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციებისა, ქვაბზედამხედველობის ობიექტებისა და საგაზო ზედამხედველობისათვის უსაშიშრობის ყველა იმ წესის და ნორმების განხილვა, რომლებსაც სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები წარადგენენ, და მათი მომზადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დასამტკიცებლად;

ბ) შემუშავება. საჭირო შემთხვევებში, სახალხო მეურნეობის საბჭოს, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების დამზადების, მონტაჟის და ექსპლუატაციის უსაშიშრობის წესებისა და ნორმებისა, აგრეთვე ქალაქების. დასახლებული პუნქტების, სამრეწველო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების საგაზო ქსელის აგებისა და ექსპლუატაციის ერთიანი წესებისა და საგაზო აპარატურის დამზადების ნორმებისა;

გ) საქვეკონტროლო საწარმოებში და ობიექტებზე ახალი ტექნიკისა და მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვიდან გამომდინარე დამატებების შეტანა უსაშიშრობის მოქმედ წესებსა და ნორმებში პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით;

დ) იმისადმი კონტროლი, თუ რამდენად შეესაბამება უსაშიშრობის მოქმედ წესებს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;

ე) მოპოვების დროს წიაღისეულთა დანაკარგების იმ ნორმატივების განხილვა, რომლებსაც შესათანხმებლად წარადგენენ სავალდებულო წესით სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები;

ვ) ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების დამზადების, აგრეთვე ქვაბზედამხედველობის ობიექტების დასამზადებლად საჭირო მასალების სახელმწიფო სტანდარტთა იმ პროექტებისა და ნორმების განხილვა, რომლებსაც შესათანხმებლად წარადგენენ სავალდებულო წესით სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები;

ზ) დამტკიცება სამთომომშოვებელ მრეწველობაში უსაშიშრობის ინსტრუქციებისა, აგრეთვე წესებისა და ინსტრუქციებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბაზოების ექსპლუატაციის დროს მაჩქშეიდერულ სამუშაოებთან, სამთო სამუშაოთა მავნე გავლენისაგან მიწის ზედაპირის, შენობებისა და ნაგებობების დაცვასთან;

თ) იმ ერთიანი დებულებების, წესდებების, ინსტრუქციებისა და სხვა დოკუმენტების დამტკიცება, რომლებიც აწესრიგებენ გასამხედროებული სამთო-მაშველი ნაწილების საქმიანობას;

ი) საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მეშვეობით

სამთო ზედამხედველობისა და მრეწველობაში სამუშაოთა წარმოების უსაშიშრობის საკითხებზე.

მასზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტს ჰყავს ძირითად აუზებში რაიონული სამთო-ტექნიკური ინსპექციები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკურ ზედამხედველობის კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება ეძღვათ:

ა) განიხილონ, საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოების ქვესაკონტროლო საწარმოებში და ობიექტებზე ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის მძიმე შემთხვევების ვითარება და მიზეზები და მიზეზების მიხედვით, გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისათვის;

ბ) კონტროლი გაუწიონ საწარმოო ტრავმატიზმის აღრიცხვის წარმოების სისწორეს, განაზოგადონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებში სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით წარსაღვენი ცნობები საწარმოო ტრავმატიზმის მდგრამარეობისა და მიზეზების შესახებ და შეიუმშაონ ამ განზოგადებიდან გამომდინარე ლონისძიებანი, რომლებიც სავალდებულო სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, ყველა სამინისტროსა. უწყებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის.

მოთხოვონ სამთომომპოვებელ საწარმოებს სამთო სამუშაოთა განვითარების წლიური გეგმების წარდგენა შესათანხმებლად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი ახორციელებს საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს, უწყების, საქალაქო და რაიონული აღმასკომის. აგრეთვე კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ინსპექციების საქმიანობისაღმი მეთოდურ ხელმძღვანელობას.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარესა და მოადგილეებს უფლება აქვათ:



ა) მოთხოვონ შემოწმების დროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პირებს საჭირო ახსნა-განმარტებანი და ცხობები უსაშიშრობის ტექნიკისა და წიალისეულთა დაცვის საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობის სფეროს შეეხება;

ბ) აღლიონ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა, საწარმოებისა, მშენებლობებისა, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებისა და გეოფიზიკური პარტიებისათვის სავალდებულო მითითებანი სამთო, ფეოქებად და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის მიერ აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობას შეეხება, აგრეთვე წიალისეულის დაცვის, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების მოწყობის, შენახვისა და ექსპლუატაციის წესების და ინსტრუქციების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

გ) შეაჩერონ მუშაობა მოქმედ და შენდებად საწარმოებსა და ობიექტებზე, რომელთაღმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი იმ შემთხვევაში, თუ აღგილი აქვს უსაშიშრობის ტექნიკის წესებისა და ინსტრუქციების დარღვევას, რაც საფრთხეს უქმნის მომუშავეთა სიცოცხლეს:

დ) კონტროლი გაუწიონ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ლიკვიდაციის სისწორეს, ჭაბურღილების კონსერვაციის სისწორეს, აგრეთვე ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაციის დაწესებული რეეიმის დაცვას;

ე) დანიშნონ, საჭიროების შემთხვევაში, სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა, საწარმოებისა და გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებისა და პარტიებისათვის სავალდებულო გამოცდა მოწყობილობისა და მასალებისა, მტკრის და გაზის საკონტროლო ანალიზები. მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება, აგრეთვე საკონტროლო გვირაბებისა და საძიებო ჭაბურღილების გათხრა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეესაბამება შესასრულებელი სამთო სამუშაოები უსაშიშრობისა და წიალისეულთა დაცვის მოთხოვნებს:

ვ) კონტროლი გაუწიონ იმას, თუ რამდენად სწორად მიაკუთვნეს სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა შახ-

ტები, მაღაროები და საწარმოები გაზის, მტვრის და მავნე გამოსხივების მხრივ ამა თუ იმ კატეგორიასა და რამდენად სწორად გადაიყენეს შახტები გაზის მხრივ ერთი კატეგორიიდან მეორეში, აგრეთვე რამდენად სწორად მოხდა შახტების ლიკვიდაცია და კონსერვაცია;

ზ) მოიწვიონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, სახალხო მეურნეობის საბჭოდან, სამინისტროებიდან და უწყებებიდან, მათთან შეთანხმებით, სპეციალისტები ექსპერტებად ერთ თვემდე ვადით სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯზე;

თ) აძლიონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს მითითებანი იმის შესახებ, რომ თანამდებობიდან იქნან გადაყენებული ის პირები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სამთო, აფეთქებისა და სხვა სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების მოწყობის, შენახვისა და ექსპლუატაციის წესებსა და ინსტრუქციებს, ის პირები, რომლებიც დაუშევებენ მოწყობილობისა და ობიექტების თვითნებურად გადაცემას საექსპლუატაციოდ, საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოების მიერ შეჩერებული სამთო, გეოლოგიურ-საძიებო და სხვა სამუშაოების განახლებას და საჭირო შემთხვევებში გადასცენ დაგენილი წესით მასალები პროფურატურის ორგანოებს საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისმგებაში;

ი) განიხილონ ქვაბზედამხედველობის უწყებრივი ინსპექციების დებულებანი, რომლებსაც სავალდებულო წესით წარადგენენ შესათანხმებლად სამინისტროები და უწყებები.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის განყოფილების უფროსებს და საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის რაიონულ სამთო-ტექნიკურ ინსპექციებს უფლება აქვთ:

ა) ფინანსონ სამთო საწარმოების, მშენებლობის, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებისა და პარტიების, საგაზო დანაღვარებისა და გაზისადენების გამოკვლევა, აგრეთვე ქვაბზედამხედველობის ობიექტების ტექნიკური შემოწმება;

ბ) მიიღონ საწარმოებისა და ობიექტების ხელმძღვანელებისაგან გასაცნობად გამოკვლევის პერიოდში საჭირო ცნობები და ანგარიშები ანგარიშების არსებული ფორმების მიხედვით. სამთო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმები და სამთო სამუშაოების, ჭა-

ბურღილების, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებანი იმ საკითხებზე, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობას შეეხება:

გ) აღლიონ საწარმოებისა, შენებლობებისა, გეოლოგიურ-სამიებო ექსპედიციებისა და პარტიებისათვის სავალდებულო მიწერილობანი სამთო, აფეთქების და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხერის შესახებ იმ საკითხებზე, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობას შეეხება. აგრეთვე წიაღისეულთა დაცვის, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების შენახვის და ექსპლუატაციის წესებისა და ინსტრუქციების აღმოჩენილ დარღვევათა ლიკვიდაციის შესახებ;

დ) მოთხოვონ საჭიროების შემთხვევაში, შესათანხმებლად იმ სამთო საწარმოებს, რომელთადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი, დაწესებული ფორმის ანგარიშების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულთა გეგმური დანაკარგების ნორმები, აგრეთვე ცნობები ამ წიაღისეულთა ფაქტიური დანაკარგების შესახებ;

ე) შეაჩერონ მუშაობა მოქმედ და შენდებად საწარმოებში, რომებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი იმ შემთხვევებში, თუ უსაშიშრობის ტექნიკის წესებისა და ინსტრუქციის დარღვევა საფრთხეს უქმნის მომუშავეთა სიცოცხლეს;

ვ) დანიშნონ, საჭიროების შემთხვევაში, საწარმოებისა, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებისა და პარტიებისათვის სავალდებულო საკონტროლო გამოცდა მოწყობილობისა და მასალებისა, მტკრის, გაზის და სხვა მავნე კომპონენტების საკონტროლო ანალიზები, მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება;

ზ) მისცენ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების და უწყებათა ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის სავალდებულო მითითებანი, რათა გადაყენებულ იქნან თანამდებობიდან ის პირები, რომელსაც არა აქვთ აფეთქების სამუშაოთა პასუხსაგები წარმოების უფლება, აგრეთვე უმცროსი ზედამხედველობის პირები—საკენტილაციის და მცვერსაგაზო რეკიმის დარღვევისათვის.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის ინჟინერ-კონტროლიორებისა და რაიონული სამთო-ტექნიკური ინსპექტორების უფლება აქვთ:

ა) დაათვალიყრონ ყოველ დროს, სამსახურებრივი მოწმობების წარდგენით, საწარმოები, ორგანიზაციები, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციები და პარტიები, რომელთადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა, აწარმოონ მათი გამოკვლევა, მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება, გაეცნონ სამთო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმებს, ამ სამუშაოების შესახებ შედგენილ ანგარიშებს და სხვა მასალებს, აგრეთვე მიიღონ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირებისაგან ცნობები და ახსნა-განმარტებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის საქმიანობის სფეროს შეეხება;

ბ) შეაჩერონ მუშაობა მოქმედ და შენდებად ობიექტებზე, რომელთადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი, გამოიყვანონ მუშები და დალუქონ სამუშაოთა აღვილები უსაშიშრობის წესების ისეთ დარღვევათა შემთხვევებში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მომუშავეთა სიცოცხლეს და იწვევენ ობიექტების ავარიულ მდგრადრეობას;

გ) მისცენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებისა და პარტიების ხელმძღვანელებისათვის სავალდებულო მიწერილობანი სამთო, აფეთქების და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ინსტრუქციებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების იმ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც აღმოჩენილია გამოკვლევის დროს, იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობის სფეროს შეეხება. აგრეთვე წილისეულთა დაცვის, ქვაბზედამხედველობის და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების შენახვისა და ექსპლუატაციის წესებისა და ინსტრუქციების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

დ) შეამოწმონ სამთო, სამშენებლო, ბურღვისა და აფეთქების სამუშაოების შემსრულებელი მუშების და იმ პერსონალის ცოდნა, რომელიც მომსახურებას უწევს ქვაბზედამხედველობის მექანიზმებს, აგრეგატებს, ობიექტებს. საგაზო დანადგარებს. და აძლიონ სავალდებულო მითითებანი საწარმოთა ხელმძღვანელებს იმ მუშების საჭუ-

შაოდან გადაყენების შესახებ, რომლებსაც არა აქვთ საჭირო ცოდნა უსაშიშრობის ტექნიკის დარღვევი.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილებს უფლება აქვთ დაადონ იმ პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან სამთო უგეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა უსაშიშრობის, წიაღისეულთა დაცვის, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის მოქმედი წესებისა და ინსტრუქტივიების დარღვევაში, ჯარიმა 500 მანეთამდე ხოლო რაიონული სამთო-ტექნიკური ინსპექციების უფროსებს — 300 მანეთამდე. რომლის გადახდევინება წარმოებს უდავო წესით.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის მუშავებს ეკრძალებათ შეთავსებით მუშაობა იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებზედაც ისინი ახორციელებენ ზედამხედველობას, აგრეთვე ამ საწარმოებისათვის რაიმე სხვა ფასიანი სამუშაოებისა და დავალებების შესრულება, ვარდა გამოცდების ჩატარებისა.

11. საწარმოები, მშენებლობები, ორგანიზაციები, გეოლოგიურ-საძიებო პარტიები, რომელთადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებს მომხდარი ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის მიმებობების შესახებ.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის კონტროლიორთა მთელ შემადგენლობას ეკისრება სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა მოქმედ და შენდება დამთო საწარმოებსა და გეოლოგიურ-საძიებო პარტიებში სამთო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი. აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების სწორი ექსპლუატაციისადმი დროული და გულმოდგინე კონტროლისათვის იმ ნაწილში. რომელიც შეხება უსაშიშროების და წიაღისეულთა დაცვის წესებისა და სამუშაოთა უსაშიშროების წესების დაცვას — ქვაბზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის ობიექტებზე.

კონტროლიორთა შემადგენლობის ძირითადი ამოცანაა ას დაუშვას საწარმოებში მუშაობის ღროს უსაშიშროების მოქმედი წესების დარღვევა.

კომიტეტის ინჟინერ-კონტროლიორები და საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის რაიონული სამთო-ტექნიკური ინსპექციების ინსპექტორები, რომლებმაც მისცეს ისეთი სამთო და ფერქებადი სამუშაოების წარმოების ნებართვა, რომლის დროსაც დარღვეული იყო უსაშიშრობის წესები, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების მოწყობისა და შენახვის წესები, აგრეთვე რომლებმაც მისცეს არასწორი მითითება სამუშაოთა გაჩერების შესახებ. მიცემულ უნდა იქნან დისციპლინურ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, უზრუნველყოფს საერთო-საკავშირო კანონების, საკავშირო მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას იმ საკითხებზე. რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის სფეროს შეეხება.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის კომპენტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად და ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის პარატის, მისადმი დაქვემდებარებული ინსპექციების ხელმძღვანელ მუშაკებს, აგრეთვე დაამტკიცებს დებულებებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის განყოფილებებისა და ინსპექციების შესახებ.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტში შეიქმნება კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის

თავმჯდომარე (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილები და ხელმძღვანელი მუშავები. კომიტეტის შემადგენლობას დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

კომიტეტი თავის სხდომებზე განიხილავს პრიქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საყითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მორსმენს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის განყოფილებების და კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშავთა ანგარიშებს.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარესა და კომიტეტის შორის უთანხმოების შემთხვევაში. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას, ხოლო წამოკრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კომიტეტის წევრებს კი თავის მხრივ შეუძლიათ პელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტში შეიქმნება საექსპერტო-ტექნიკური საბჭო, რომელიც განიხილავს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგებს, პროექტებს, წესებს, ინსტრუქციებსა და წორმებს სამთო და ცვეთქების სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების საკითხებზე, სამთო ზედამხედველობის, ქვაბზედამხედველობისა და ნავთობგაზის დანადგარებისა და გაზსადენებისადმი ზედამხედველობის ხაზით.

საექსპერტო-ტექნიკური საბჭოს წევრებად შეიძლება იყვნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, მათი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის რკინიგზის ინიციერთა ინსტიტუტის და სხვათა სპეციალისტები, რომლებიც მოწვეული იქნებიან



საექსპერტო-ტურისტურ საბჭოში სამუშაოდ სათანადო. ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

აღნიშნული სამუშაოსათვის მოწვეულ პირებს გასამრჩელ მიეკუთხათ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის ხარჯზე.

დებულებას საექსპერტო-ტექნიკური საბჭოს, მისი შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის ცენტრალური პარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

18. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტს ქვეს მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღრუბი და აღნიშნულია თავისი დასახელება.

43

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის მმ  
ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ფულადი პრემიების  
შესახებ, რომლებმაც სოციალისტურ შეჭიბრებაში გაიმარჯვეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მშენებლობათა  
და საწარმოთა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების  
შემდგომი გაშლის, მშენებლობისა და პროდუქციის გამოშვების გეგ-  
მების წარმატებით შესრულების მიზნით, დაწესდეს საქართველოს  
სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტების, სამშენე-  
ბლო სამმართველოების. სამშენებლო-სამნეტაურ სამმართველოების  
და სამჩერველო საწარმოების იმ კოლექტივების დასაჯილდოებლად,  
რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუ-  
ლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ა.შ-  
ლადი პრემიით, ორი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიებით.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს  
და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროც-  
ეკუმინის რაიკომის ყოველ აღლე შემთხვევაში განსაზღვრონ პრეზი-  
დის ოდენობა. სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარ-

მოქმდის იმ მუშაյთა საერთო რაოდენობის საფუძველზე. რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, მოცემული ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგებისა და ზეგეგმითი კეონომიის ხარჯზე პრემიების III სკალის შესაბამისად. რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 პრილის № 232 დადგენილებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე პ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 18 ოქტომბერი № 676

### პ ი რ ი ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-საშონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრებისა

ჩვენი ქვეყანა ეგებება ღირსშესანიშნავ მოვლენას—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. საბჭოთა ხალხი დიდი აღმავლობით ემზადება იმისათვის, რომ ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს პარტიის მომავალ ყრილობას. ყველგან ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად.

პარტიამ და მთავრობამ მშენებლებს დაუსახეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები—მკვეთრად გააძლიერონ მშენებლობის ტემპები, გაუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ მისი ვადები, უზრუნველყონ მშენებლობის ღირებულების შემცირება მისი შემდგომი ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ამ ამოცანის განხორციელებისას მოვალენი არიან უფრო ზუსტად და ტექნიკურის. მხრივ წესიერად მოაწყონ მუშაობა სამშენებლო მოედნებზე

და საწარმოებში, ნაყოფიერად გამოიყენონ სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, აღმოფხვრან სამუშაო დროის გაცდენა და სხვა არა-მწარმოებლური დანაკარგები, გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი, დანერგონ მშენებლობაში ახალი, უფრო სრულყოფილი და ეკონო-მიური კონსტრუქციები და მასალები. შემცირონ ზედნადები ხარჯები.

იმ მიზნით, რომ მობილიზებულ იქნან მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო შასები დასახული ამოცა-ნების წარმატებით შესრულებისათვის, საქართველოს სსრ მშენებ-ლობის სამინისტრო და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრჩევე-ლობის მუშათა პროფესიის რაკომი აცხადებენ სოციალისტუ-რი შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

**I. სამშენებლო და სპეციალიზებული ტრესტები, ტრესტებისადმი დაქვემდებარებული და დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი სამმართველოები, კანტორები და უბნები**

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან იმ ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებმაც:

ა) მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო-სამონ-ტაჟო სამუშაოთა კვარტალური გეგმა, საკუთარი ძალებით შეას-რულებელ სამუშაოთა მთელი მოცულობის მიხედვით, ავრეთვე სა-კუთარი კაბიტალური მშენებლობის გეგმა;

ბ) მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს საბინაო და კულ-ტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, აგრეთვე იმ სამრეწველო და საკუთარი მშენებლობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა. რომელიც ხორციელდება საკუთარი ძალებით, სამუშაოთა ხარისხის შეფასებით კარგზე და ფრიადზე;

გ) მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს მშენებლობაში და-საქმებული ერთი მუშის შრომის ნაყოფიერების გეგმა;

დ) მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო და სა მონტაჟო სამუშაოთა ლირებულების შემცირების დავალებანი და უზრუნველყვეს ზეგეგმითი დაგროვებანი კვარტალის განმავლობაში და წლის დამდეგიდან მუშაობის შედეგების მიხედვით;

ე) დაზოგეს საშენი მასალები დაწესებულ ნორმებთან შედა-რებით;

ვ) მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს საანგარიშო კვარ-ტალისათვის დამტკიცებული დავალებანი ძირითადი სახის სამუშაო-

თა მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვისა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება:

მუშათა ხელფასის ფონდის გამოყენება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებსა და დამხმარე წარმოებებში საანგარიშო კვარტალში, კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება;

შრომის დისკიპლინის მდგომარეობა;

უსაშიშრობის ტექნიკისა და შრომის დაცვის ლონისძიებათა გეგმის შესრულება და ამისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება.

## II. დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სამრეწველო საწარმოები

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც მიაღწიეს:

ა) სახელმწიფო გეგმით დაწესებული ნომენკლატურის ნაკეთობათა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მაჩვენებლებს მათი მაღალი ხარისხით;

ბ) შრომის ნაყოფიერების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას;

გ) ძირითადი სახის ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობას;

დ) შესადარები პროდუქციის თვითლირებულების შემცირების დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და ზეგეგმითი დაგროვების უზრუნველყოფას კვარტალის განმავლობაში და წლის დამდეგიდან მუშაობის შედეგების მიხედვით;

ე) შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება:

სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის გამოყენება საანგარიშო კვარტალში;

კადრების მომზადების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება;

შრომის დისკიპლინის მდგომარეობა;

შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკისათვის გალებული სახსრების ათვისება და შრომის დაცვის მდგომარეობა.

### III. დაჭილდოების წესი

1. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ საქართველოს სსრ შენებლობის სამინისტრო და შენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფესიონის რაიონში კვარტალში ერთხელ, არა უვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 26 რიცხვისა, საბულალტრო ანგარიშების მონაცემების მიხედვით.

2. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებრლად დაწესებულია: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიონის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ორი მეორე და ერთი მესამე პრემია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიონის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივებს, რომლებმაც შეჯიბრებაში დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები, მიეკუთვნებათ მეორე და მესამე ფულადი პრემიები.

სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებული ტრესტის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივისათვის პრემია გამოიანგარიშება ტრესტის იმ საწარმოებსა და მეურნეობებში დასაქმებული კველა მუშაკის საერთო რიცხვის საფუძველზე. რომლებიც აღრიცხული არიან ძირითადი საიჯარო საქმიანობის ბალანსზე (გარდა დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სამრეწველო საწარმოებისა, რომელთათვისაც შეჯიბრების შედეგები ცალკე იქნება შეჯამებული).

ფულადი პრემიები გაიცემა წლის დამდეგიდან იმ ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიკის ხარჯზე, რაც მიღებულია მოცემული ორგანიზაციის. საწარმოს მიერ თვითონირებულების შემცირებისაგან. და განკუთვნილია სოციალისტურ შეჯიბრებაში ვანსაკუთრებით წარჩინებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად და მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. პრემიების საერთო თანხიდან 60—70 პროცენტი მოხმარდება ინდივიდუალურ დაჯილდოების და 30—40 პროცენტი—კულტსაყოფაცხოვრებო საჭიროებებს. პრემიიდან, რაც 20 ათას მანეთს არ აღმატება, ანარიცხები კულტურულ-საყოფაცხოვრებო ლონისძიებისათვის არ იწარმოებს.

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის გათვალისწინებული პრემიის თანხიდან გამოცყოფა 75 პროცენტი მუშების დასაჯილდოებლად და 25 პროცენტი ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად. რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტური შეჯიბრებაში.

გათვალისწინებული მაჩვენებლების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშავთა პროფესიონალის რაიონში შეუძლიათ ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოართვან პრეზიდი საბჭოთა ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიონალისტური საქართველოს რესპუბლიკური საბჭო გამოთქვამენ აღმენას, რომ მშენებლობათა და საწარმოთა მუშები, ინჟინრები, სამუშაოთა მწარმოებლები, ტექნიკურები, ათისთავები, ოსტატები და მოსამსახურები კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას ყველა მაჩვენებლის გეგმების ვალამდე, მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და თავიანთი შემოქმედებითი. თავდადებული შრომით ახალ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, მისი ეკონომიკის გაფურჩქვნის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

**44** იმ პრემიების ოდენობის შესახებ. რომლებიც ავტომობილების შოფტებს უნდა მიეცეთ ავტობენზინის მომჭირნეობისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გ ე ნ ს:

1. ეცნობოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრალმელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომ, 1958 წლის 1 ივნისიდან ავტობენზინის ახალი ერთიანი (ზოლობრივი) საცალო ფასების შემოღებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1958 წლის 3 ნოემბრის № 1218 დადგენილებით „იმ პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ. რომლებიც ავტომობილების შოფტებს ეძლევათ ავტობენზინის მომჭირნეობისათვის,“ დაუ-

წელი 1958 წლის 1 ნოემბრიდან ავტობენზინის მომცირნეობისათვის“.  
 პრემიების შემდეგი ოდენობა იმ ნორმების ნაცვლად, რომლებიც  
 დაწესებულია სსრ კავშირის სახეომსაბჭოს 1941 წლის 12 აპრილის  
 № 906 დადგენილებით:

ავტომობილების შოფტებს—დაზოგილი ავტობენზინის ფაქტიუ-  
 რი ღირებულების 30 პროცენტი;

გარეგულირებლებს—მათთვის მიჩნილ ყველა ავტომობილზე  
 დაზოგილი ავტობენზინის ჯამობრივი ღირებულების 3 პროცენ-  
 ტადე;

ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს, რომელმაც თავისი  
 უსუალო მონაწილეობით მიაღწია ავტობენზინის მომცირნეობას,—  
 ავტომეურნეობაში დაზოგილი ავტობენზინის ჯამობრივი ღირებუ-  
 ლების 1,5 პროცენტამდე.

გარეგულირებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსო-  
 ნალისათვის პრემიების კონკრეტულ ოდენობას დაწესებს ავტომე-  
 ურნეობის ხელმძღვანელი.

შოფტების მიზეზით ავტობენზინის გადახარჯვისათვის უაწესე-  
 ბულ ნორმებზე ზევით, მათ დაუკავდებათ გადახარჯულ ავტობენზი-  
 ნის ღირებულების 60 პროცენტი.

2. „ავტომობილებისა და მოტოციკლებისათვის ავტობენზინის  
 და საცხები მასალების ხარჯების ნორმების შესახებ“ საქართველოს  
 სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენი-  
 ლების მე-3 მუხლის მესამე აბზაცი შეიცვალოს და მიღებულ იქნას  
 შემდეგი სახით:

„დაწესდეს ბენზინის გადახარჯვაში დამნაშავე პირებისაგან გადა-  
 ხარჯული ბენზინის ღირებულების 60 პროცენტის დაკავება“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოაღგილე მ. პუხავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი მ. პაპაშვილი.



**45** მომავალი წლების მშენებლობისათვის საძირებო საპროექტო სა-  
მუშაოთა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ოქტომბრის № 1180 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენ ნ ს:

დადგენილ იქნას მომავალი წლების შენებლობისათვის საძიებო  
და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიების დამტკიცების შემდე-  
გი წესი:

ა) მომავალი შეღბის მშენებლობისათვის საძირბო და საპროექტო სამუშაოთა სატრულო სიებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო-საღმი დაქვემდებარებული მშენებლობებისათვის 15 და მეტი შელი-ონი მანეთის სახარჭთალრიცხვო ღირებულებით და საქართველოს სსრ დანარჩენი სამინისტროებისა და უწყებებისაღმი დაქვემდებარებული მშენებლობებისათვის—5 და მეტი მილიონი მანეთის სახარჭთალრიცხვო ღირებულებით;

ბ) მონავალი წლების მშენებლობისათვის საძირბო და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს დამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო მეცნიერების საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილეები 15 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთალრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის, და მინისტრები და უწყებათ ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები — 5 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთალრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

გ) მომავალი წლების შენებლობისათვის საძირებო და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და შრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი აღგილობრივი დაქვემდებარების 5 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთალრიცხვო ლირებულების შენებლობები-სათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი 3. პრატიშვილი.

**46** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის რესპუბლიკური სახლის (ტექნიკის სახლის) და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გენს:

1. მოწყობის 1959 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო-სთან არსებულ სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტთან:

ა) სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის საქართველოს რესპუბლიკური სახლი („ტექნიკის სახლი“);

ბ) სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი, კომიტეტთან არსებული საგამომცემლო-ბეჭდვითი ბიუროს ბაზაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფუო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ 1959 წლის ბიუჯეტით და სახალხო სამეურნეო გეგმით ზემოაღნიშნული „ტექნიკის სახლის“ და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის შტატები და მათ შესანახად საჭირო ასიგნობანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახებიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი 3. პაათაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წლის 10 დეკემბერი № 801

**47** საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზის მარაგის აღწარმოებისა და დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზის მარაგის შენარჩუნებისა და აღწარმოების ონისძებათა არადამაკმაყოფილებლად განხორციელებისა და თევზშეერის არასწორი რეგულირების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა თევზის მარაგი თაფარავნის, ჯანდარის ტბებში, ხრამისა და მთელ რიგ სხვა წყალსაცავებში. ზაჰესის, რიონპესის, ჩითახევესის, ორთაჭალჭესისა და სამგორჰესის კაშხალებსა და სა-

ქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სარწყავი სისტემების კაშხალებზე ოცნებისა და უწონლობა უარყოფით გავლენას ახდენს თევზის შენარჩუნებაზე.

შაორის წყალსაცავში თევზის მოშენების ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ფსკერის გაწმენდის ღონისძიებათა განუხორციელებლობის გამო, მეტად გაძნელებულია თევზის ჭერის პირობები. არ წარმოებს მდინარე ალაზნის გამოყენება სარეწაო მიზნებით და საყმად არ ხდება მდინარე მტკვრის და ხრამის ათვისება.

რესპუბლიკის შინაგან წყალსატევებში თევზის მარაგის შემცირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს თევზდაცვის, მილიციის ორგანოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომშების სუსტი ბრძოლა ბრაჟონიერობისა და თევზჭერის წესების დამტლვეთა წინააღმდეგ, საკამარისი არ არის პროპაგანდა თევზის მარაგის დაცვისა და აღწარმოების საკითხებზე. ყურადღება არ ექცევა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ამიერკავკასიის რკინიგზის, საქართველოს სარეწაო საბჭოს და სხვათა საპროწველო საწარმოებში საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის საქმეს, ამასთან წყალსატევებში უშევებენ გაბინძურებულ და გაუსწოვებოვნებულ ჩამდინარე წყლებს, რაც აგრეთვე იწვევს თევზის მარაგის შემცირებას.

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები მთელ რიგ შემთხვევებში აჭიანურებენ თევზჭერის წესების დარღვევის, აგრეთვე ბრაჟონიერობის შესახებ აღძრული საქმეების განხილვას; ხშირად ამ საქმეებზე გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილების განხორციელების და რესპუბლიკის შინაგან წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და აღწარმოების მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:
  - ა) გააფართოოს და ააშენოს 1959—1963 წლების განმავლობაში წყალსაცავებთან მეთევზეობის 8 ქარხანა მოზარდი რიპუსის, კალმახის, სიგის, თაფარავნის კობრისა და ორაგულის გამოსაშვებად № 1 დანართით გათვალისწინებულ ვადებში;
  - ბ) დაამთავროს პალიასტომის ტბის გამტკნარების სამშენებლო სამუშაოები 1960 წელს;

გ) შეისწავლოს შაორის წყალსაცავის ფსკერის გაწმენდის საკითხი და თავისი წინადაღებები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 ივნისისათვის;

დ) ტაბისყურის ტბის მოსაშენებელი ფართობის 30—50 ჰექტარზე გადიდების მიზნით, 1959 წლის დამლევამდე ჩაატაროს ამ ტბის შეერთება „კულმუხის“ ჩაკეტილ წყალსატევთან;

ე) აკრძალოს ახალ პიდროტექნიკურ ნაგებობათა შეენებლობა-თევზსამეურნეო წყალსატევებზე ისე, თუ არ იქნა განხორციელებული თევზდაცვის სამმართველოსთან შეთანხმებული ღონისძიებანი ამ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და იღწარმოებისათვის;

ვ) სერიოზული ყურადღება მიაკციოს შავი ზღვის ორაგულის აღწარმოების საქმეს და მიაღწიოს იმას, რომ გაშვებულ იქნას 1960 წლისათვის ამ თევზის სულ ცოტა 350 ათასი ცალი და 1965 წელს—ერთი მილიონი ცალი მოზარდი;

ზ) შინაგან წყალსატევებში საკელევ სამუშაოთა თემატიკური გეგმები დაამტკიცოს მხოლოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკადემიასთან შეთანხმებით;

თ) გამოძენოს ქალაქ თბილისის მახლობლად მდებარე რაიონში მიწის შესაფერისი ნაკვეთი იმ მიზნით, რომ მოწყოს 1959—1960 წლებში საცდელ-საჩვენებელი ტბორი სარკისებრი კობრის გამოსაზრდელად;

ი) მოაწყოს 1959 წლის იანვრიდან ტრესტ საქთევზმრეწვთან, თბილისის თევზის ქარხნის და ბათუმის სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგურის შინაგანი წყალსატევების შემსწავლელი განყოფილების ბაზაზე. სამეცნებელ-სამელიორაციო სადგური შინაგანი წყალსატევების შესასწავლად. სატბორე მეურნეობათა მოსაწყობად და თევზის მოსაპოვებლად, აგრეთვე სამეცნებელ-სამელიორაციო ლონისძიებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის როგორც საქართველოს ტევზის გადაცემულ წყალსატევებში, ისე ახლად ათვისებულ წყალსატევებშიც.

2. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს:

ა) 1959 წლის 1 მარტისათვის მისცეს ტრესტ საქთევზმრეწვს პალიასტომის ტბის გამტკნარების სამუშაო ნახაზები;

ბ) მოაწყოს 1959—1960 წლების განმავლობაში თბილისის წყალ-საცვზე ელექტროგადამლობები. რათა თავიდან იქნას აცილებული თევზის გასვლა წყალსატევიდან სარწყავ სისტემაში. მოაწყოს 1959

წელს ელექტროგადამლობი (საქართველოებრივ პროექტის პროექტით) ქვემო მაგისტრალური არხის შესასვლელთან.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) ოევზის მარაგის დაცვისა და ოევზებრის ჩატარებული შინაგანი წყალსატევების მიერ ჩატარებული შინაგანი წყალსატევების მისპორტიზაციის საფუძველზე, მიამაგროს 1959—1960 წლებში სასოფლო-სამეურნეო არტელებს თევზსამეურნეო ათვისებისათვის ის წყალსატევები, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვთ ტრესტ საქონევზმრეწვისათვის;

ბ) ურჩიოს კოლმეურნეობებს მოაწყონ 1959—1960 წლებში გამარტივებული სქემით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად გამოუსადეგარ მიგდებულ მიწებზე თევზის 10 მოსაშენებელი ტბორი საერთო ფართობით არა ნაკლებ 50 ჰექტარისა, № 2 დანართის თანახმად. მოსაშენებელ მასალად გამოიყენოს ტრესტ საქონევზმრეწვის ჯაპანის თევზმომშენებელი მეურნეობის ერთწლიანი სარკისებრი კობრი და შავწყალას საკალმახე მეურნეობის ერთწლიანი ნაირფერადი კალმახი;

გ) მოამზადოს მეთევზეობის ტექნიკოსთა კადრები კოლმეურნეობათა აგრონომების რიცხვიდან, ძირითადად სატბორე თევზმომშენების საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად, შეისწავლოს საკითხი მიწების გამოყოფისა იმისათვის, რომ მოეწყოს ჯაპანის თევზმომშენებელი მეურნეობის ბაზაზე სატბორე მეურნეობა სარკისებრი კობრის გამოსაზრდელად და თავისი წინადაღებანი ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. წინადაღება მიეცეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, არიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს სარეწაო საბჭოს განახორციელოს 1959—1960 წლების განმავლობაში იმ ჩამდინარე წყლების საწმენდ და გამაუსნებოვნებელ ნაგებობათა მშენებლობა. რომლებსაც წყალსატევებში უშვებენ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ განაგრძონ და 1959—1960 წლების განმავლობაში დაამთავრონ ჩესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თევზის მოსაშენებელი ტბორების მოსაწყობად გამოსადეგი ფართობების გამოვლინება; აღნიშნული

ფართობების გამოვლინების მიხედვით წარუდგინონ ცნობები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ ტბორების შენებლობის შემდგომ განსახორციელებლად.

7. საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისცენ მითითება პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის აღგილობრივ ორგანოებს საქმეთა დროზე განხილვის და იმ პირთა მკაცრად დასჭირდება, რომლებიც მხილებული იქნებიან ბრაკონიერობასა და თევზერის წესების ბოროტი განხირახვით დარღვევაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უზრუნველყოს „საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და ბრაკონიერობის ლიკვიდაციის ზომების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 160 დადგენილების იმ ნაწილის შესრულება, რომელიც შეეხება იმ პირთა მიცემას პასუხისმგებაში, რომლებიც ეწევიან თევზის უკანონო გაყიდვას.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ აუკრძალოს სავაჭრო ორგანიზაციებს თევზის წერის იმ იარაღებისა და ბადემასალების გაყიდვა, რომელთა გამოყენება აკრძალულია საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზერის წესებით, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს და არ დაუშვას საზოგადოებრივი კვების ქსელის მიერ თევზის და თევზპროდუქტების შესყიდვა კერძო პირებისაგან, ამასთან მისცეს დაწაშვენი სასტიკ პასუხისმგებაში.

10. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია კომპლექსური გამოყენება (თევზის მეურნეობა, მორწყვა და ა. შ.) ჩალიანის იმ ნაკვეთის დაჭაობიანებული ფართობისა, რომელიც ყვარლის სატყეო მეურნეობის ტყის მასივებში მდებარეობს.

11. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს თევზის მარაგის დაცვისა და აღწარმოების საქმის ფართო პროპაგანდა პრესაში, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით. აგრეთვე თევზსამეურნეო ლიტერატურის გამოცემის გზით.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ ამ სამმართველოსათვის დაწესებული აღმი-

წისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საერთო რიცხვისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე შეიტანოს თევზის მარავის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს შტატში თევზმომშენებლობის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

13. დამტკიცდეს. საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საქონელი დაცვის ინსპექციის სამსახურის წესდება, შედგენილი შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცდული დებულებისა „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარავისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ“.

მოწონებულ იქნას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარედგინოს დასამტკიცებლად შევი ზღვის საქართველოს სსრ სანაპიროზე თევზჭერის წესების პროექტი, შემუშავებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ!

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უსასტიკესად დაიცვას საქართველოს სსრ შინაგან წყალსატევებში თევზჭერის წესები და საქონელი დაცვის ინსპექციის სამსახურის წესდება რომლებიც დამტკიცდულია ამ დადგენილებით, და მის საფუძველზე გაძლიეროს თევზის მარავისა დაცვა, გააუმჯობესოს თევზჭერის რეგულირება და კონტროლი გაუწიოს თევზის მარავის აღწარმოების ღონისძიებათა განხორციელებას, თევზ-სამეურნეო მელიორაციას და თევზ-სამეურნეო წყალსატევების სამრეწველო საწარმოთა ჩამდინარე წყლებით გაბინძურების ლიკვიდაციას.

#### 15. ძალადაქარგულად ჩაითვალოს:

ა) მუნ. 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 160 დადგენილებისა „საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარავისა დაცვის გაძლიერებისა და ბრაჟონიერობის ლიკვიდაციის ზომების შესახებ“;

ბ) დებულება საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესებისა და ვადების შესახებ, დამტკიცდული საქართველოს სსრ მანისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 160 დადგენილებით.

1) პროექტი არ ყროვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ თევზის მარაგის შენარჩუნებისა და აღწარმოების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა, თევზის მარაგისა, რომელიც სახალხო კუთვნილებას წარმოადგენს. ბრაქონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა და წყალსატევების გაბინძურების ლიკვიდაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აღგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების ყოველდღიურ დახმარებასა და კონტროლზე, რის გამო მოითხოვს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისაგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომისაგან და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომისაგან განუხრელად განახორციელონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი გ. პაპაშვილი.

ქ. თბილისი 1958 წლის 12 დეკემბერი № 817

# 3 0 8 8 5

თევზისამომშენებლო-ხემულოორაციონ სამუშაოების, რომელიც  
1959—1965 წლებში სრულდება საქართველოს სსრ ძარღიანი  
თევზისამეურნეო წარალხატევებში

წარალხატევების რბილებები და შემასრულებელი სამუშაოთა სახეობანი	სამუშაოებით სიმძლავე		საექივი- ლო მომ- ცვების გამოცემა	სამუშა- ოთა სამუშ- აოების მოცემა	
	მარტინი მარტინი	თევზის სამუშაო მაუვალებელი			
	1	2	3	4	5
1. მუკუნიანის ქაჩინის მშენებლობა თავისუფა- ნის ტბის ტბების მოსამართებლად	13,7 მილიონი კაცი ლიფტერი	0,001 ათასი კუნტ.	1960 - 1965 წწ.	1962 წ.	1
2. მუკუნიანის ქაჩინის გადამოწენა თავი- სუფანის ტბის ტბების მოსამართებლად	40 მილიონი კაცი ასტრი- ლიფტერი	2 ათასი 0.	1961 წ.	1965 წ.	2
3. თევზის ქაჩინის გადამოწენა კაცმახის და სივრცის მოსამართებლად ტაბისკერის ტბის	1,25 მილიონი კაცი კალმის- ლიფტერი	0,125 ათასი 0.			
4. საერთა ინჟინერული მუკუნიანის ქაჩი- ნის გადამოწენა	2 მილიონი კაცი კალმახის ლიფტერი	0,2 ათასი 0.			
	5 მილიონი კაცი სივრცის ლიფტერი	0,1 ათასი 0.	1961 წ.	1965 წ.	
	1 მილიონი კაცი ირაველის ლიფ- ტერი	200 0.	1961 წ.	1965 წ.	
	0,28 მილიონი კაცი კალმახის ლიფტ- ერი	0,0024 ათასი 0.	1962 წ.	1965 წ.	3

წყალსატყების რბილები და შემატებულება სამეცნიო სახეობები	სამინისტრო სიმიღაზები		საექს- ლეიტო- ციონი გადაცემა	სამინი- სტრო სიმ- იღაზების ავალება		
	ნატესადური მასშტაბზებით	ფეხზის სამართლი ასეზონი	2	3	4	5
5. შეოფენის ქაბინის შემცირებულის აღმო- სის წილისავეგნ ნამდვილი კალაბის, რა- მების და სამეცნიო მართლის ასეზონ- ისთვის	7,84 მილ. ტონ. რომელის ლი- ნიები	0,98 ათასი 0-				
6. შეოფენის პენქტის (ინკრებულობების) შენაბლობა მდინარე მშენებელის ინდუს- ტიუნის შენაბლობა	0,240 მილ. ტონ. ლინიები	48,0 0.	1960 წ.	1965 წ.		
7. შეოფენის პენქტის (ინკრებულობების) რეამიტრექციის შდინარე კოდონება ინდუ- სტიუნის შენაბლობა	0,300 მილ. ტონ. ლინიები	60,0 0.	1960 წ.	1965 წ.		
შეოფენის პენქტის (ინკრებულობების) შენაბლობა სალამის ტბის რომელის მისა- შენებლად	7,84 მილ. ტონ. ლინიები	98,0 0.	1960 წ.	1962 წ.		
შეოფენის პენქტის (ინკრებულობების) შენაბლობა მდინარე არაგვი კალაბის მო- სამშენებლად	0,120 მილ. ტონ. ლინიები	24,0 0.	1960 წ.	1962 წ.		

საქართველოს სსრ მინისტრობის საბჭოს

საქმეთა მინისტრები 3. აბაშიშვილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1958 წლის 12 დეკემბრის № 817

დაგენილების დანართი № 2

## ს ი პ

### საკოლმეურნეო მიწებისა, სადაც ეწყობა მოსაშენებელი ტბები 1959—1960 წლების განმავლობაში

რაიონის ადგილმდებარების დასახელება	მომენტის ფართი	რომელი წყალსაცავის ბაზაზე	ვის ეკუთხის ტერიტორია
1. გურჯანის რაიონი, სოფ. ელერსციხე, ადგილმდებარეობა გორანა	3,0	გრუნტის წყლების	კოლმეურნეობა „ლენინის ანდერს“
2. საგარეგოს რაიონი, სოფ. სართიჭალა	2,0	ჩუმათიხევის	XIX პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობას
3. სიღნაღის რაიონი, სოფ. ვაქერი	6,0	აბაათურის	სტალინის სახ. კოლმეურნეობას
4. ლაგოდეხის რაიონის სოფ. ერთისკარი	5,0	მდინარე სვინარკის	კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს“
5. მცხეთის რაიონი სოფ. ძალისი	0,75	სარწყავი არხის	ლენინის სახ. კოლმეურნეობას
6. მცხეთის რაიონი, სოფ. კიხისძირი	3,0	მდინარე ქინის	ორგონიკიძის სახ. კოლმეურნეობას
7. ხაშურის რაიონი, სოფ. კოდისწყარო	8,0	მდინარე ხევისწყლის	სოფ. კოდისწყაროს კოლმეურნეობას
8. ხაშურის რაიონი, სოფ. გომი	7,0	სარწყავი არხის	სოფ. გომის კოლმეურნეობას
9. ქარელის რაიონი, სოფ. ახალსოფელი	4,0	სარწყავი არხის	სოფ. ახალსოფელის კოლმეურნეობას
10. ქარელის რაიონი, სოფ. სანებელი	5,0	სარწყავი არხის	სოფ. სანებელის კოლმეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი 3. პარტაზვილი.

დამტკიცებულია საქართველოს  
 სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1958 წლის 12 დეკემბრის  
 № 817 დადგენილებით

### წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო  
 მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის  
 მთავარი სამმართველოს თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის  
 რეგულირების სამმართველოს ინსპექციების სამსახურისა

#### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის  
 მარაგის დაცვის წესების შესრულებისადმი მეთვალყურეობას ახორ-  
 ციელებს თევზდაცვის ინსპექტორთა შემადგენლობის მეშვეობით  
 თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამმართვე-  
 ლო, რომელიც ეჭვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-  
 ჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადი-  
 რეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

2. თევზდაცვის სამმართველოს ეკისრება: თევზსარეწაო უბნების  
 გამოყოფა და თევზისა და წყლის სხვა ცხოველთა მოპოვების ნებარ-  
 თვების გაცემა; კონტროლი თევზჭერის წესების და სსრ კავშირის  
 მინისტრთა საბჭოს მიერ თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის  
 რეგულირების შესახებ დამტკიცებული დებულების დაცვისადმი; კონტროლი იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი. რომლებიც  
 უზრუნველყოფენ თევზის მარაგის აღწარმოებას და მელიორაციას  
 თევზსამეურნეო წყალსატევებში.

3. ინსპექტორთა შემადგენლობაში შედიან უფროსი ინსპექტორი,  
 რაიონული, უბნის და უმცროსი ინსპექტორები.

ინსპექტორთა შემადგენლობას მიეკუთვნებიან ავტოთვე თევზ-  
 დაცვის გემების კაპიტნები და მოტორისტები.

4. თევზდაცვის ინსპექციების დასახმარებლად მშრომელთა დეპუ-  
 ტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, კოლმეურნეობე-  
 ბი, თევზის მრეწველობის საწარმოები, ნებაყოფლობითი სპორტული  
 საზოგადოებანი, ავტოთვე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი  
 ორგანიზაციები და დაწესებულებები ნებაყოფლობითი წესით გამო-  
 ყოფენ აქტიურ მუშაკთა რიცხვიდან საზოგადოებრივ ინსპექტორებს,

რომლებიც განახორციელებენ თევზდაცვის მუშაობას დამტკიცებული სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

5. საქონელი მუშაობის სამართველოს უფროსს, თევზდაცვის უფროს ინსპექტორს და რაიონულ ინსპექტორებს დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი.

დანარჩენ მუშაკებს მიიღებს და დაითხოვს საქონელი მუშაობის სამართველოს უფროსი.

6. თევზდაცვითი სამუშაოს უშუალოდ შესრულების მიზნით, თევზდაცვის რაიონულ, უბნის და უმცროს ინსპექტორებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ სამსახურებრივი მოვზაურობის დროს იმ საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა ორგანიზაციათა თანამგზავრი გეგმებითა და სხვა სახის ტრანსპორტით, რომლებიც თევზისა და წყლის სხვა ცხოველთა მოპოვებას ეწევიან.

7. საქონელი მუშაობის სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებსა და ინსპექტორთა შემადგენლობას მიეცემა ფორმის ტანსაცმელი, რომელსაც არა აქვს განსხვავების ნიშნები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 აგვისტოს № 1068 დადგენილების შესაბამისად.

ამავე მუშაკებს უფლება ეძლევათ ატარონ იარაღი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

პუნქტებში მორიგეობის დროს და თავიანთი უბნების შემოვლისას ინსპექტორები მოვალენი არიან იქონიონ იარაღი და ატარონ ფორმის ტანსაცმელი.

8. თევზდაცვის მუშაკებს და მათი ოჯახის წევრებს ეკრძალებათ თევზის სარეწაო ჰერა.

9. რაიონულ ინსპექციებს აქვთ შტამპი და ბეჭედი. რომლებზედაც აღნიშნულია სარჩევების რაიონი და მისი ქვემდებარება.

## II. ინსპექტორთა შემადგენლობის უფლება-მოვალეობანი

10. ინსპექტორი (უფროსი, რაიონული, უბნის, უმცროსი) მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს თევზჭერის უბნების სწორად გამოყენებას თევზსამეურნეო ორგანიზაციების მიერ და საქონელი მუშაობის სამართველოსთან დადებული ხელშეკრულებების, აგრეთვე იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ მოქმედი დებულებით და თევზჭერის წესებით, არ დაუშვას ისეთი

სამუშაოების შესრულება, რომლებიც აფუჭებენ თევზისამეურნეო წყალსატევებს ან ცალკეულ თევზისაჭერ უბნებს, თვალყური ადევნოს თევზჭერის დებულებისა და წესების დაცვას ცალკეული პირების მიერ, რომლებიც თევზჭერას ეწევიან, აწარმოოს ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ გამოყენებულ იქნას თევზის დასაჭერად ფეთქებაზი და სხვა მომწამელელი ნივთიერებანი, აგრეთვე ჭერის სხვა უკანონო საშუალებანი და იარაღები, დაიცვას ჭერისაგან თევზჭერისათვის აკრძალული ადგილები. არ დაუშვეის თევზის ჭერა აკრძალულ დროს და მცირე ზომის თევზისა და მოზარდის ჭერა;

ბ) თვალყური ადევნოს იმას, რომ თევზმომპოვებელმა ორგანიზაციებმა გაწმინდონ მათთვის გადაცემული თევზისაჭერი სასალიკოები, საცურები და თევზის ჭერის სხვა ადგილები;

გ) თვალყური ადევნოს თევზის ქვირითობისა და მოზარდის თავმოყრის ადგილების მდგრადულობას და მიიღოს ზომები სარეწაო თევზის მოზარდის გადასარჩენად;

დ) თვალყური ადევნოს იმას, რომ თევზისამეურნეო ორგანიზაციებმა შესარულონ სამეთევზო-საკლიმატიზაციო სამუშაოთა და მელიორაციის გეგმები თევზისამეურნეო წყალსატევებში;

ე) დაიცვას თევზისამეურნეო წყალსატევები დანაგვიანებისა და გაბინძურებისაგან;

ვ) თვალყური ადევნოს იმას, რომ თევზისამეურნეო ორგანიზაციებმა აწარმოონ შინაგანი წყალსატევების სარეწებში თევზის ყოველდღიური ჭერის აღრიცხვა და დახასიათება ჯიშობრივად არსებული ფორმების მიხედვით და რომ ეს ცნობები დროზე წარედგინოს რაიონული ინსპექტორების მეშვეობით საქონელი დაცვის სამსართველოს.

#### 11. თევზდაცვის ყველა ინსპექტორი მოვალეა:

ა) იცოდეს დებულება სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ და საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესები;

ბ) იცოდეს თავისი რაიონის ან უბნის საზღვრები, მასში შემავალი წყალსატევების შემადგენლობა და რეციმი, თვითული წყალსატევის ყველა სათევზაო უბანი, სარეწაო თევზის სახეობანი, თევზის წასელის გზები და დრო, თევზის დაგროვებისა და ქვირითობის აღგილები, ქვირითობისა და უკან დაბრუნების დრო, იცნობდეს შეთვეზების ხასიათს და ჭერისათვის გამოსაყენებელ იარაღებს, თევზისამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან თევზის ჭერას უბანზე (თევზჭერის კოლმეურნეობები, თევზმომპოვებელი, თევზდამმუშა-

ვებელი საწარმოები და სხვა თევზდამამზადებლები) და აწარმოოს მოქმედი სათევზაო უბნების აღრიცხვა.

12. თევზდაცვის ინსპექტორს უფლება აქვს მოთხოვოს თანამდებობის პირებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოლეგიურნეობებს და ცალკეულ მოქალაქეებს ახსნა-განმარტებანი მათ მიერ თევზერის წესების დარღვევის გამო. აგრეთვე დააკავოს თევზერის წესების დამრღვევი პირები. რათა შეადგინოს ოქმი (აქტი) წესების დარღვევის შესახებ და ჩამოართვის მათ უკანონოდ მოპოვებული თევზი. კერის იარაღები და მცურავი საშუალებანი, ამასთან ჩამორთმეული თევზი გადაეცემა თევზის მრეწველობის საწარმოებს ან საგაჭრო ორგანიზაციებს დაწესებულ მისალებ ფასებში. ჩამორთმეული კერის იარაღები და მცურავი საშუალებანი ინახება თევზდაცვის რაიონულ ინსპექციაში მანამ. ვიდრე სასამართლო არ გამოიტანს გადაწყვეტილებას ან საქონევზდაცვის სამმართველო არ გადაწყვეტს პასუხისმგებლობის საკითხს.

უკეთუ შეუძლებელია წესების დამრღვევის პირადობის დადგენა დარღვევის ადგილზე, თევზდაცვის ინსპექტორი მიიყვანს დამრღვევს მისი პირადობის გამოსახუვევად უახლოეს სასოფლო საბჭოში ან მილიციის უახლოეს განყოფილებაში.

13. თევზდაცვის ინსპექტორების, აგრეთვე საზოგადოებრივი ინსპექტორების დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თევზერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის და თევზერის ჩეგულირების შესახებ, საქონევზდაცვის სამმართველოსთან შეიქმნება სპეციალური ფონდი შემდეგი ანარიცხებისაგან: იმ სახსრების 50 პროცენტი, რომლებიც მიღებულია სასამართლოს დადგენილებით კონფიკუბული კერის იარაღების, მცურავ საშუალებათა ჩეალიზაციისა და სასამართლოს წესით გადახდევინებული გარიმებისაგან და იმ სახსრების 30 პროცენტი, რომლებიც მიღებულია ჩამორთმეული თევზის ჩეალიზაციისა და აღმინისტრაციული წესით გადახდევინებული გარიმებისაგან.

შემოსული თანხების დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუგეტში.

14. ის პირები, რომლებმაც თევზერის წესების დარღვევა აღმოაჩინეს, დაჯილდოვდებიან საპრემიო ფონდის ხარჯზე როგორც აღ-

მინისტრაციული, ისე სასამართლოს წესით დადებული და გადახდე-  
ვინებული, ჯარიმის თანხების 30 პროცენტის ოდენობით.

საპრემიო ფონდის დანარჩენი ნაწილი დაიხსარჩება. საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძა-  
ლებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან  
შეთანხმებით, თევზდაცვის ინსპექტორების და სხვა პირთა დასა-  
ჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თევზჭერის წესების  
დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე თევზდაცვის სამეც-  
ნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოსაცემად და თევზის მარა-  
გის დაცვისა და აღწარმოების სხვა ღონისძიებებისათვის.

15. თევზჭერის წესების დარღვევის საქმეთა გამო ოქმების (აქტე-  
ბის) შედგენას და მოკვლევის წარმოებას თევზდაცვის ინსპექტორე-  
ბი გააფორმებენ დადგენილი ნიმუშის მიხედვით.

### III. ინსპექციის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი

#### თანამდებობათა მიხედვით

#### უფროსი ინსპექტორი

16. მე-10 და მე-11 მუხლებში აღნიშნულ საერთო მოვალეობათა  
გარდა, თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამ-  
მართველოს უფროსი ინსპექტორის ეკისრება შემდეგი მოვალეობანი:

ა) კონტროლის გაწევა თევზდაცვის რაიონული ინსპექციების  
მუშაობისადმი მოკვლევის წარმოების, ჯარიმების დადების, საგამომ-  
ძიებლო-სასამართლო ორგანოებისათვის საქმეების გაზიავნის, სასა-  
მართლოს დადგენილებით კონფისკებული ქონების აღრიცხვის, შე-  
ნახვისა და დროული რეალიზაციის ხაზით, ხოლო საჭირო შემთხვევ-  
ებში — მოკვლევის უშუალოდ წარმოება თევზჭერის წესების დარ-  
ღვევის საქმეთა გამო;

ბ) კონტროლის გაწევა თევზდაცვის ინსპექციის მუშაკთა სწორად  
განაწილებისადმი, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა  
მუშაობისა და მდგომარეობისადმი;

გ) თევზდაცვის რაიონულ ინსპექციებში არსებული ცეცხლსა-  
როლი იარაღის აღრიცხვა და თვალყურის დევნება იარაღის სწორად  
გამოყენებისა და შენახვისათვის.

17. უფროსი ინსპექტორი სამმართველოს უფროსის მოადგილის  
უფლებებით დადებს თევზჭერის წესების დამრღვევთ ჯარიმას ისეთ  
საქმეებზე, რომლებიც სასამართლოში არ უნდა იქნან გადაცემული.

500 მანეთამდე ცალკეულ პირებს და 5000 მანეთამდე — ცალკეულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

### რაიონული ინსპექტორი

18. რაიონული ინსპექტორი უშუალოდ ემორჩილება სამმართველოს უფროსს და პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებულ საინსპექტორო რაიონში მთელი თევზდაცვითი მუშაობისათვის.

რაიონული ინსპექტორის მოვალეობაში შედის:

ა) თევზდაცვის ორგანიზაცია, თვითოული უბნის ინსპექტორის მუშაობისადმი უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი, კერძოდ საინსპექტორო უბნების პერიოდული შემოვლა, თევზჭერისათვის აკრძალული ადგილების გამოკვლევა, ინსპექტორთა ინსტრუქტაჟი თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, ჭერის იარაღების, მცურავ საშუალებათა და უკანონოდ მოპოვებული თევზის დაკავება, მოკელევის წარმოება;

ბ) თევზჭერის საზოგადოებრივი ზედამხედველობის მოწყობა და მისი მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა;

გ) სატრანსპორტო საშუალებათა განაწილება საინსპექტორო უბნებს შორის და მათი წესიერად შენახვისა და მუშაობისათვის თვალყურის დევნება;

დ) სათევზაო უბნების გამოყოფა ორგანიზაციებისათვის თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოსთვის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

ე) დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად თევზის ჭერის უფლების ბილეთების მიცემა თევზდამზადებლებისათვის;

ვ) მისდამი დაქვემდებარებული ინსპექტორების მიერ თევზჭერის წესების დარღვევის შესახებ შედგენილი ოქმების (აქტების) დამტკიცება, საქმეების გადაცემა საგამომძიებლო-სასამართლო ორგანიზებისათვის ხუთი დღის ვადაში და ამ საქმეებზე წარმომადგენლობა;

ზ) საინსპექტორო რაიონის ფარგლებში თევზდაცვისა და თევზჭერის რეგულირების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და მისი წარდგენა საქონელი სამმართველოსათვის:

თ) კონტროლი ცეცხლსასროლი იარაღის წესიერი მდგომარეობისადმი, აგრეთვე თევზდაცვის ინსპექტორების მიერ მისი გამოყენებისადმი;

ი) ჩამორთმეული იარაღების და ჭერის სხვა საშუალებათა აღრიცხვა და სასამართლოს განაჩენამდე შენახვა, აგრეთვე სასამართლოს წესით კონფისკებული ქონების დროული რეალიზაცია;

ე) წარდგენა საქონეზდაცვის სამმართველოსათვის ყოველთვიური, ექვსთვიური და წლიური წერილობითი ანგარიშებისა ინსპექტორთა შემადგენლობის მუშაობის შესახებ და ცნობებისა საინცექტორო რაიონში თევზის მარავის დაცვის მდგომარეობის და ოევზერის რეგულირების შესახებ.

19. რაიონულ ინსპექტორს უფლება აქვს დაადოს თევზერის წესების დამტკიცევთ ისეთ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს არ უნდა გადაეცეს, ჯარიმა 400 მანეთამდე ცალკეულ პირებს და 3000 მანეთამდე — ცალკეულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

### უ ბ ნ ი ს ი ნ ს პ ე ჭ ტ ო რ ე ბ ი

20. უბნის ინსპექტორი პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებულ უბანში თევზდაცვის მთელი მუშაობისათვის. მის მოვალეობაში შედის:

ა) თევზდაცვის მთელი სამუშაოს შესრულება როგორც უშუალოდ, ისე უმცროსი ინსპექტორების მეშვეობით, შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, მათი მუშაობის შემოწმება თავისი საინსპექტორო უბნის სისტემატური შემოვლის გზით, კერის იმ იარაღების პირადად შემოწმება, რომლებსაც თევზსამეურნეო ორგანიზაციები იყენებენ, მათ მიერ თევზერის წესების და ხელშეკრულებათა დაცვის შემოწმება, ზომების მიღება ადგილზე უკანონოდ კერის დაუყოვნებლივ შესაწყვეტად;

ბ) მოკვლევის წარმოება თევზერის წესების დარღვევის შესახებ, ოქმებისა და აქტების შედგენა; უმცროსი ინსპექტორების მიერ შედგენილი ოქმებისა და აქტების შემოწმება და მათი დაუყოვნებლივ გადაცემა დასამტკიცებლად რაიონული ინსპექტორისათვის;

გ) უბნის ფარგლებში თევზდაცვისა და თევზერის რეგულირების გაგმის შემუშავება და მისი წარდგენა რაიონული ინსპექტორისათვის;

დ) ყოველთვიური მოხსენებების წარდგენა რაიონული ინსპექტორისათვის თავისი საინსპექტორო უბნის მდგომარეობისა და ინსპექტორთა მუშაობის შესახებ;

ე) მოხსენების წარდგენა რაიონული ინსპექტორისათვის უბნის ინსპექტორისადმი დაქვემდებარებულ თევზდაცვის მუშავთა მხრივ ამ წესების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ, დამნაშავეებზე დისკიპლინური სასჯელის დასადებად ან სასამართლო პასუხისვებაში მისაცემად.

### უ მ ც რ ო ს ი ი ნ ს პ ე ქ ტ ო რ ე ბ ი

21. უმცროსი ინსპექტორი, წყალსატევის უშუალო დაცვის გარდა, მონაწილეობას იღებს ჯგუფურ შემოვლაში და ემორჩილება უბნის ინსპექტორს. მის მოვალეობაში შედის:

ა) მისდამი რწმუნებული წყალსატევების მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება სისტემატური შემოვლის გზით გრაფიკის თანახმად, აგრეთვე თევზის ქვირითობის ადგილების დაცვა აკრძალულ პერიოდისა და აკრძალულ ადგილებში;

ბ) ყოველგვარი ზომების მიღება თევზჭერის წესების დარღვევის შეწყვეტისა და დამრღვევთა გამოვლინებისათვის, ოქმების შეღენა და მათი დაუყოვნებლივ წარდგენა უბნის ინსპექტორისათვის.

22. თევზდაცვის ახალ უბნებს დააწესებს და არსებულ უბნებს გააუქმებს საქთევზდაცვის სამმართველოს უფროსი.

### IV. იარაღის გამოყენება

23. თევზდაცვის ყველა ინსპექტორს, აგრეთვე იმ ფლოტის მუშავებს, რომელიც მომსახურებას უწევს თევზდაცვის მუშაობას, უფლება აქვს ატაროს რევოლუციერი ან პისტოლეტი. იარაღი გაიცემა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესების დაცვით.

24. ინსპექტორებისა და ფლოტის მუშავებისათვის მიცემული ცეცხლსასროლი იარაღი მიემაგრება თვითეულ მათგანს, ამასთან დაეკისრება პასუხისმგებლობა მისი სათანადო წესრიგზე შენახვისათვის.

25. იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თავდაცვის ინსპექტორებზე მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ყოველგვარი შეიიარაღებული თავდასხმის მოსაგერივებლად. აგრეთვე მათი კანონიერი მოქმედებისათვის შეიიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ჩასახშობად;

ბ) ისეთი თავდასხმის ან წინააღმდეგობის მოსაგერივებლად, რომელსაც თუმცა შეიიარაღებული ხასიათი არა აქვს, მაგრამ აშკარა საფრთხეს უქმნის ინსპექტორთა შემადგენლობის პირთა სიცოცხლეს.

აღნიშნულ შემთხვევებში იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნას მას შემდეგ, რაც ინსპექტორი სამჩერ მისცემს გაფრთხილებას შეძახილით და წინააშარ გაისვრის ჰაერში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავდასხმის პირობების მიხედვით თევზდაცვის ინსპექტორებს არა რჩებათ დრო გაფრთხილებისათვის.



26. ინსპექტორებისათვის მინდობილი იარაღის დაკარგვისა და განზრახ გაფუჭებისათვის, ავრეთვე კერძო პირებზე მისი გადაცემისათვის თუნდაც დროებით, და იარაღის არასწორად გამოყენებისათვის დამნაშავე პირებს დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

იარაღის დაუდევრად შენახვისათვის თევზდაცვის მუშაკებს ეკის-  
რებათ პასუხისმგებლობა დისციპლინური წესით.

27. ყოველი ცალკე შემთხვევა, როდესაც იარაღის გამოყენებას მოყვა ადამიანის დაჭრა ან სიკვდილი, დაუყოვნებლივ ეცნობება სა- გამომძიებლო ორგანოებსა და საქონელოების სამსართველოს.

V. ገዢዎችናፕሮ፻ አነስተኛፕሮ፻ ሰአጥነናኝኔን ሰሽያልግዥናኝ

28. ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალებანი იმყოფება რაიონული ინსპექტორების განკარგულებაში და მიმაგრებულია თევზჭერის ცალკეულ უბნებზე.

29. გემის ეკიპაჟი მონაწილეობას იღებს თევზჭერის იარაღების, მცურავ საშუალებათა და მოპოვებული თევზის დაკავებაში, სამე- თვალყურეო გემზე მათ დატვირთვაში, აგრეთვე იმაში, რომ დაიშა- ლოს, გაშრეს და ჩაბარდეს ჭერის იარაღები თევზდაცვის რაიონუ- ლი ინსპექციის საწყობს, ხოლო თევზი — თევზის საწარმოებს.

30. თევზდაცვის ინსპექციის გეგმებზე წარმოებს გემის უურნალი, რომელშიაც ჩაიწერება გემის მუშაობა.

#### VI. დისციპლინური სასჯელი და წახალისების ზომები

31. სამსახურებრივი დისკიპლინის ისეთი დარღვევისათვის, რომელსაც ბოროტი განხრახვის ხასიათი აქვს და რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ან შეეძლო მიყენებინა სახელმწიფოსათვის ანდა შეიცავს ისეთი მოქმედების ნიშნებს, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, თვეზდაცვის ინსპექტორები მიცემული იქნებიან სასამართლო პასუხისმგებაში.

ამ დარღვევათაგან ყველაზე უმძიმესია: თევზჭერის წესების დაძრღვევის დაფარვა და დაკავებულ დამრღვევზე ოქმის შეღვენისათვის თავის არიდება. იარაღის დაკარგვა და გაფუჭება, მისი გადაცემა სხვა პირებისათვის და იარაღის გამოყენების წესების დარღვევა, თევზის სარეწაო ჭერა როგორც ინსპექციის მუშავთა, ისე მათი ოჯახის წერთა მიერ.

დისციპლინის ისეთი დარღვევისათვის, რომელიც არ შეიცავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევას, თევზ-

დაცვის მუშაյებს დაედებათ სასჯელი: შენიშვნა, საყველური, სასტიკი საყველური, დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება, სამსახურილან დათხოვნა.

32. სანიმუშო მუშაობისათვის, თევზჭერის წესების დამრღვევა წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლებულობისა და თავგანწირვის გამოჩენისათვის თევზდაცვის ინსპექციის მუშაქთა მიმართ, დაფილდოების გარდა, გამოყენებული იქნება წახალისების შემდეგი ზომები: ა) მაღლობა სიტყვიერი ან ბრძანებაში გამოცხადებით და ბ) მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს 1958 წლის

12 დეკემბრის № 817 დადგენილებით

## საქართველოს სსრ შინაცენტრაციანი თეატრის ნ ე ს ე ბ ი

წესების მოქმედების რაიონი

მუხ. 1. ამ წესების მოქმედება ვრცელდება ყველა შინაგან თეატრისამეურნეო წყალსატევებზე საქართველოს სსრ ფარგლებში.

თეატრისამეურნეო წყალსატევებად ითვლება ყველა წყალსატევი, რომლებიც გამოყენებულია ან შეიძლება გამოყენებულ იქნან თეატრისა და წყლის სხვა ცხოველების მოპოვებისათვის ანდა რომლებმაც შეიძლება მნიშვნელობა იქონიონ სარეწი თეატრის მარაგის აღდგენისათვის.

### ზოგადი დებულებანი

მუხ. 2. თეატრის მარაგის დაცვა, თევზჭერის რეგულირება თვითეული წყალსატევის თევზის მარაგის მდგრამარების მიხედვით ჭერის ზასაშვები კონტინგენტის ყოველწლიური განსაზღვრით, თეატრის უბნების გამოყოფა, თევზის ჭერის ნებართვის გაცემა. კონტროლი თევზჭერის წესების შესრულებისადმი, კონტროლი თეატრალური წყალსატევებში თევზის მარაგის აღდგენისა და მელიორაციის ღონისძიებათა განხორციელებისადმი ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს თევზის მარაგის დაცვის და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს საქევზდაცვას.

მეთვალყურეობა თევზჭერის წესების შესრულებისადმი საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობებისა და კოლეჯურნეობების იმ წყალსატევებში, სადაც თევზის მრეწველობაზე მიკუთვნებულ თევზსამეურნეო წყალსატევებიდან შედიან ძვირფასი ჯიშის თევზები ქვირითობისათვის, ხორციელდება უშუალოდ საქთევზდაცეის სამმართველოს მიერ, ხოლო საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დანარჩენ წყალსატევებს მეთვალყურეობას უწევენ აღნიშნული მეურნეობები.

მუხ. 3. თევზმომპოვებელი ორგანიზაციები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ თევზის კერის უფლება, მოვალენი არიან:

ა) ჩატარონ სამეცნიერო და მელიორაციული სამუშაოები უაგანახორციელონ სარეწ თევზთა მოზარდის გადარჩენის ღონისძიებანი საქთევზდაცეის სამმართველოსთან შეთანხმებული გეგმით ღამისი კონტროლით;

ბ) გაწმინდონ მათთვის გადაცემული თევზჭერის საბალურები, საცურები და თევზის კერის სხვა აღგილები და აწარმოონ ბრძოლა მათი დანაგვიანების წინააღმდეგ;

გ) აძლიონ მეცნიერობის ქარხნებს მწარმოებელი თევზები;

დ) აწარმოონ სარეწაოებში დაჭერილი თევზის აღრიცხვა დაწესებული ფორმით და წარუდგინონ საქთევზდაცეის სამმართველოს ყოველთვიური ნაკრები მონაცემები მოპოვებული თევზის შესახებ მისი ჯიშების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 10 რიცხვისა.

მუხ. 4. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს საქთევზდაცეის სამმართველოსთან შეთანხმებით შეუძლიათ აწარმოონ თევზისა და წყლის ცნოველების მოპოვება საკვლევი მიზნით ყველა თევზსამეურნეო წყალსატევში ყოველ დროს და კერის ყოველგვარი იარაღით.

მუხ. 5. თევზსამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც დაშევებული არიან თევზის მოსაპოვებლად, უფლება ეძლევათ გამოიყენონ სანაპირო ზოლი 20 მეტრის სიგანით თევზჭერის საჭიროებისათვის (ბადეების აჭოწევა, კერის იარაღების გაშრობა და რემონტი და სხვა სამუშაოების წარმოება).

მუხ. 6. სასპორტო და მოხალისური თევზჭერა პირადი მოხმარებისათვის (გაყიდვის უფლების აკრძალვით) ნებადართულია უფასოდ ყველა მშრომელისათვის ბადური გიდელებით, რგოლებით დიამეტრით ორ მეტრამდე და ხელით ასაწევი ბადით (ობობურებით) მისი გვერდის ზომით არა უმეტეს 2 მეტრისა, ყველგან და ყოველ დროს გარდა აკრძალული ადგილებისა და აკრძალული დროისა.

თევზის ჰერა რგოლებით და ობობურებით ნებადართულია ნავების გამოუყენებლად და წყალში კოფორტის ჩაუდგენალად.

სასროლი ბადით ოვეზის კერა ნებადართულია ყველაგა მხოლოდ ნაპირიდან 1 სექტემბრიდან 30 აპრილამდე, გარდა თევზკერისათვის აკრძალული იდგილებისა და მდინარეებისა: ენგური, კოდორი, შავ-წყალა, ბზიფი და ფსოუ.

ზევით აღნიშნულ ჭერის იარაღთა ფორმების ზომა არ უნდა იყოს 20 მმ-ზე ნაკლები.

თევზის ჭერა ანკუსებით (გარდა ასემულებისა) ნებადართულია მთელი წლის განმავლობაში ყველგან, გარდა ტბებისა და წყალსაცავებისა, რომლებიც მიმაგრებულია თევზმომპოვებელ ორგანიზაციებზე. ჭერა სპინინგებით ნებადართულია მთელ წელიწადს ყველგან, გარდა ტბების, წყალსაცავების. აგრეთვე იმ მდინარეებისა, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან.

აქრძალულია თევზის კერა ყოველგვარი იარაღით იმ ტბებსა და წყალსაცავებში. ჩომლებშიც ტარდება თევზის აღწარმოებისა და აკლიმატიზაციის ღონისძიებანი.

მუხ. 7. აკრძალულია საქონევზებაციის სამმართველოს ნებადაურთველად თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზისა და წყლის სხვა ცხოველების აკლიმატიზაცია.

თევზჭერისათვის აკრძალული ადგილება და ვადები

მუხ. 8. აქტისალულია ყოველგვარი თევზჭერა:

ა) თვეზესამეურნეო, ჰიდროტექნიკური და სამელიორაციო სისტემის მაგისტრალურ და მიმყვან არხებში;

ბ) ჯებირებთან, კაშხალებთან, ხიდებთან, საცურავებთან და გემო-  
მისადგომებთან არა უახლოეს 500 მეტრისა მათგან. აგრეთვე ხი-  
დების ბურჯებსა და დაბებს შორის;

გ) მდინარე მტკვარში და ყველა მის შენაკადში აზერბაიჯანის სურ საზღვრიდან დინების აღმართულებით თურქეთის საზღვრამდე — 1 მაისიდან 31 აგვისტომდე;

დ) მდ. ხრამში შენაკადებით — 15 მაისიდან 31 აგვისტომდე;

ე) მდ. ალაზანში შენაკადებით და მდ. იორში — 1 მაისიდან 31 აგვისტომდე;

3) ჯანრარის ტბაში — 1 მაისიდან 31 აგვისტომდე;

ზ) თაფარავნის, სალამოსა და ტაბისყურის ტბებში—15 ოქომბრითან 31 დეკემბრამდე;

თ) პალიასტომის ტბაში და მის შენაკად მდინარეებში — 1 მაისიდან 31 ოქტომბერისამდე;

ი) ხრამისა და თბილისის წყალსაცავებში — 15 მაისიდან 31 აგვისტომდე.

მუხ. 9. აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) თევზის კერა მდ. შავწყალში, გარდა თევზის მოშენების მიზნით წარმოებული კერისა;

ბ) შავი ზღვის ორაგულის კერა მდ. ენგურში და ყველა მდინარეში, რომელიც ერთვან შავ ზღვას აფხაზეთის ასრ ფარგლებში, გარდა თევზის მოშენების მიზნით წარმოებული კერისა;

გ) ზუოთის ჯიშის თევზის კერა ჩანგლებით მდ. რიონში შენაკადებით და ყველა სხვა მდინარეში;

დ) თევზის კერა მდ. მტკვარში თურქეთის საზღვრიდან სოფ. ხერთვისამდე.

ე) ყოველგვარი თევზკერა ჭანდარის ტბასა და თბილისის წყალსაცავში განსაკუთრებულ ნებართვამდე.

მუხ. 10. აკრძალულია:

ა) კალმახის კერა ყველა მდინარეში — 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე;

ბ) კობრის კერა თაფარავნის ტბაში — 15 მაისიდან 31 აგვისტომდე.

გ) თარფებით თევზის კერა მდინარეებში — 1 მაისიდან 31 აგვისტომდე.

შენიშვნა: თევზკერის აკრძალვის ვადები, რაც ნაჩვენებია ამ წესებში, ვრცელდება აკრძალვის თვის პირველ და უკანასკნელ რიცხვებზე ჩათვლით.

### თევზკერის აკრძალული იარაღები და ხერხები

მუხ. 11. აკრძალულია:

ა) თევზის კერისათვის ფეთქებადი და საწამლავი ნივთიერების, სასროლი იარაღებისა და კვილთის გამოყენება;

ბ) წყალსატევებში თევზის საჭერად ხელოვნური ორმოების (ოჩხების), ფაცრებისა და ოსაროების მოწყობა;

გ) თევზკერის მიზნით მდინარეებში ზევაების, დაგუბების და გადალობების მოწყობა, დაკავება ჩასაღველი და მცურავი საჭერი იარაღებით, მათ შორის მოსასმელი ბაღეებით და თარფებით მდინა-

რისა და მისი ტოტების 2/3-ზე მეტი სიგანით, აგრეთვე წყლის ჰორიზონტის დაბლა დაწევა გადალობების საშუალებით:

დ) თევზჭერის უპნებზე საქოვეზდაცვის სამართველოსაგან განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებიც შეცვლიან ამ უპნების ბუნებრივ პირობებს;

ე) ახალი სახის იარაღებისა და კერის ხერხების გამოყენება სამრეწველო მიზნებით საქოვეზდაცვის სამართველოს ნებადაურთველად.

### თევზჭერის იარაღთა ფორმების ზომები

შუბ. 12. აკრძალულია ტბებისა და მდინარეების წყალსატევებში ჭერისათვის შემდეგ ზომებზე ნაკლებ ფორმებიანი იარაღების გამოყენება:

ა) თაფარავნის, საღამოსა და ტაბისყურის ტბებში რიპუსის, სიგის, ხრამულისა და კალმახის საჭერად დიდი ბადეებისა, რომლებსაც აქვთ ფორმები: უბის — 34 მმ, მიმყვანის — 36 მმ, ფრთების — 38 მმ;

ბ) ჯანდარის, თაფარავნის ტბებსა და ხრამის წყალსაცავში კობრის საჭერად ბადეების ფორმებით: უბის — 50 მმ, მიმყვანის — 60 მმ, ფრთების — 76 მმ;

გ) თაფარავნის ტბაში რიპუსისა და კალმახის საჭერად სახლართი ბადეების ფორმები — 36 მმ;

დ) ტაბისყურის ტბაში სიგისა და კალმახის საჭერად სახლართ ბადეებში: — 44 მმ;

ე) პალიასტომის ტბაში კეფალის საჭერ დიდბადის უბეში — 16 მმ, მიმყვანში — 18 მმ, ფრთებში — 22 მმ;

ვ) პალიასტომის ტბაში და მასში შემავალ მდინარეებში ფხოვანი თევზის დასაჭერად ჩასადგმელ ბადეებში, ვენტერებში და სხვა კაკანათური ტიპის იარაღებში ჭვაბის — 30 მმ, ფრთების — 40 მმ;

ზ) თბილისის წყალსაცავში ხრამულის საჭერად დიდბადის უბეში — 28 მმ, მიმყვანში — 32 მმ, ფრთებში — 36 მმ;

თ) მდინარეებში ხრამულის დასაჭერად ყველა სახის ბადეები ფორმებით 20 მმ და თართები ხრახნილებს შეუ 20 მმ-იანი საჭვრეტით.

ჭერის იარაღებში ფორმების ზომა დაწესებულია მშრალი კონსერვირებული სახით.

სველი ჭერის იარაღების ფორმების გაზომვის დროს დასაშვებია ზომის შემცირება 5%-ით.

ფორების ზომა განისაზღვრება 11 კვანძს შუა მანძილის გაზომვე-  
ვით ჩალიჩის გასწვრივ და მიღებული რიცხვის 10-ზე გაყოფით.

ყველა სახის ბადებისა და სათრეველებზე თვითეული მიმყვანის  
სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს სათანადო ფრთის სიგრძის ერთ  
მესამედს.

### დასაჭრი თევზის უმცირესი ზღვრული ზომები

მუხ. 13. აკრძალულია ჭერა, მიღება, დამუშავება და შენახვა  
თევზისა, თუ მისი ზომა ნედლი სახით ნაკლებია ქვემომოყვანილ  
სარეწ ზომაზე (სანტიმეტრობით):

კეფალი	14
კაპარჭინა	20
კობრი	24
კობრი ხრამის წყალსაცავისა	28
რიპუსი	20
ჭაფალა	12
სიგი	24
ხრამული მდინარისა	15
ხრამული ტბისა	20
წვერა	25
შამაია	13
კალმახი ტბისა	28
კალმახი მდინარისა	15
ფარგა	25

სარეწი ზომა განისაზღვრება თვალის შუაგულიდან ანალური  
ფარფლის წინა ან უკანა სხივური ფრთის (წითელი ფრთის) ბოლომ-  
დე ისე, რომ მივიღოთ უმეტესი სიგრძე.

დამუშავებული თევზის (დამარილებული, გამშრალი და ა. შ.)  
სარეწი ზომის განსაზღვრის დროს დასაშვებია დაწესებული ზომის  
შემცირება 4 %-ით.

მუხ. 14. მე-13 მუხლში ნაჩენებ ზომაზე უფრო წვრილი ფხოვა-  
ნი თევზის ჭერა, როგორც კანონიერ იარაღებში მოხვედრილი თან-  
ჭერილისა, დასაშვებია არა უმეტეს შემდეგი პროცენტებისა ერთი  
მობადვით დაჭრილი ან გადასარჩევი თევზის საერთო რაოდენობი-  
დან: ბადური ჭერის დროს არა უმეტეს 8 %-ისა თვლით, ხოლო ჩა-  
სადგმელი, მოსაზიდი, სასროლი ბადებით და ყველა სახის სათრევე-  
ლებით — არა უმეტეს 3 %-ისა თვლით.

მცირეზომიანი თევზის დასაშეგი რაოდენობის ზევით თანკერის შემთხვევაში თევზმპოვებელი ორგანიზაციები და თვით მეთევზები მოვალენი არიან შეწყვიტონ ჭერა იმ ადგილას, ან ჭერის იარაღები შეცვალონ უფრო მსხვილფორებიანი იარაღებით.

ნანადირევ თევზს, რომელიც აღმატება დაშვებული რაოდენობის მცირეზომიან თევზებს, იმისდამიუხედავად, თუ სად იქნება აღმოჩენილი (ჭერის, მიღების ადგილზე, თუ თევზის ქარხანაში), ჩამოართმევენ საქთევზდაცვის სამმართველოს მუშაკები და ჩააბარებენ თევზის ქარხანას, ხოლო თუ აღმოჩენის ადგილზე ქარხანა არ არის— მოვაჭრე ორგანიზაციებს მიღების დაწესებულ ვადებში.

### პასუხისმგებლობა თევზჭერის წესების დარღვევისათვის

მუხ. 15. თევზჭერის ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირები, ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები მიეცემიან პასუხისმგებაში შესაბამისად სსრკ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარავის დაცვის და თევზჭერის რეგულირების შესახებ.

მუხ. 16. თევზდაცვის ინსპექტორებს უფლება აქვთ:

ა) თევზჭერის წესების დამრღვევი პირები დააკავონ ოქმის (აქტის) შესაღენად;

ბ) ჩამოართვან ამ პირებს ჭერის იარაღები, მცურავი საშუალება-ნი, აგრეთვე უკანონოდ დაკერილი თევზი;

გ) დამნაშავეებს დაადონ ჯარიმა ან საქმე გადასცენ საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებს.

მუხ. 17. თევზჭერის წესების მოთხოვნილებათა დარღვევის შემთხვევაში ფეთქებად ან საწამლავ ნივთიერებათა ან ჭერის სხვა მავნებელ საშუალებათა გამოუყენებლად, დამნაშავეებს დაედებათ ჯარიმა.

თევზჭერის წესების დარღვევისათვის ჯარიმას დაადებენ:

თევზდაცვის რაონის ინსპექტორები 400 მანეთამდე ცალკე პირებს და 3000 მანეთამდე ცალკე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

საქთევზდაცვის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე 500 მანეთამდე ცალკე პირებს და 5000 მანეთამდე ცალკე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ჯარიმის დადება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ათი დღის ვადაში ზემდგომ უფროსთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხ. 18. თევზეჭერის წესების ბოროტად დამრღვევნი, რომლებიც თევზის ჭერას აწარმოებენ ფეთქებადი და საწამლავი ნივთიერებით. აგრეთვე თევზის მარავის მომსპობ სხვა საშუალებებით, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისვებაში.

მუხ. 19. უკანონოდ მოპოვებულ თევზს ჩამოართმეუს თევზდაცვის ინსპექცია, როგორც ჭერის ადგილზე, ისე მიმღებ და გადამშუშავებელ პუნქტებში და ჩაბარებს მოქმედ მისალებ ფასებში თევზის დამშუშავებელ საწარმოებს ან სავაჭრო ორგანიზაციებს.

ჩამორთმეული თევზსაჭერი იარალები და მცურავი საშუალებარი ინახება თევზდაცვის ინსპექციაში: როდესაც დამრღვევნი მიცემული არიან პასუხისვებაში ადმინისტრაციული წესით — საქონეზდაცვის სამმართველოს მიერ პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე, ხოლო როდესაც დამრღვევნი მიცემული არიან პასუხისვებაში სასამართლოს წესით. — სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ თევზეჭერის წესების დამრღვევი პირი არ იქნებიან აღმოჩენილი, საქონეზდაცვის სამმართველო მოახდენს მათ მიერ მოპოვებული თევზის, დატოვებული საჭერი იარალებისა და მცურავი საშუალებების, როგორც უპატრონოსი, რეალიზაციას.

## 48 ჩილის ბალებში მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს. რომ უკანასკნელ წლებში ბალის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რის შედეგად საგრძნობლად შემცირდა დაავადებათა და ზოგიერთი მავნებლის უარყოფითი მოქმედება.

მიუხედავად ამისა, ხეხილის ბალებში ჯერ კიდევ მასობრივად არის გავრცელებული ისეთი საშიში მავნებლები და დაავადებანი როგორიცაა ნაყოფჭამიები, მინაფრთიანა, კალიფორნიის ფარიანა, ქერქიჭამიები, ქეცი. კიბო და სხვა.

ისინი ზიანს იყენებენ ხეხილის ნარგავებს, ამცირებენ მოსავალს და აუარესებენ ხილის ხარისხს. მიმღინარე წელს ხეხილის ბალებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნაყოფჭამიამ. მაგა-

ლითად, გორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვაშლის ნაყოფებისაგან დაზიანებული ნაყოფი 70 პროცენტამდე აღწევს. ახალციხის რაიონში — 80 პროცენტამდე. გარეუბნის რაიონში — 24 პროცენტამდე და აფხაზეთის ასერ — 36 პროცენტამდე. ამის შედეგად დამზადებულ ხილში დიდი რაოდენობითაა არასტანდარტული ნაყოფი.

რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბალებში უხარისხოდ და არათანმიმდევრულად ტარება მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ვანსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმილომ ხეხილის ბალებში: რიგ შემთხვევაში ისინი მავნებლებისა და დაავადებათა გავრცელების კერებად გადაიქცნენ (კასპის, გორის, სტალინირის, ახალციხის და სხვა რაიონები). მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის არა საკმარისად არის გამოყენებული პრეცედული ტექნიკა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასერ. აჭარის ასერ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასყომს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. შშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს: ათი დღის ვადაში შეამოწმონ ხეხილის ყველა ნარგაობათა მდგომარეობა, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის დროულად და ხარისხიად გატარება.

2. დამტკიცდეს ხეხილის ბალებში სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარმოდგენილი თანდართული საეალდებულო ღონისძიებანი.

დაევალოთ შშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ფარ-

თოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეურნეობათა ხელმძღვანელ მუშაქებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და მოსახლეობას, რომ ხეხილის ბალებში მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარება წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანიზაციების და მათი დროულად და ხარისხიანად შესრულება სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა, წარმოება-დაწესებულების მეურნეობისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის.

3. დაევალოთ აფხაზეთის და ეჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშენებლობისა და მუნიციპალიტეტების სამხრეთ ისეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს და რაიალმასკომებს:

ა) რჩევა მისცენ მეხილეობის მსხვილ კოლმეურნეობებს: სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად ჩატარების მიზნით ჩამოაყალიბონ მცენარეთა დაცვის სპეციალიზებული ბრძანები, რომელთა საშუალებით აწარმოონ ბრძოლა იგრძელება კოლმეურნეობის ტერიტორიაზე საკარმიდამ ბალებში მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ, დახარჯულ შხამმასალისა და შრომის ღირებულების ანაზღაურებით. ამ საქმისათვის აიყვანონ მცენარეთა დაცვის სპეციალისტები;

ბ) მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადასინჯონ და დააზუსტონ ხეხილის ბალების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაზე არსებული გამომუშავების ნორმები და შრომის ანაზღაურება და შეეტანონ მათში საჭირო ცვლილებანი.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) ჩამოაყალიბონ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან მცენარეთა დაცვის სპეციალიზებული მუდმივი რაზმები, ხოლო მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში შექმნან მცენარეთა დაცვის სპეციალიზებული ბრიგადები, რომელთაც დაკისრონ ხეხილის ბალებში მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად ჩატარება;

ბ) 1959 წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ აღნიშნული რაზმებისა და ბრიგადების მომარაგება საჭირო აპარატურით. სათაღარიგო ნაწილებით, შხამქიმიკატებით, ტრანსპორტითა და ინვენტარით;

გ) მოაწყონ მცენარეთა დაცვის ბრიგადების მოსამზადებლად 5-დღიანი სემინარები და კოლეჯურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომებისათვის 10-დღიანი ზონალური გადასამზადებელი კურსები;

დ) დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ფართოდ აწარმოს ვაშლის ნაყოფჭარისას და მინაფრთიანას წინააღმდეგ ბრძოლის საქართველო ცდები და უზრუნველყოს უახლოეს დროში ამ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო რადიკალურ ღონისძიებათა შემუშავება.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ფართოდ აწარმოს ვაშლის ნაყოფჭარისას და მინაფრთიანას წინააღმდეგ ბრძოლის საქართველო ცდები და უზრუნველყოს უახლოეს დროში ამ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო რადიკალურ ღონისძიებათა შემუშავება.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას:

ა) ერთი თვის ვადაში მოამზადონ და ჩააბარონ გამოსაცემაში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ პლაკატები, ინსტრუქციები; ბროშურები ხეხილის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ უზრუნველყოს ამ პლაკატების, ინსტრუქციებისა და ბროშურების გამოცემა 1959 წლის პირველ კვარტალში;

ბ) მოაწყონ ნაყოფჭამიას გამოჩენა-განვითარებაზე დროული სიგნალზარი მის წინააღმდეგ ბრძოლის ვადაშე ჩატარებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ხეხილის ბაღებთან ახლო მდებარე ტყეებში გავრცელებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემატური და დროული გატარება.

8. დაევალოთ რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ დააკომპლექტონ სოფლის მეურნეობის ინსპექციები შტატით გათვალისწინებულ მცენარეთა დაცვის აგრონომებით. ამასთან აკრძალონ სოფლის მეურნეობის ინსპექციებსა და სტა-ში მცენარეთა დაცვის სპეციალისტის თანამდებობაზე სხვა დარგის აგრონომის დანიშვნა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტის განთავისუფლება ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სასოფ-  
 ლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების და დაავადებათა წინააღმ-  
 დეგ ბრძოლისათვის გამოსაყენებელი ზურგის აპარატები ჯერ კიდევ  
 დაბალი ხარისხისაა და ადრე გამოდიან ხმარებილან, ამის გამო სა-  
 მართლიან უკმაყოფილებას გამოსთვამენ კოლმეურნეობები და  
 საბჭოთა მეურნეობები.

დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბ-  
 ჭოს აღმასკომს შიომოს საჭირო ზომები და უზრუნველყოს სასოფ-  
 ლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ აღნიშნული აპა-  
 რატების მკეთრად გააუმჯობესება.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს  
 უზრუნველყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტ-  
 როს განაცხადით რაიონების მომარაგება მაღალხარისხოვანი კირით  
 სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა  
 წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინის-  
 ტროს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა საქართველოს სახელმწიფო  
 კარანტინის ინსპექციის, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამე-  
 ურნეო ორგანოებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს. კოლმე-  
 ურნეობების თავმჯდომარეებსა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვა-  
 ნელებს უზრუნველყონ ხეხილის ბალებსა და სანერგე მეურნეობებში  
 მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დადგენილი  
 საკონტროლო წესების ზუსტად დაცვა.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სთვლის ხეხილის ბალებ-  
 ში არსებულ არადამაკაყოფილებელ მდგომარეობას ყოვლად მოუთ-  
 მენაღდ და მოთხოვოს ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამე-  
 ურნეო ორგანოებისაგან მკეთრად გააუმჯობესონ სასოფლო-სამე-  
 ურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ  
 ბრძოლა და არ დაუშვან ხეხილის ნარგავების დაზიანება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე მ. პუხავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი მ. პაათაზვილი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1958 წლის 19 დეკემბრის № 830  
დადგენილებით

სავალდებულო ღონისძიებაზე ხეხილის ბალებში სასოფლო-  
სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ  
ბრძოლის შესახებ

ხეხილის ნარგავებს აზიანებენ: მავნებლებიდან — ჩრჩილი, აბრე-  
შუმქესოვები, ფოთოლმხევეები (განსაკუთრებით ნაყოფჭამიები),  
მზომელები, ხვატარები, მერქნისკამიები (განსაკუთრებით ვაშლის  
მინაზორთიანა), რინქიტები, ცხვირგრძელები, ლრაჟები. მხერხავები,  
ფარიანები, (კალიფორნიის ისტორი და სხვა), ცრუფარიანები (აკა-  
ციის, ვაშლის დიდი, კომსტოკის და სხვა), ბუგრები, ფსილები;  
ალუბლის ბუზი, ტკიპები და სხვა; დაავადებებიდან — ქეცი, შავი  
კიბო, ყანვა, წერნავი (კლასტეროსპორიზი), ატმის ფოთლის სიხუ-  
ჭუჭე, კურკოვანთა ნააღრევი ხმობა (ლეუკოსტომა), პომოზი, ნაცა-  
რი და სხვა.

### გვიან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ჩასატარებელი ბრძოლის ღონისძიებაზი

ვეგეტაციის დაწყებამდე საჭიროა ჩატარდეს:

1. გამხმარი, აგრეთვე კიბოთი ძლიერ დაავადებული (გახმობის  
პირზე მისული) ხეების ამოძირვი და დაწვა.
2. გასხვლა-გამოწმენდა, ნასხლავის უმაღვე გამოტანა და დაწვა.
3. შტამბისა და დედატოტების ამსკდარი ქერქისა და ხავსმლიერე-  
ბისაგან გაფხვევა და ანაფხვების დაწვა; მექანიკური დაზიანების დანით  
შესწორება და კრილობაზე ბითუმის ან სალებავის წასმა.
4. ჩამოცვენილი ფოთლების, გამხმარი და დამპალი ნაყოფებს  
შეგროვება და დაწვა, ან მიწაში ღრმად ჩამარხვა.
5. მავნებლების მოზამთრე ბუდეებისა და კვერცხების შეგროვება  
და დაწვა.
6. ნიადაგის მზრალად მოხვნა.
7. მორწყვა ხეხილის ჯამებში დატბორებით.
8. ხავს-მლიერებით მოდებული ხეების რკინის სულფატის (ძალის)  
5% ხსნარით ან ბალის კარბოლინეუმის 8% ემულსიით შესხურება.

9. ნაცონბის ზეთის ემულსიის შესხურება: ვაშლის დიდი ცრუფა-  
 რიანას, ავაციის ცრუფარიანას, კომსტოკის ცრუფარიანას და ბურტყ-  
 ლა ბურგის გავრცელების კერებში — 8% (ცურკვანებზე 6% -იანი)  
 ემულსიით, ხოლო კალიფორნიისა და ისლერი ფარიანას გავრცელე-  
 ბის კერებში — 4% ემულსიით დამუშავება. კალიფორნიისა და ის-  
 ფერი ფარიანას ძლიერი გავრცელების კერებში შესხურება ჩატარ-  
 დეს ორჯერ — გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე, დანარჩენ  
 შემთხვევაში — ერთხელ ადრე გაზაფხულზე.

10. ვაშლის მინაფრთიანას გავრცელების ნაკვეთებში ადრე გაზა-  
 ფხულის წამლობისას ნაცონბის ზეთის ემულსიებს უნდა დაემატოს  
 1,5% თითოოსის კონცენტრატი.

11. ადრე გაზაფხულზე ქარსაფარი ზოლების ნაცონბის ზეთის 4%  
 ემულსიით დამუშავება.

12. 10% კირწყალისა და 2% რკინის სულფატის (ძალის) ნაზავის  
 შესხურება ან შელესვა (10% თიხის დამატებით).

13. ჭიგოების გაქერქვა და ქერქის დაწვა ან გოგირდოვანი გაზით  
 ჭიგოების ფუმიგირება.

14. მოსავლის რეალიზაციის შემდეგ ყველა ნარჩენების საწყობი-  
 დან გამოტანა და დაწვა, ხოლო ტარის (კალათები, ყუთები და სხვა),  
 აგრეთვე კიბეებისა და საწყობების ფუმიგირება გოგირდოვანი გაზით.

### გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ჩასატარებელი ბრძოლის ღონისძიებანი

მსხვობიარე ხეხილის ბალებში ვეგეტაციის დაწყებიდან უნდა ჩა-  
 ტარდეს:

1. ნაქარი-ნაყოფის (ძირნაყარი) ყოველ 3 — 5 დღეში ერთხელ,  
 ხოლო მოსავლის ალებამდე სამი კვირით ადრე ყოველდღე შეგროვე-  
 ბა; შეგროვილი ნაყოფი იმავე დღეს გატანილი უნდა იქნას ნაკვეთი-  
 დან (გამოსაყენებლად) ან უვარებისი ნაყოფი ჩაიმარხოს მიწაში ერთ-  
 მეტრის სიღრმეზე.

2. ნიადაგის დამუშავება და მორწყვა, პრილ-მაისში.

3. ბურტყლა ბურგის გავრცელების კერებში აფელინუსის გამო-  
 ყენება მაისის შუა ჩიტვებში.

4. შავი კიბოს ახლად გაჩენილი ლაქების მჭრელი დანით საღ ქსო-  
 ვილამდე გასუფთავება, შაბიამნის 1% ხსნარით ჭრილობის დეზინ-  
 ფიცირება და ბითუმით ან სალებავით დაფარვა ივნისში.

### თესლოვან მსხმოიარე ხეხილზე

1. მწვანე კონცენტრაციის გამოჩენისას 3%-ანი ბორდოული სითხისა და დღტ-ს 10%-ანი კონცენტრატის 2%-ანი ემულსიით კომბინირებული ნაზავის შესხურება (პირველი წამლობა).

2. ხეხილის მასობრივი დაყვავილებისთანავე 1%-ანი ბორდოული სითხის დღტ-ს 10%-იანი კონცენტრატის 2%-იანი ემულსიისა და ეთერსულფონატის 0,3%-იანი სუსპენზიის კომბინირებული ნაზავის შესხურება (მეორე წამლობა).

3. ეაშლის ნაყოფჭურმიის პირველი თაობის 25%-მდე გამოფრენისას იმავე კომბინირებული ნაზავის შესხურება (მესამე წამლობა).

4. მესამე წამლობიდან 15—16 დღის შემდეგ იგივე კომბინირებული ნაზავის შესხურება (მეოთხე წამლობა).

5. მეოთხე წამლობიდან (20 — 25 დღის შემდეგ 1%-ანი ბორდოული სითხის და დღტ-ს დასველებადი (30%) ფევნილის 0,70% სუსპენზიის კომბინირებული ნაზავის შესხურება (მეხუთე წამლობა).

6. მეხუთე წამლობიდან 15 — 16 დღის შემდეგ იმავე კომბინირებული ნაზავის შესხურება (მეექვსე წამლობა).

7. ფსილებისა და ბუგრების გავრცელებისას კვირტის გახსნიდან ყვავილობამდე, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მასობრივი დაყვავილებიდან 10 — 12 დღის შემდეგ თიოფონის 0,1%-ანი ემულსიის შესხურება.

**შენიშვნა:** 1. მაღალმოიან რაიონებში მეხუთე და მეექვსე წამლობა კომბინირებული ნაზავით არ ტარდება.

2. კომბინირებული ნაზავით წამლობა უნდა შეწყდეს მოსავლის ალებამდე ერთი თვით ადრე.

### კურკოვან მსხმოიარე ხეების ბალში:

1. კვირტების დაბერევისას 3%-ანი ბორდოული სითხისა და დღტ-10%-იანი კონცენტრატის 2%-ანი ემულსიის კომბინირებული ნაზავის შესხურება.

2. მასობრივი დაყვავილებისთანავე 1%-ანი ბორდოული სითხის და 0,3%-ანი ანაბაზისულფატის ან 0,2% ნიკოტინსულფატის კომბინირებული ნაზავის შესხურება.

3. მასობრივი დაყვავილებიდან 15—20 დღის შემდეგ 1%-იანი ბორდოული სითხისა და დღტ-ს დასველებადი (30%) ფევნილის 0,7 სუსპენზიის კომბინირებული ნაზავის შესხურება.

4. წინა წამლობიდან 15—16 დღის შემდეგ იგივე კომბინირებული ნაზავის შესხურება, მხოლოდ ქლივის ნარგავზე.

შენიშვნა: დდტ-ს შემცველი კომბინირებული ნაზავით წამლობა უნდა შეწყდეს მოსავლის იღებამდე ერთი თვით ადრე.

### სანერგებსა და არამსხმოიარე ხეხილის ბალებში

1. ადრე გაზაფულზე (ცვირტების დაბერვამდე) ნავთობის ზეთის 4%-იანი ემულსიის შესხურება.

2. გაფოთველისას 1%-იანი ბორდოული სითხის, 0.3%-იანი ანაბაზინსულფატის ან 0.2% ნიკოტინსულფატისა და 0.3%-იანი ეთერ-სულფონატის კომბინირებული ნაზავის შესხურება.

3. წინა წამლობიდან 15—16 დღის შემდეგ იმავე კომბინირებული ნაზავის შესხურება.

4. ნაცრის გამოჩენისთანავე გოვირდის შეფრქვევა.

5. ლრაჭების, მახრას და მავთულა ჭიების გავრცელების კერებში თესვის ან რგვის დაწყებამდე ნიადაგში ჰექსაქლორანის შეტანა (ჰექტარზე 150 კგ 12%-იანი, ხოლო 70 კგ 25%-იანი ფხვნილი).

## 49

### საკოლმეურნეო ბაზრებში გადახდევინებული ერთჯერადი გამოსაღების თანხების წარმართვის შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ 1959 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, საკოლმეურნეო ბაზრებში გადახდევინებული ერთჯერადი გამოსაღების თანხები მოლიანად მოხმარდება საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობას, გაფართოებას, კეთილმოწყობასა და ექსპლუატაციას.

2. ძალადაკარგულად ჩითოვალოს მუხ. 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 სექტემბრის № 1260 დადგენილებისა „საკოლმეურნეო ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღების ოდენობის შემცირების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე მ. პუხავაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი მ. პაპაშვილი.

## 50 ლიტერატურული შრომების საავტორო პონორარის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 თებერვალის № 220 დადგენილებაში „ლიტერატურული შრომების საავტორო პონორარის შესახებ“ რამდენჯერმე იყო შეტანილი ცვლილებები და დამატებები. რაც მეტად ართულებს მის სარგებლობას. ამასთან ერთად, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონტროლის კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებიდან ჩანს, ეს დადგენილება მოითხოვს ნაწილობრივ ცვლილებებს, დაზუსტებებსა და დამატებებს.

ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, აგრეთვე საავტორო პონორარის არსებული განაკვეთების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გენს:

1. დაწესდეს ლიტერატურული შრომების საავტორო პონორარის განაკვეთების სამი კატეგორია:

პირველი კატეგორიის განაკვეთებით ანაზღაურებულ იქნას შესანიშნავი ნაწარმოებები;

მეორე კატეგორიის განაკვეთებით — კარგი ნაწარმოებები, რომლებიც მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ;

მესამე კატეგორიის განაკვეთებით — დამაკმაყოფილებელი ნაწარმოებები, აგრეთვე დამწყები მწერლების ნაწარმოებები.

ამის შესაბამისად, დაწესდეს საავტორო პონორარის განაკვეთები, დანართის თანახმად.

2. ნაწარმოებთა გამოშვება ისეთი ტირაჟით, რაც ამ დადგენილების დანართში აღნიშნულ ნორმებს აღემატება, განხილულ იქნას როგორც განმეორებითი გამოცემა. განმეორებითი გამოცემანი ანაზღაურებულ იქნას შემდეგი ანგარიშით: მეორე და მესამე გამოცემანი (ტირაჟის ზღვრულ ნორმასთან შედარებით გაორკეცებული და გასამკეცებული) — პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 60 პროცენტი; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გამოცემანი — პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 50 პროცენტი; მერვე და შემდგომი გამოცემანი — პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 40 პროცენტი.

ხელახალ გამოცემად ჩაითვალოს მოცემული ნაწარმოების ყოველი ახალი გამოშვება რომელიმე გამომცემლობის მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მიუხედავად მისი გაფორმებისა და გამოშვების დროისა, როგორც ჩვეულებრივი. ისე მასობრივი გამოცემით, აგ-

რეთვე ყოველგარი სახით გამოქვეყნდა, გარდა პერიოდულ პრე-საში გამოქვეყნდისა. სხვადასხვა ენაზე გამომავალი ნაწარმოების გამოცემათ საერთო რიცხვის გამოანგარიშება წარმოებს ცალკე თვითურული ენისათვის.

გამომცემლობანი დადგებენ ავტორებთან ხელშეკრულებებს მათი  
ნაწარმოებების გამოცემის შესახებ ტირაჟთა მხოლოდ ამ დადგენი-  
ლებით დაწესებული ნორმების შესაბამისად და მათთან ანგარიშ-  
სწორების დროს ხელმძღვანელობენ ტირაჟების ამ ნორმებით. ავ-  
ტორებთან სრული ტირაჟებისათვის ანგარიშის გასწორების შემდეგ  
გამომცემლობებს უფლება აქვთ იმ ვადების ფარგლებში, რომლებიც  
კანონით დაწესებულია მოცემული სახეობისა და მოცულობის ნა-  
წარმოებთა გამოსაცემად. გამოუშვან ისინი არა ერთბაშად სრული  
ტირაჟით, არამედ ნაწილ-ნაწილად ისე, რომ არ გადაუხადონ ავტო-  
რებს რამე დამატებითი გასამრჩევლო. ხელშეკრულების მოქმედე-  
ბის ვადის განმავლობაში გამომცემლობები სარგებლობენ განსაკუთ-  
რებული უფლებით გამოსცენ და ხელახლა გამოსცენ ნაწარმოების  
ყოველგვარი ტირაჟით, მათი ავტორებთან შეუთანხმებლად. ხელ-  
შეკრულება დაიდება ხუთი წლის ვადით, რაც ითვლება ხელშეკრუ-  
ლების დადების ან ხელნაწერების მიღების დღიდან, თუ ეს უფრო  
ვვიან მოხდა, ან ხელნაწერების მისაღებად დაწესებული ვადების  
გასვლის დღიდან თუ მიღება მოხდა შეპირობებული ვადის გაშვებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმნის პონთ-რარი განმეორებითი გამოცემის დროს არ იქნას ანაზღაურებული.

### 3. ደዢና ስጂሳዊ, አጠቃ:

ა) ნაშარმოებთა გამოშვება დაწესებულ ნორმასთან შედარებით ნაკლები ტირაჟით არ იწვევს იმ საავტორო პონორაზის შემცირებას. ჩაც განსაზღვრულია ხელშეკრულებით დამტკიცებული განკვეთების თარგმნებში;

ბ) ნაწარმოების გამოქვეყნება პერიოდულ ან ღრმვამშვებითს პრესაში არ ითვლება ცალკეულ გამოცემად და ანაზღაურდება ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკეტორო ჰონორარის განკუთხის მიხედვით, როგორც პირველი გამოცემა;

8) თხზულებათა სრული კრებულები, რომლებიც პირველად გამოდის აეტორის სიცოცხლეში, ანაზღაურდება პირველი გამოცემისათვის დაწესებული განაკვეთებით, ხოლო შემდგომი გამოცემანი,

ისე როგორც ამ ავტორების თხზულებათა არასრული კრებულები,—ამ დადგინდების შე-2 მუხლის შესაბამისად:

დ) თხზულებათა სრული და არასრული კრებულებისათვის, აგრეთვე ცალკეული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოიცემა, მათ მემკვიდრეებს ჰონორარი მიეცემათ იმ განაკვეთების 50 პროცენტის ოდენობით. რომლებიც დაწესებულია შესაბამისად მეორე და შემდგომი გამოცემებისათვის, ხოლ სიკვდილ-შემდეგ პირველად გამოცემული ცალკეული ნაწარმოებებისათვის. მათ შორის თხზულებათა კრებულებში შეტანილი ნაწარმოებებისათვის, გაიცემა პირველი გამოცემისათვის გათვალისწინებული განაკვეთების 50 პროცენტი; ასეთივე წესი გავრცელდეს სპეციალისტივი გამოსალებიდან ავტორთა მემკვიდრეებისათვის ჰონორარის მიცემის დროს;

ე) ნაწარმოების საავტორო გადამუშავების შემთხვევაში, უკეთს ეს გადამუშავება მისი მოცულობის სულ მცირე 25 პროცენტს შეადგენს. საავტორო ჰონორარი გადახდილ იქნას როგორც პირველი გამოცემისათვის. ავტორის მიერ ნაწარმოებში შეტანილი უმნიშვნელო სტილისტური და სხვა ცვლილებები, ახალი დამოუკიდებელი თავები და ნაწილები (რომელთა ანაზღაურება პირველი გამოცემის განაკვეთებით ხდება), აგრეთვე გასწორება. ჩაც ავტორმა რედაქტორთან ერთად მოახდინა, არ უნდა შევიდეს პროცენტულ განგარიშებაში.

შემდგომი გამოცემანი, არსებითად გადამუშავებული ნაწარმოების (25 პროცენტზე მეტი) გამოცემის შემდეგ, აგრეთვე დამატებითი ტირაჟები დაწესებულ ნორმებს ზევით ანაზღაურდება როგორც შესაბამისი ხელახალი გამოცემა ყველა წინათ გამოსული (მათ შორის გადამუშავებამდე გამოსული) გამოცემის გათვალისწინებით;

ვ) ერთი და იმავე ავტორის ნაწარმოებებიდან გადაბეჭდილი ტექსტობრივი მასალებისათვის, რომლებიც შეტანილია კრებულებში, ქრესტომათიებში, სახელმძღვანელოებსა და სხვა გამოცემებში, უკეთუ ისინი მოცულობის მიხედვით არ აღემატებიან ნაწარმოებში ერთი სახელწოდებით 10 ათას სასტამბო ნიშანს პროზისათვის და 40 სტრიქონს ლექსისათვის. აღნიშნული გამოცემების ავტორებს ჰონორარი მიეცემათ როგორც ორიგინალური ნაწარმოებების ავტორებს, იმ შემთხვევაში თუ გადაბეჭდილია ტექსტობრივი მასალები ერთდაიმავე ავტორისაგან აღნიშნულ ნორმებზე ზევით, გამოცემათა ავტორებს მოელი გადაბეჭდილი ტექსტისათვის ჰონორარი მიეცემათ როგორც შემდგენლებს.

4. მასობრივ გამოცემად ჩაითვალოს მკითხველთა ფართო წრისათვის ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები; პოეზია—ტირა-ეთ არანაკლებ 15 ათასი ცალისა, პროზა—არანაკლებ 20 ათასი ცა-ლისა და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი წიგნები—ტირაჟით არანაკლებ 25 ათასი ცალისა.

მასობრივი გამოცემების ანაზღაურება მოხდეს:

ა) თუ მოცემულ მასობრივ გამოცემას წინ უძლოდა პირველი ჩვეულებრივი გამოცემა—მასობრივი გამოცემებისათვის დაწესებული განაკვეთების და ტირაჟების შესაბამისად;

ბ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად მასობრივი ტირაჟით, ასეთი მასობრივი გამოცემა ანაზღაურებულ იქნას ჩვეულებრივი გამოცემის განაკვეთებით;

გ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად რამდენიმე მასობრივი ტირა-ჟით (40 ათასი, 60 ათასი, 80 ათასი და ა. შ.), მოცემული მასობრივი გამოცემის პირველი ტირაჟი (პროზა—20 ათასი ცალი, პოეზია—15 ათასი ცალი, საბავშვო ლიტერატურა—25 ათასი ცალი) ანაზღაუ-რებულ იქნას ჩვეულებრივი გამოცემის განაკვეთებით; მეორე ტი-რაჟი (პროზა მეორე 20 ათასი ცალი, პოეზია 15 ათასი ცალი და სა-ბავშვო ლიტერატურა 25 ათასი ცალი)—მასობრივი გამოცემის განაკვეთებით (განაკვეთის 100 პროცენტი); მესამე ტირაჟი—მასობ-რივი გამოცემის განაკვეთების 60 პროცენტის ანგარიშით; მეოთ-ხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტირაჟები—მასობრივი გამოცემის განაკვეთის 50 პროცენტის, მერვე და შემდგომი ტირაჟები—40 პროცენტის ანგარიშით.

5. დაწესდეს რუსულ ენაზე ნათარგმნი ქართული მხატვრული ლიტერატურის, აგრეთვე სხვა ენებიდან ნათარგმნი და რუსულ ენა-ზე დაწერილი ორიგინალური ნაწარმოებების მასობრივი გამოცე-მებისათვის შემდეგი ტირაჟები: 50 ათასი ცალი (პროზაული ნაწარ-მოებები) და 20 ათასი ცალი (პოეტური ნაწარმოებები).

ამ მასობრივი გამოცემებისათვის საავტორო პონორარის გაცემა მოხდეს:

ა) თუ მასობრივ გამოცემას წინ უძლოდა ჩვეულებრივი გამოცე-მა—მასობრივი გამოცემებისათვის დაწესებული განაკვეთებისა და ტირაჟების შესაბამისად;

ბ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად მასობრივი გამოცემით (პრო-ზა—50 ათასი ცალი და პოეზია—20 ათასი ცალი და მეტი) პროზის პირველი 20 ათასი ცალისა და პოეზიის 15 ათასი ცალისათვის—გა-ნაკვეთის 100 პროცენტი, ხოლო პროზის დანარჩენი 30 ათასი ცა-

ლისა და პოეზიის 5 ათასი ცალისათვის — განაკვეთის 60 პროცენტი. თუ წიგნი გამოდის ორასრული მასობრივი ტირაჟი, მაგრამ ორანგელებ 20 ათასი ცალისა პროზა და 15 ათასი ცალისა პოეზია, საავტორო პონორარის გაანგარიშება არ იცვლება, ე. ი. ანაზღაურება ხდება ამ მუხლის თანახმად;

ვ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად რამდენიმე მასობრივი ტირაჟი (პროზა 100, 150 ათასი ცალი და პოეზია 40 და 60 ათასი ცალი და ა. შ.); პირველი მასობრივი ტირაჟი — ამ დაღვენილების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეორე და მესამე მასობრივი ტირაჟები — განაკვეთის 60 პროცენტის ანგარიშით, მეოთხე და შემდგომი მასობრივი ტირაჟები — განაკვეთის 50 პროცენტის ანგარიშით.

6. დაწესდეს, რომ საავტორო პონორარი გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, უკეთუ მოხდა მათი ხელახლა გამოცემა სპეციალურად უსინათლოებისათვის რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით (ბრაილის შრიფტი) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოცემა გამოშვებულ იქნა 500 ცალზე მეტი ტირაჟით.

საავტორო პონორარი იმ ნაწარმოებებისათვის, რომლებიც დაწერილია სპეციალური შეკვეთით რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით გამოსაცემად. გაიცემა საერთო საფუძვლებზე.

7. დაევალოთ გამოცემულობებს იმ ლიტერატურული ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის დროს, რომლებიც თავდაპირველად გამოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხების ერთერთ ენაზე (გარდა რუსულისა), აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხების ერთერთი ენიდან სხვა ენაზე თარგმნის დროს ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს აძლიონ თარგმანის პირველი გამოცემისათვის — პონორარის იმ განაკვეთის 60 პროცენტი, რაც გათვალისწინებულია ამ დაღვენილებით შესაბამისი გვარეობის ნაწარმოებისათვის; მეორე და მესამე გამოცემებისათვის (ან ზღვრულ ნორმასთან შედარებით გაორკეცებული და გასამკეცებული ტირაჟისათვის) — თარგმანის პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 60 პროცენტი; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გამოცემებისათვის — თარგმანის პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 50 პროცენტის ანგარიშით; მერვე და შემდგომი გამოცემებისათვის — თარგმანის პირველი გამოცემისათვის დაწესებული პონორარის განაკვეთის 40 პროცენტის ანგარიშით.

გამომცემლობებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 15 ივლისის № 528 დადგენა-ლების შესაბამისად, იმ შემოხვევაში, როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები რუსული ენიდან ითარგმნება სსრ კავშირის ხალხთა ენა-ზე, ნათარგმნი ნაწარმოების აეტორს ჰონორარი არ ეძლევა.

8. დასაბეჭიდი დრამატული ნაწარმოებები, აგრეთვე ლიტერატურული კინოსცენარები პროზად ან ლექსად ანზღაურდება იმ განკუთხების შესაბამისად. ჩაც ამ დადგენილებით გათვალისწინებულია მხატვრული ლიტერატურისათვის.

9. აიკრძალოს საავტორო ჰონორარის გაცემა ისეთი მეცნიერული შრომებისა და გამოკვლევებისათვის, რომლებიც მეცნიერმა თანამშრომლებმა შეასრულეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა გვამებით და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ან უმაღლესი სასწავლებლების სამსახურებრივი დავალების წესით.

10. დაევალოთ გამომცემლობების დოკუმენტორებსა და მთავარ რედაქტორებს, აგრეთვე ლიტერატურულ-სამხატვრო და სხვა უურნალების მთავარ რედაქტორებს მტკიცედ დაიცვან ნაწარმოებთა დიფერენცირებული ანაზღაურების პრინციპი. მათ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების ზუსტი შესაბამისობით.

11. წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, კულტურის მუშაკთა პროფესიონალის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად. შეიმუშაოს ხელნაწერების დამუშავებისა და გაფორმების სამუშაოთა გამომუშავების ღითვერენცირებული ნორმები და შეფასებანი, ამ დადგენილებით დაწესებული ანაზღაურების საშუალო ნორმების საფუძველზე, და შემოიღოს საქართველოს სსრ ყველა გამომცემლობაში 1959 წლის 1 ივნისიდან.

12. ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 ოქტომბრის № 220, 1953 წლის 10 ოქტომბრის № 1349, 1953 წლის 18 დეკემბრის № 1673, 1955 წლის 20 აგვისტოს № 444 დადგენილებანი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 დეკემბრის № 1716 დადგენილების მე-5 მუხლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმეგომარის მოადგილე მ. პუხავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი 3. პაპაშვილი.

ქ. თბილისი 1958 წლის 27 დეკემბერი № 843

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1958 წლის 27 დეკემბრის № 843  
 დადგენილების დანართი

## პონრარის განაკვეთის

ტიტანი (ათას ცა- ლობით)	პონრარის ზღურული განაკვეთები (მანეთობით) თითო საავტომო- ფურცელში—40 ათასი წაბეჭდი ნიშანი			
	I კატე- გორით	II კატე- გორით	III კატე- გორით	
1	2	3	4	5
1. მხატვრული პროზა	10	4000	3000	1500
2. იგივე მასობრივი გამოცემით	20	4000	3000	2000
3. პოეზია (სტრიქონში)	7	20	14	7
4. იგივე მასობრივი გამოცემით	15	20	14	10
5. ფოლკლორი (გამოუქვეყნებელ ხალხურ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამზადება)	—	1200	800	500
6. წიგნები სკოლამდელი და უმ- ცროსი სასკოლო ასაკის ბავ- შეებისათვის მასობრივი გამ- ცემით, აგრეთვე დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის. „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სე- რიით	25	4000	3000	2000
7. შრომები ლიტერატურათმცოდ- ნების, ხელოვნებათმცოდნე- ბისა და კრიტიკის დაწესები	10	4000	3000	1500
8. თეორიული შრომები პოლიტ- იკური, სოციალ-ეკონომიკურ და საბუნებისმეტყველო-სამეც- ნიერო საკითხეაზე, სამეცნიე- რო-ტექნიკური ლიტერატურა, იგრეთვე სამეცნიერო პიბლი- ოგრაფიული შრომები	5	1600	1300	1000
9. იგივე მასობრივი გამოცემით	20	1600	1300	1000
10. სამეცნიერო-პოპულარული ლი- ტერეტარიული (მათ შორის ბიბლიოთეკისათვის)	10	2500	1500	1000
11. სააგიტაციო-მასობრივი ლიტე- რატურა (მასობრივი გამოცე- მით)	30	1200	1000	

1	2	ტიტული (ათას ცა- ლობით)	ჰონორარის ზღვრული განაკვეთები (მანეთობით) თითო საავტორო ფურცელში—40 ათასი წაბეჭდი ნიშანი		
			I კატე- გორით	II კატე- გორით	III კატე- გორით
3	4	5			
12. ბიოგრაფიული და ორგანიზა- ბითი ხსიათის ნაწარმოებები, მოგონებები, მიმოწერა და სხვა ლიტერატურა, რომელიც არ მიეკუთვნება მხატვრულ და სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურას	10	1500	1200	900	
13. ტექსტობრივი და ციფრობრი- ვი ცნობარების დაწერა სახალ- ხო მეცნიერობის, კულტურის და მეცნიერებას ყველა დარ- გის მუშავთა დასახმარებლად. გამოქვეყნებული მასალებს გამოყენებით, აგრძოვე სხვა- დასხვა გამოთვლითი ცენტრების შედეგისა	10	900	700	500	600
14. ანბანის წიგნები	100	1500	1000		
15. სახელმძღვანელოები დაწერ- ბითი და საშუალო სკოლები- სათვის და მოზრდილთა სკო- ლებისათვის	50	1400	1100	800	
16. სახელმძღვანელოები ტექნიკუ- რებისათვის, საფამილიკო-საქარ- ხო სწავლების სასწავლებლებისა, სკოლებისა, სახელოსნო სასწავლებლებისა და სხვადა- სხვა კურსებისათვის	15	1500	1100	800	
17. სახელმძღვანელოები უმაღლე- ს სასწავლებლებისა და უმაღ- ლესი ტექნიკური სასწავლებ- ლებისათვის	5	1500	1100	800	
18. სასწავლო სახელმძღვანელოე- ბი და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა	10	1200	1000	900	
19. ყოველგვარი ლიტერატურული მასალის სხვადასხვა ქრესტო- მთიებისა და კრებულების შედგენა	—	500	300	—	

1	ტერიტორია (ათას კა- ლობით)	ჰიდროარის ზღვრული განაკვეთები (მანეთობით) თითო საკუტორო ფურცელში—40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი		
		I კატე- გორით	II კატე- გორით	III კატე- გორით
2	3	4	5	
20. ლექსიონების შედეგია .	—	2000	1500	1000
21. კომენტარიები და შენიშვნები	—	1500	1200	900
22. დადგენილებათა და განკარგუ- ლებათა კრებულების, აგრეთვე საარჩივო მასალათა კრებულე- ბის შედეგია .	—	300	200	100
23. ლიტერატურისა და მასალების შერჩევა თხზულებათა კრებუ- ლებისათვის, ერთომეულები- სა, საგანთა და სხვა სამეცნიერო ბისა და ბიბლიოგრაფიული კონბარებისათვის და შათო შედეგია .	—	400	300	200
24. ძველი ხელნაწერების მოძებნა და შერჩევა და მათი მოყვანი ბეჭდებისათვის ხელმისაწერდომ მდგრმარეობაში .	—	600	500	400
25. ნაწარმოები, რომელთა ანაზ- ღაურება ნარდად წარმოებს:				
ა) მხატვრული მოთხოვობა ერთ ნაბეჭდ ფურცლამდე .	—	4000	3000	1500
ბ) სასმელო ლექსის ტექსტი 30 სტრიქონმდე .	—	2000	1000	600
გ) ზოგადი, წიგნაც-სერატე- ბი და ცალკეული ნაწარმო- ებები პრიზად და ლექსია სკოლამდელი და უძეროსი სასკოლო ბეჭდებისათვის (ლექსი — 100 სტრიქონმ- დე, პრიზა — ერთ ნაბეჭდ ფურცლამდე)	15	3000	2000	1000
დ) სტრიქები ენციკლოპედია- ბისა და ლექსიონებისა- თვის (ერთ საკუტორო ფურ- ცლის მეტი)	—	2000	1500	1000
ე) იგივე ზომით არა ნაკლებ ერთ საკუტორო ფურცლისა	—			
ვ) ლიტერატურულ-კრიტიკუ- ლი რეცენზიები (0,5 ნაბეჭდ ფურცლამდე)	—	2000	1500	1000
ზ) მცირე მოცულობის ქარქ- ბის რეცენზიები სამ ნაბეჭდ ფურცლამდე .	—	1000	750	500

1	2	3	4	5	ტიონრარის ზღვრული განაკვეთები (მანქობილი) თითო საგვტორო ფურცელში—40 ათასი წარმოდი ნიშნი
					I კატე- გორიით
26. თარგმანი:					
ა) შხატურული ლიტერატურისა პორჩად (მათ შორის სა- ჰავშეო)	ტიონრარი შეესაბამე- ბა ნაწარ- მოების გვარეობას	1500	1000	500	
ბ) პოეზიისა (სტრიქონში)	—	14	7	4	
გ) მარქსიზმ-ლენინიზმის კლა- სიკოსთა (მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი) ნაწარ- მოებებისა	—	1500	1200	1000	
დ) პოლიტიკური, სოციალურ- ურონომური, ფილოსოფურ- ის ნაწარმოებებისა	—	900	700	600	
ე) ყველა დანარჩენი თარგმა- ნებისა	—	600	400	300	
27. ყველა სახის ნაწარმოებთა რეცენზიები	—	100	50	—	
28. რედაქცია:					
ა) ლექსებისა, შხატურული პროზისა და კრიტიკული მრამებისა (ორიგინალუ- რის)	—	200	150	100	
ბ) მარქსიზმ-ლენინიზმის კლა- სიკოსთა ნაწარმოებების, ლექსების, შხატურული პროზის და კრიტიკული მრამების თარგმანებისა	—	400	250	100	
გ) პოლიტიკურ-მასობრივი ლიტერატურისა, სახელ- მძღვანელობისა და სხვა ლიტერატურისა	—	150	100	—	
29. ყველა სახის ნაწარმოებისა რეცენზური რედაქცია	—	25	—	—	
30. ყველა სახის ნაწარმოებთა ორგანიზაცია სამი წარითხმით	—	130	—	—	

- შენიშვნა:** 1. საავტორო პონორაზის განაცვლები, რომელიც აღნიშნულია მუხლებში 5, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25 (გარდა „გ“ ქვეპუნქტისა), 26 გარდა „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტისა), 27, 28, 29 და 30 დაწესლება ტირაჟის მიუხდვად.
2. სახელმძღვანელოებში, დამზარე სასწავლო წიგნებსა და ქრესტომათოებში შესული ნაწარმოებებისათვის ნაწარმის ავტორებს პონორაზი მიეცემათ როგორც სახელმძღვანელოების ავტორებს. სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათოების შემდგენლებს საავტორო პონორაზი მიეცემათ (გარდა პონორაზისა შედგენისათვის) მხოლოდ კომენტარისა და შენიშვნების საკუთარი ტექსტისათვის, 21-ე მუხლის შესაბამისად.
3. გმომცემლობას უფლება აქვს შეამციროს პონორაზი 20 პროცენტამდე I ან II კატეგორიაზე მიეცემებული ნაწარმების მნიშვნელობისა და ხარისხის მიხედვით.
4. თარგმანი ტექსტის საერთო მოცულობის გამოანგარიშებისას ცხრილები, ღია-აგრძები და ილუსტრაციები უნდა გამოიჩინოს.
5. როდესაც წარმოებს ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა ისეთი რაოდენობით, რაც ტირაჟის ნორმებს აღემატება, მხატვრებს არ მიეცემათ დაშატებით გასამრჩევლო ტირაჟის ასეთი გადამეტებისათვის, როგორც ილუსტრაციებისათვის, ისე წიგნების გრაფიკული გაფორმებისათვისაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. პაპაშვილი.